სახელმძღვანელო

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისათვის

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი

ფსიქოლოგია, განათლება

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2017

ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

პროექტი
„არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სრული (ბეჭდურ-ელექტრონული) პაკეტი“

გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ”ღია საზოგადოება-საქართველოს” პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material

ავტორი: **კახა გაბუნია**

კონცეფციის ავტორები: **კახა გაბუნია, ჭაბუკი ქირია**

რედაქტორი: **ქეთევან გოჩიტაშვილი**

ISBN

თემა 1. როგორ გამოვჭედოთ ბედი

1. რა არის ბედი? როგორ გესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა? იმსჯელეთ.

2. სიტყვა „გამოჭედვა“ გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ფრაზა: „ბედის გამოჭედვა“?

3. წაიკითხეთ ტექსტი:

ადამიანების ძალიან დიდ ნაწილს ერთი და იგივე სენი სჭირს - ისინი თავიანთ უბედურებაში ადანაშაულებენ ან ბედს, ან სხვა ადამიან(ებ)ს. ამ სენს შეიძლება „განტევების ვაცის სინდრომი" ეწოდოს. დიახ, სწორედ ამ „სინდრომით" არიან შეპყრობილი ის ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ცხოვრებაში უბედობის ან ვიღაცის გამო არ უმართლებთ.

ეს ხომ მარტივზე მარტივია - თავს მსხვერპლად წარმოაჩენ, დაადანაშაულებ სხვას, რომელიც ამას დაიჯერებს და მუდამ დამნაშავედ იგრძნობს თავს შენი უბედურების გამო. უამრავი ადამიანისაგან მიიღებ თანაგრძნობას, რაც გულზე მალამოდ დაგედება. ამაში გარშემო მყოფი ადამიანებიც ხელს შეგიწყობენ. ქართველებს ხომ კარგად გამოგვდის დამწუხრებული სახით სეირის მაყურებლის როლი და ვაი-ვიში, დახმარებისა და ზოგჯერ საჭირო "შემოლაწუნების" ნაცვლად. და ასე უბედურად გააგრძელებ არსებობას სიცოცხლის ბოლომდე, სიკვდილსაც მშვიდად შეხვდები იმის იმედით, რომ სააქაოს დაჩაგრულს, გაუხარელსა და წამებულს, საიქიოში მაინც გელოდება „კუთვნილი" ბედნიერება...

ეს მარტივი საქმე სუსტი ადამიანების ხვედრია, რომლებიც ამ ცხოვრებაში ნამდვილ ბედნიერებას, ალბათ, არც იმსახურებენ.

გაცილებით ძნელია პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, ირწმუნო და აღიარო, რომ შენი ბედი შენსავე ხელთ იყო და იქნება ყოველთვის, რომ ღმერთს არ გააჩნია სხვა ხელები, შენი ხელების გარდა, რომ შენს გასაკეთებელს სხვა არავინ გააკეთებს და თუ რამე ისე არ ხდება, როგორც გსურს, ესე იგი სადღაც შეცდომა გაქვს დაშვებული, შეცდომა, რომლის გამოსწორებაც შეგეძლო ან ჯერ კიდევ შეგიძლია, რომელსაც ცხოვრებისეულ გაკვეთილად მიიღებ და გამოცდილი, უფრო თავდაჯერებულად განაგრძობ გზას საინტერესო ცხოვრებისკენ.

ამისთვის, პირველ რიგში, აზროვნების კონტროლია საჭირო, რადგან ესაა ყველაზე მთავარი, რაც მოქმედებს ჩვენს განწყობაზე, ხასიათსა და სურვილებზე. სწორედ აზროვნებით - აღქმისა და განსჯის უნარით - იწყება ყველაფერი. თუ მას ჩვენსავე მტრად და მჩაგვრელად არ ვაქცევთ, თუ მეგობრად და დამხმარედ გავიხდით, რომელიც პოზიტივს, იმედს, მხნეობას, საკუთარი თავის რწმენასა და სიყვარულს, ღირსებას, პასუხისმგებლობას, სტიმულსა და ბრძოლის სურვილს შეგვმატებს, ეს უმთავრესი და უპირველესი ნაბიჯი იქნება თვითგაძლიერებისა და გაბედნიერებისათვის.

აზროვნებას სიტყვები მოჰყვება და მეორე ნაბიჯი წარმატებისაკენ სწორედ სიტყვების კონტროლია. დიახ, არც ერთი ჩვენ მიერ წარმოთქმული სიტყვის არ უნდა შეგვრცხვეს. უფრო მეტიც - უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვები უკვე მარტო ჩვენზე კი არა, ჩვენს გარშემომყოფ ადამიანებზეც ახდენენ გავლენას. ეს ადამიანები, თავის მხრივ, ჩვენზე მოქმედებენ. ისე უნდა

გავუფრთხილდეთ სიტყვებს, რომ საკუთარ თავს ჩვენივე სიტყვებითა და მისგან ნეგატიურად დამუხტული ადამიანების ზემოქმედებით ორმაგი ზიანი არ მივაყენოთ.

მესამე ნაბიჯი მოქმედებების კონტროლია. ადამიანები სწორედ ჩვენი მანერებით, ქცევით, ნაბიჯებით ხედავენ, ვინ ვართ. მათი საშუალებით იქმნება ჩვენი სახე. სწორედ მათ მივყავართ არჩეული მიზნისაკენ და ჩვენი ვალია ამ სავალ გზაზე არც ერთმა ქმედებამ ცხოვრებაში უკან არ დაგვწიოს. დიახ, არც ერთი ნაბიჯით უკან! თუ მოხდა და წავიფორხილეთ ან წავიქეცით, თავის შეცოდება, სხვების დადანაშაულება და ტალახის სროლა კი არა, წამოდგომა, შეცდომის აღიარება და გზის გაგრძელება უნდა შეგვეძლოს, თანაც ისე, რომ იმ წაქცევით სარგებელი მივიღოთ - გავიზარდოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში წაქცეული დავრჩებით, ხელები კი ისე გვექნება ტალახით დასვრილი, რომ სიმწრის ცრემლებსაც ვეღარ მოვიწმენდთ.

რაც ხდება, მხოლოდ უკეთესობისთვისო, - ძლიერი ადამიანები ამბობენ და თუ კარგად დავუკვირდებით, ასეცაა: მარცხი თუ წარმატება, უბედობა თუ ბედნიერება, ტკივილი თუ სიხარული - ცხოვრებას გვასწავლის და გვაყალიბებს ისეთებად, როგორებიც ვართ. თუ ამ ყველაფერს პოზიტიურად მივუდგებით, სარგებელს გამოვუძებნით და ცხოვრების ცოდნით თავდაჯერებული, ახალი ძალებით შევეცდებით ნაბიჯების გადადგმას, წარმატებასაც მივაღწევთ და ჩვენივე ბედის მჭედლებიც ვიქნებით. მხოლოდ ასე შევძლებთ საკუთარი თავითა და ბედით კმაყოფილი, ძალიან საინტერესო ცხოვრებით ვიცხოვროთ უბედობაზე წუწუნის გარეშე.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- უამრავი ადამიანისაგან მიიღებ თანაგრძნობას, რაც გულზე მალამოდ დაგედება.
- ქართველებს არ გამოგვდის დამწუხრებული სახით სეირის მაყურებლის როლი და ვაი-ვიში.
- ეს მარტივი საქმე სუსტი ადამიანების ხვედრია, რომლებიც ამ ცხოვრებაში ნამდვილ ბედნიერებას, ალბათ, არც იმსახურებენ.
- გაცილებით იოლია პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო.
- ღმერთს არ გააჩნია სხვა ხელები, შენი ხელების გარდა.
- შენს გასაკეთებელს სხვა ყველა გააკეთებს.

7. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:
წარმატებისაკენ, ზიანი, გავუფრთხილდეთ, დამუხტული, გავლენას, გარშემომყოფ, წარმატებისაკენ

აზროვნებას სიტყვები მოჰყვება და მეორე ნაბიჯი ..... სწორედ სიტყვების კონტროლია. დიახ, არც ერთი ჩვენ მიერ ..... სიტყვის არ უნდა შეგვრცხვეს. უფრო მეტიც - უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვები უკვე მარტო ჩვენზე კი არა, ჩვენს ..... ადამიანებზეც ახდენენ ..... ეს ადამიანები, თავის მხრივ, ჩვენზე მოქმედებენ. ისე უნდა ..... სიტყვებს, რომ საკუთარ თავს ჩვენივე სიტყვებითა და მისგან ნეგატიურად ..... ადამიანების ზემოქმედებით ორმაგი ..... არ მივაყენოთ.

8. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რა სენი სჭირს ადამიანების ძალიან დიდ ნაწილს?
რა გამოგვდის კარგად ქართველებს?
რა არის მთავარი, რაც მოქმედებს ჩვენს განწყობაზე, ხასიათსა და სურვილებზე?
რა იქნება უპირველესი ნაბიჯი თვითგაძლიერებისა და გაბედნიერებისათვის?
ვისზე ახდენენ გავლენას სიტყვები?
რას ნიშნავს მოქმედებათა კონტროლი?
რატომ არის უბედობაზე წუწუნი მიუღებელი?

9. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:
დაგვწიოს შემთხვევაში უკან მივიღოთ შეგვეძლოს გავიზარდოთ მოვიწმენდთ

სწორედ მათ მივყავართ არჩეული მიზნისაკენ და ჩვენი ვალია ამ სავალ გზაზე არც ერთმა ქმედებამ ცხოვრებაში უკან არ ..... დიახ, არცე რთი ნაბიჯით .....! თუ მოხდა და წავიფორხილეთ ან წავიქეცით, თავის შეცოდება, სხვების დადანაშაულება და ტალახის სროლა კი არა, წამოდგომა, შეცდომის აღიარება და გზის გაგრძელება უნდა ..... თანაც ისე, რომ იმ წაქცევით სარგებელი-..... წინააღმდეგ ..... წაქცეული დავრჩებით, ხელები კი ისე გვექნება ტალახით დასვრილი, რომ სიმწრის ცრემლებსაც ვეღარ .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 2. უზნაძის თეორია და პედაგოგიკა

1. როგორ გამოვჭედოთ ბედი? შევაჯამოთ წინა ლექციაზე განხილული მასალა.

2. ვინ იყო დიმიტრი უზნაძე? მოვიძიოთ მასალა და წარმოვადგინოთ.

3. წაიკითხეთ ტექსტი:

უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა. ეს იყო ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული შეხედულებათა სისტემა, რომელიც მოიცავდა ყველა ძირითადი პედაგოგიური ცნების ზუსტ განმარტებას. ასეთი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური საფუძველი დაედო ერთიანი და აქტიური პიროვნების, როგორც აღზრდის ობიექტის, იდეას, იდეას, რომელიც შემდეგ განწყობის თეორიაში გადაიზარდა.

პედაგოგიური შეხედულებების საფუძველი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა გახლდათ.

როგორია დ. უზნაძის პედაგოგიური კონცეფციის არსი?

ჯერ კიდევ ადრეულ ნაშრომში "ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი", შეიძლება ითქვას, გადაჭრილი იყო პედაგოგიკის ძირითადი პრობლემები.

დიმიტრი უზნაძე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და "განწყობის თეორიის" ავტორია. მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ბავშვის ფსიქოლოგიის მეცნიერულ კვლევას. მისი თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებათა შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შესწავლას იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ქცევის ფორმა ანიჭებს ყოველ ასაკობრივ საფეხურს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ელფერს.

ქცევა აქტივობაა და ნიშნავს სუბიექტის გარემოსთან, გარე სინამდვილესთან ურთიერთობას. ქცევა განისაზღვრება მოთხოვნილებით და იმ საგნით, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. მაგრამ საგანი უშუალოდ როდი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის აქტს. უზნაძე ქცევის პროცესს ასე აღწერს: ცოცხალი ორგანიზმი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს გარე საგნობრივ სინამდვილეს, გარემო უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესატყვისი მოქმედებისკენ განაწყობს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს: ექსტეროგენურსა და ინტროგენურს.

ექსტეროგენურია ქცევა, როდესაც ის იმპულსს იღებს გარედან (საგნისგან) და წარიმართება გარედან განსაზღვრული განწყობით. მაგრამ როდესაც ორგანიზმს არ აქვს რაიმე საგნობრივი, პრაქტიკული მოთხოვნილება, ის პასიურ, უმოქმედო მდგომარეობაში კი არ არის, არამედ მას თავად აქტივობის, მოქმედების მოთხოვნილებაც აქვს. მოთხოვნილებას, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს უჩნდება მაშინ, როდესაც მისი ძალები უმოქმედოდ რჩება და ის აღარ არის იძულებული, გარკვეული პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამოქმედდეს, უზნაძე ფუნქციონალურ ტენდენციას უწოდებს. ამ შემთხვევაში ქცევა (აქტივობა) გარედან კი არ არის განსაზღვრული, არამედ შინაგანი იმპულსიდან გამომდინარეობს და იმ განწყობით

წარიმართება, რომელიც გარკვეული სახით სუბიექტის გამოცდილებიდან მომდინარეობს. ეს ქცევა თავისუფალია გარე იძულებისგან, ის ორგანიზმის შიგნიდან წარმოიშობა, ამიტომ მას უზნაძე **ინტროგენურ ქცევას** უწოდებს.

უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით, **ექსტეროგენური ქცევის ფორმებია:**

- მოხმარება
- მომსახურება
- შრომა
- საქმე

ინტროგენური ქცევის ფორმებია:

- ესთეტიკური ტკბობა
- ხელოვნება, შემოქმედება
- თამაში
- სპორტი

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა.
- პედაგოგიური შეხედულებების საფუძველი თეორიული პედაგოგიური მოღვაწეობა გახლდათ.
- დიმიტრი უზნაძე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და "განწყობის თეორიის" ავტორია.
- უზნაძემ ჩაუყარა საფუძველი საქართველოში მოზრდილის ფსიქოლოგიის მეცნიერულ კვლევას.
- სწორედ ქცევის ფორმა ანიჭებს ყოველ ასაკობრივ საფეხურს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ელფერს.
- უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს: ექსტეროგენურსა და ინტროგენურს.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

როგორ განმარტავს ქცევას უზნაძე?
დ. უზნაძის თეორიის მიხედვით, რა მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შესწავლას ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებათა შესასწავლად?
ქცევის რამდენ კატეგორიას გამოყოფს უზნაძე და როგორ აღწერს მათ?
დასახელეთ ექსტეროგენული და ინტროგენული ქცევის ფორმები.

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:
შეხედულებათა, იმპულსს, განწყობით, ექსტეროგენურია,აქტივობაა, გარე ცნების, კონცეფცია

უზნაძის პედაგოგიური ..... 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა. ეს იყო ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული ..... სისტემა, რომელიც მოიცავდა ყველა ძირითადი პედაგოგიური ..... ზუსტ განმარტებას.

ქცევა ..... და ნიშნავს სუბიექტის გარემოსთან, ... სინამდვილესთან ურთიერთობას.

..... ქცევა, როდესაც ის ..... იღებს გარედან (საგნისგან) და წარიმართება გარედან განსაზღვრული ..... მაგრამ როდესაც ორგანიზმს არ აქვს რაიმე საგნობრივი, პრაქტიკული მოთხოვნილება, ის პასიურ, უმოქმედო მდგომარეობაში კი არ არის, არამედ მას თავად აქტივობის, მოქმედების მოთხოვნილებაც აქვს.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:
პედაგოგიური შეხედულებების საფუძველი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა გახლდათ._____
დიმიტრი უზნაძემ ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ბავშვის ფსიქოლოგიის მეცნიერულ კვლევას. _____

მისი თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებათა შესასწავლად დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება ქცევის შესწავლას. _____

ქცევა განისაზღვრება მოწოდებით და იმ საგნით, რომელსაც ეს მოწოდება უნდა დააკმაყოფილოს. _____

საგანი უშუალოდ განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის აქტს. _____

ექსტეროგენურია ქცევა, როდესაც ის იმპულსს იღებს გარედან (საგნისგან) და წარიმართება გარედან განსაზღვრული განწყობით. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ურთიერთობას აქტს მომდინარეობს დააკმაყოფილოს სინამდვილეს კვლევას.

დიმიტრი უზნაძეᲐ ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ბავშვის ფსიქოლოგიის მეცნიერულ .....

ქცევა აქტივობაა და ნიშნავს სუბიექტის გარემოსთან, გარე სინამდვილესთან ..... საგანი უშუალოდ როდი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის .....

ცოცხალი ორგანიზმი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს გარე საგნობრივ .....

გარემო უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესატყვისი მოქმედებისკენ განაწყობს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა .....

ქცევა გარედან კი არ არის განსაზღვრული, იმ განწყობით წარიმართება, რომელიც გარკვეული სახით სუბიექტის გამოცდილებიდან .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 3. თამაშის როლი ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში

1. ქცევის რა კატეგორიებს გამოყოფს უზნაძე?

2. რა არის თამაში? თქვენი აზრით, რატომ არის თამაში მნიშვნელოვანი სწავლების პროცესისთვის? იმსჯელეთ.

3. წაიკითხეთ ტექსტი:

სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმაა თამაში. თამაშში ყალიბდება ბავშვის ფსიქიკური თვისებები და პიროვნული თავისებურებები. თამაში გავლენას ახდენს ნებისმიერი ფსიქიკური პროცესების ფორმირებაზე. მაგალითად, თამაშში განვითარებას იწყებს ნებისმიერი ყურადღება და მეხსიერება. თამაში გავლენას ახდენს ბავშვის აზროვნების განვითარებაზეც. თამაშის პროცესში ბავშვი სწავლობს აზროვნებას საგნების შესახებ და მათ გონებრივ პლანში გამოყენებას. ამგვარად, თამაში განაპირობებს ბავშვის თანადათანობით გადასვლას წარმოდგენათა პლანში აზროვნებაზე. სიუჟეტურ-როლური თამაში საფუძვლად ედება აზროვნების განსაკუთრებული თვისებების ფორმირებას, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს, დადგეს სხვა ადამიანების პოზიციაზე, გაითვალისწინოს მომავალი ქცევა და ამის საფუძველზე ააგოს საკუთარი ქცევა. როლური თამაში ხელს უწყობს წარმოსახვის განვითარებასაც. თამაშში ბავშვი სწავლობს ერთი საგნის მეორეთი ჩანაცვლებას, ასრულებს სხვადასხვა სოციალურ როლს.

თამაში გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებაზე. იგი ეცნობა მოზრდილთა ქცევასა და ურთიერთობებს, რომელიც მისი ქცევის ნიმუში ხდება. ბავშვი იძენს ურთიერთობის ძირითად ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია თანატოლებსადა მოზრდილებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

თამაშის ქცევაში ჩამოყალიბებას იწყებს სასწავლო მოქმედებაც, რომელიც მოგვიანებით ქცევის წამყვანი ფორმა ხდება. სწავლა შემოაქვს მოზრდილს, ის უშუალოდ არ აღმოცენდება თამაშიდან.სკოლამდელი ასაკის ბავშვი სწავლას თამაშში იწყებს. იგი მას ისე ეკიდება, როგორც გარკვეული წესების მქონე თავისებურ როლურ თამაშს. ასრულებს რა ამ წესებს, ბავშვი შეუმჩნევლად ეუფლება ელემენტარულ საწავლო მოქმედებას. ბავშვს უყალიბდება სწავლის უნარი და სურვილი.

თამაში დიდ გავლენას ახდენს მეტყველების განვითარებაზე. თამაშის სიტუაცია მასში ჩართული ყველა ბავშვისგან მოითხოვს სამეტყველო ურთიერთობის განვითარების გარკვეულ დონეს. თუ ბავშვს არ შეუძლია მკაფიოდ გამოთქვას თავისი აზრები და სურვილები, არ შესწევს უნარი გაიგოს ამხანაგის სიტყვიერი ინსტრუქციები, ის ვერ შეძლებს თამაშს თანატოლებთან. თანატოლებთან ურთიერთობის სურვილი სტიმულს აძლევს გამართული მეტყველების განვითარებას.

თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეფლექსიური აზროვნების განვითარებისთვის.

რეფლექსია ეს არის ადამიანის უნარი, გააანალიზოს საკუთარი მოქმედებები, ქცევა, მოტივები და შეუფარდოს ისინი საზოგადოებაში მიღებულ ღირებულებებს, სხვა ადამიანების ქცევებს, მოტივებს. რეფლექსია ხელს უწყობს სოციალურ გარემოში ბავშვის ადეკვატურ ქცევას.

ბავშვის ზრდასთან ერთად იცვლება თამაშის ფორმები. ადრეული ასაკის ბავშვები თამაშის დროს არ ისახავენ მიზანს, არ ადგენენ თამაშის წესებს. 5-6 წლის ასაკის ბავშვები ისახავენ მიზანს, ადგენენ თამაშის წესებს, ეხმარებიან ერთმანეთს. 5-6 წლის ასაკის ბავშვებისთვის ტიპურია: მოტორული თამაშები, თამაში – "ბრძოლა", როლური და წესებიანი თამაში.

მოტორული თამაშებია – სირბილი, ხტუნვა, სხვადასხვა მოტორული აქტივობა, რომლებიც ბავშვს დიდ სიამოვნებას ანიჭებს და ხელს უწყობს მოძრაობათა კოორდინაციის განვითარებას.

თამაში – "ბრძოლა—ძალების მოსინჯვა". უფროსები ხშირად უკრძალავენ ბავშვებს ამ სახის თამაშს, რათა არ დაუშვან ჩხუბი ბავშვებს შორის. მაგრამ, თამაში – "ბრძოლა" მხოლოდ თამაშია და არა ნამდვილი ჩხუბი. ის საშუალებას აძლევს ბავშვებს, დახარჯონ ზედმეტი ენერგია; ფიზიკურად ივარჯიშონ; შეიკავონ ემოციები; გააკონტროლონ იმპულსები; გადაეჩვიონ ნეგატიურ ჩვევას, რომელიც მიუღებელია სხვა ბავშვებისათვის. ამ სახის თამაშს ბიჭები უფრო ხშირად თამაშობენ, ვიდრე გოგონები.

როლური თამაში. ბავშვები ათამაშებენ სიუჟეტებს და ასრულებენ სხვადასხვა როლს. ასეთი თამაში მოიცავს არა მხოლოდ უფროსის ქცევის მიბაძვას, ასევე ფანტაზიას და ურთიერთობის ახალ ფორმებს. როლური თამაშის დახმარებით ბავშვები ეცნობიან სოციალურ ურთიერთობებსა და ნორმებს, კულტურულ ტრადიციებს.

წესებიანი თამაში. ბავშვები ადგენენ თამაშის წესებს, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა. ამ თამაშს ჰყავს გამარჯვებული და დამარცხებული. ეს თამაში მოითხოვს გარკვეულ კოგნიტურ უნარებს, უნდა გათვალო ამ თუ იმ აქტივობის შედეგი, ისწავლო წაგება და მოგება.

თამაში ავითარებს: სწავლის უნარს; შემოქმედობითობასა და ფანტაზიას; სხვა ბავშვებისა და ადამიანებისადმი სიყვარულსა და კეთილგანწყობას; იწვევს სიხარულის ემოციას, რომელიც აუცილებელია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის; ყალიბდება ბაზისური ნდობა გარემო სამყაროს მიმართ.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმაა თამაში.
- თამაშში ყალიბდება ბავშვის ფიზიკური თვისებები.
- თამაში გავლენას ახდენს ნებისმიერი ფსიქიკური პროცესების ფორმირებაზე.
- თამაში არ ავითარებს ბავშვის ყურადღებასა და მეხსიერებას.
- თამაშის პროცესში ბავშვი სწავლობს აზროვნებას საგნების შესახებ და მათ გონებრივ პლანში გამოყენებას.
- თამაში განაპირობებს ბავშვის თანადათანობით გადასვლას წარმოდგენათა პლანში აზროვნებაზე.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რა არის სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმა?
რაზე ახდენს გავლენას თამაში? ჩამოთვალეთ.
ახდენს თუ არა თამაში გავლენას მეტყველების განვითარებაზე? როგორ?
რა არის რეფლექსია?
ჩამოთვალეთ თამაშის ფორმები.
რას ავითარებს თამაში?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პიროვნების წამყვანი ჩვევებს დასამყარებლად სასწავლო ურთიერთობებს მოზრდილთა ქცევის გავლენას

თამაში ..... ახდენს ბავშვის ..... განვითარებაზე. იგი ეცნობა ..... ქცევასა და ....., რომელიც მისი ..... ნიმუში ხდება. ბავშვი იძენს ურთიერთობის

ძირითად ....., რომლებიც აუცილებელია თანატოლებსა და მოზრდილებთან ურთიერთობის ..... თამაშის ქცევაში ჩამოყალიბებას იწყებს ..... მოქმედებაც, რომელიც მოგვიანებით ქცევის ..... ფორმა ხდება.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმაა თამაში. _____

თამაშში ყალიბდება ბავშვის ფიზიკური თვისებები. _____

თამაში გავლენას ვერ ახდენს ფსიქიკური პროცესების ფორმირებაზე. _____

თამაში განაპირობებს ბავშვის თანადათანობით გადასვლას წარმოდგენათა პლანში აზროვნებაზე. _____

თამაშში ბავშვი სწავლობს ერთი საგნის მეორეთი ჩანაცვლებას. _____

ბავშვი ეცნობა მოზარდთა ქცევასა და ურთიერთობებს, რომელიც მისი ქცევის ნიმუში ხდება. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

თავისებურებები მეხსიერება აზროვნებაზე განვითარებაზე ფორმირებაზე თამაში

სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმაა ..... თამაშში ყალიბდება ბავშვის ფსიქიკური თვისებები და პიროვნული ..... თამაში გავლენას ახდენს ნებისმიერი ფსიქიკური პროცესების ..... თამაშში განვითარებას იწყებს ნებისმიერი ყურადღება და ..... თამაში გავლენას ახდენს ბავშვის აზროვნების ..... თამაში განაპირობებს ბავშვის თანადათანობით გადასვლას წარმოდგენათა პლანში .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 4. ქცევასთან მიმართებით როგორ განმარტავს თამაშს უზნაძე?

1. რა როლს ასრულებს თამაში ბავშვის განვითარების პროცესში?

2. შეიძლება თამაშის გამოყენება სწავლების პროცესში? გამოთქვით თქვენი მოსაზრება.

3. წაიკითხეთ ტექსტი:

თამაშს უზნაძე მიიჩნევს ბავშვის ქცევის სპეციფიკურ ფორმად. ადრეული ბავშვობის ასაკში ქცევის სხვა ფორმები, გარდა თამაშისა, განსაკუთრებით ექსტეროგენური, ან საერთოდ არ შეინიშნება, ან ძალიან იშვიათად გვხვდება. თუმცა თამაში დამახასიათებელია არა მხოლოდ ადრეული ბავშვობის ან სკოლამდელი ასაკისთვის, არამედ სასკოლო (8-10 წლის) და მოზრდილი ასაკისთვისაც.

რა უდევს თამაშს საფუძვლად?

თამაშს, როგორც ქცევას, საფუძვლად უდევს ფუნქციის სიამოვნება, ანუ თამაშის ძირითადი მოტივი ბავშვისთვის თვით აქტივობისგან სიამოვნების მიღებაა.

ქცევის როგორი ფორმაა სწავლა?

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლა, როგორც ქცევის ფორმა. უზნაძე მიიჩნევს, რომ ქცევის ფორმები ადამიანის ცხოვრებაში ისე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რომ ხშირად რთულია, ესა თუ ის კონკრეტული ქცევა რომელიმე აღნიშნულ ფორმას მიაკუთვნო. სწორედ ასეთი ქცევის ფორმაა სწავლა. თუ ჩავთვლით, რომ სწავლა შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის, ერთ-ერთი სახეობაა, მაშინ ის ქცევის ექსტეროგენური ფორმა უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე არ არის. იმისთვის, რომ ვნახოთ, არის თუ არა მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც სწავლასა და შრომას შორის, ერთმანეთს უნდა შევადაროთ ამ ორი ქცევის პროდუქტი. როდესაც შრომასთან გვაქვს საქმე, ყოველთვის ვგულისხმობთ გარკვეულ პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც შრომითი ენერგია დავხარჯეთ. შრომის ცნება, გარდა ამ პროდუქტის შექმნისა, არავითარ სხვა ეფექტს არ ითვალისწინებს. რაც შეეხება სწავლას, აქ საქმე სხვაგვარადაა. მაგალითად, ბავშვს ვასწავლით წერას. მან უკვე ისწავლა ასოების წერა, შემდეგ ორი სიტყვის დაწერა შეძლო. ამ პროცესში ის სწავლობს არა მხოლოდ იმ კონკრეტული ასოების ან სიტყვების წერას, არამედ იძენს თავისი კუნთების განსაზღვრული მიმართულებით აქტიურად ამოქმედების უნარს, რაც ეხმარება სხვა ასოების, სხვა სიტყვების ადვილად დაწერაში. ამიტომაა, რომ აღარ არის აუცილებელი ბავშვს სათითაოდ ყველა სიტყვის დაწერა ვასწავლოთ. წერა-კითხვის მცოდნეს თავისუფლად შეუძლია ისეთი სიტყვის დაწერაც, რომელიც არათუ არასოდეს დაუწერია, არამედ არც არასდროს გაუგონია.

რატომ ითვლება სწავლა ქცევის სრულიად თავისებური ფორმად, რომელიც არ შეიძლება გავაიგივოთ თამაშთან, შრომასა თუ ქცევის რომელიმე სხვა ფორმასთან?

სწავლის ცნება ძალიან ფართოა. არ არსებობს ექსტეროგენური ქცევის არც ერთი ფორმა, რომლის სწავლის საგნად გადაქცევაც არ შეიძლება. უზნაძე ამას სწავლის გენერალურ ხასიათს უწოდებს და იმით ხსნის, რომ სწავლის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ჩვევების, უნარებისა და ცოდნის შეძენა, რომლებსაც ამ დროს ბავშვი იღებს, არამედ მოზარდის ძალების განვითარება განსაზღვრული მიმართულებით. სწორედ ამ თვისებით ჰგავს სწავლა თამაშს, ანუ მოზარდის ძალთა განვითარება ისეთივე სპეციფიკურია სწავლისთვის, როგორც თამაშისთვის. თამაშიც, თავის მხრივ, ქცევის ისეთივე გენერალური ფორმაა, როგორიც სწავლა. აქედან თითქოს უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა, რომ თამაში და სწავლა ქცევის ერთსა და იმავე ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ეს ასე არ არის. თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციონალური ტენდენციაა, ანუ ამ ასაკის ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. ამიტომ, როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას, მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტური იქნება თამაშის გამოყენება, ანუ სწავლის წარმართვა თამაშით.

როდესაც სწავლის შესახებ ვსაუბრობთ, ძნელია იმის თქმა, რომ ქცევის იმპულსი აქაც ფუნქციონალური ტენდენციაა. სწავლა ყოველთვის გულისხმობს იმას, რაც ისწავლება, ანუ მოსწავლეს ვაწვდით საგანს გარედან, გარედან ავამოქმედებთ მის ძალებს, ე. ი. სწავლა, როგორც ქცევა, გარეგან იმპულსზე იგება.

როდესაც ბავშვს გარკვეულ ასაკში მეტყველების ფუნქცია მოუმწიფდება, უჩნდება შინაგანი იმპულსი _ მეტყველების ფუნქციის ამოქმედების ტენდენცია, მაგრამ თუ მას გარედან არ მივაწოდეთ გარკვეული ენობრივი მასალა, მისი ფუნქციონალური ტენდენციის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- თამაშს უზნაძე მიიჩნევს ბავშვის ქცევის ჩვეულებრივ ფორმად.
- ადრეული ბავშვობის ასაკში ქცევის სხვა ფორმები, გარდა თამაშისა, ან საერთოდ არ შეინიშნება, ან ძალიან იშვიათად გვხვდება.
- თამაშის ძირითადი მოტივი ბავშვისთვის თვით აქტივობისგან უსიამოვნების მიღებაა.
- სწავლა შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის, ერთ-ერთი სახეობაა.
- აუცილებელია, ბავშვს სათითაოდ ყველა სიტყვის დაწერა ვასწავლოთ.
- წერა-კითხვის მცოდნეს თავისუფლად შეუძლია ისეთი სიტყვის დაწერაც, რომელიც არასდროს გაუგონია.
- აღმზრდელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ ჩასწვდა ბავშვის ბუნებას.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რად მიიჩნევს უზნაძე თამაშს?
რა უდევს თამაშს საფუძვლად?
ქცევის როგორი ფორმაა სწავლა?
რატომ ითვლება სწავლა ქცევის სრულიად თავისებური ფორმად?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ფორმები ადრეული სასკოლო ასაკისთვის ექსტეროგენური სპეციფიკურ

თამაშს უზნაძე მიიჩნევს ბავშვის ქცევის ..... ფორმად. ადრეული ბავშვობის ასაკში ქცევის სხვა ....., გარდა თამაშისა, განსაკუთრებით _ ....., ან საერთოდ არ შეინიშნება, ან ძალიან იშვიათად გვხვდება. თუმცა თამაში დამახასიათებელია არა მხოლოდ ..... ბავშვობის ან სკოლამდელი ....., არამედ ..... (8-10 წლის) და მოზრდილი ასაკისთვისაც.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

სწავლა შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის, ერთ-ერთი სახეობაა. _____

სწავლასა და შრომას შორის განსხვავება არ არსებობს.

არ არსებობს ექსტეროგენური ქცევის არც ერთი ფორმა, რომლის სწავლის საგნად გადაქცევაც არ შეიძლება. _____

მოზარდის ძალთა განვითარება სწავლისთვის არ არის სპეციფიკური, განსხვავებით თამაშისგან_____

თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციონალური ტენდენციაა, ანუ ამ ასაკის ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

სწავლა წარმოადგენს ტენდენციაა ბუნებას თამაშით ფართოა

სწავლის ცნება ძალიან ..... თამაში, თავის მხრივ, ქცევის ისეთივე გენერალური ფორმაა, როგორიც ..... აქედან თითქოს უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა, რომ თამაში და სწავლა ქცევის ერთსა და იმავე ფორმას ..... თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციონალური ..... როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას, მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტური იქნება თამაშის გამოყენება, ანუ სწავლის წარმართვა ..... ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი. აღმზრდელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ ჩასწვდა ბავშვის .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 5-6. უზნაძის მიხედვით, რაში მდგომარეობს "აღზრდის ტრაგედიის" გადალახვის სტრატეგია?

1. გაიხსენეთ, როგორ განმარტავს თამაშს დ. უზნაძე.

2. როგორ ფიქრობთ, რა არის „აღზრდის ტრაგედია"? წარმოადგინეთ თქვენი სიტყვებით.

3. წაიკითხეთ ტექსტი:

ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი. აღმზრდელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ ჩასწვდა ბავშვის ბუნებას. სწორედ ამიტომ პედაგოგიკა ბავშვის ფსიქოლოგიური არსის შემეცნებას ეფუძნება.

აღზრდის მიზანთა სოციალური ბუნების აღიარებას მიჰყავს დ. უზნაძე აღმზრდელობითი პროცესის უმთავრესი წინააღმდეგობის აღმოჩენამდე, რომელსაც მან "აღზრდის ძირითადი ტრაგედია" დაარქვა.

უფსკრული აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩნდება იმიტომ, რომ აღმზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, თუმც კი მიაჩნია, რომ აღსაზრდელის მომავალი კეთილდღეობით ხელმძღვანელობს, სინამდვილეში არ აქცევს ყურადღებას აღსაზრდელის სურვილებს, არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებით. ის, რაც, აღმზრდელის აზრით, კეთილდღეობაა, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად იქცევაო, _ წერდა დ. უზნაძე.

"აღზრდის ტრაგედიის" გადალახვაში გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს "ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა". პედაგოგიური პროცესის ძირითადი პირობა სწორედ ბავშვის ბუნების უშუალო წვდომაა, მისი გრძნობებისადმი, "სულიერი მღელვარებისადმი" თანაგრძნობა - ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან. მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა მისცემს შესაძლებლობას მასწავლებელს, "უმტკივნეულად შეუხამოს სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის ბუნებრივი განვითარების მიმართულებას".

რას წარმოადგენს უზნაძის მიხედვით, განწყობა?

უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიანპიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. "სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს სახით მოცემული".

განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის: რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად.

დავაკონკრეტოთ…

თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელ

ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის. მოთხოვნილებისა და სიტუაციის თანხვედრის შედეგად ადამიანს უჩნდება განწყობა. განწყობავე განსაზღვრავს ადამიანის გარკვეულ ემოციურ დამოკიდებულებას ახალი ინფორმაციისადმი, წინასწარ ამზადებს გარკვეული ქცევისადმი, შესატყვისი ძალებისა და შესაძლებლობების მობილიზაციას ახდენს.

გარე სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში პიროვნება, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

ახლა კი ერთი მაგალითიც განვიხილოთ…

ერთ-ერთ სამაგალითო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: როდესაც ადამიანი პურის შესახებ რუსს ესაუბრება, მას ენაზე თავისთავად ადგება სიტყვა "ხლებ"; როდესაც იგი გერმანელთან დაიწყებს საუბარს, მაშინ მას შესაფერი გერმანული სიტყვა "ბროტ" აგონდება. რატომ? რა უდევს საფუძვლად ამ გარემოებას? პასუხი ასეთია: რუსთან საუბრის დროს ადამიანი რუსულად სალაპარაკოდ არის გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი, გერმანელთან საუბრის დროს – გერმანულად სალაპარაკოდ. მაშასადამე, რა სიტყვა მოგადგება ენაზე ყოველ კერძო შემთხვევაში, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ენაზე ლაპარაკის გ ა ნ წ ყ ო ბ ა გაქვს". ასეთი წინასწარი მზაობა განსაზღვრავს არა მხოლოდ ქცევას, არამედ აღქმის შინაარსსაც. მაგალითად, ჩასაფრებულ მონადირეს, რომელიც დათვს ელოდება, ადამიანი შეიძლება დათვად მოეჩვენოს. ეს წინასწარი მზაობა ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებასაც განსაზღვრავს: წინასწარ შექმნილი დადებითი დამოკიდებულება დადებითად შეაფასებინებს რომელიმე მოვლენას.

რატომ უნდა იცოდეს ეს ყველაფერი მასწავლებელმა, რით დაეხმარება მას ამის ცოდნა გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში?

მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა), ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

როგორ გამოვიყენოთ უზნაძის კონცეფცია საკლასო ოთახში?

პედაგოგმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. შეუქმნას მოსწავლეს განწყობა;
2. მოარგოს მასალა მოსწავლეს /აქტუალური დონე +წინსვლა;
3. შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო.

როგორ?

1. შევუქმნათ მოსწავლეს განწყობა

სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს აქტივობაში მოსწავლის ჩართვას. თუ ახალი აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები)

მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შეუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი.

2. მოვარგოთ მასალა მოსწავლეს /აქტუალური დონე +წინსვლა

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს.

როგორი უნდა იყოს ეს მასალა?

"იგი, ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის; მეორე მხრივ, იგი დაშორებულიც უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელი იქნება. მასწავლებლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს, მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მოწაფეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს" /უზნაძე/.

გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება დაფუძნებულია იმ კიბეზე, რომელზეც ათვისებული და აუთვისებელი მასალა ქვედა და ზედა საფეხურებია!

3. შევქმნათ მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო

საკლასო ოთახში შექმენით ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.

გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება მის ინტერესებსა და სურვილებზეა დაფუძნებული.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი.
- განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის გაუაზრებელი ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის.
- თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად.
- სიტუაცია, გარემო წარმოადგენს სუბიექტურ, შემთხვევით ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის.
- მოთხოვნილებისა და სიტუაციის თანხვედრის შედეგად ადამიანს უჩნდება განწყობა.
- გარე სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში პიროვნება, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.
- სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რა არის „აღზრდის ტრაგედია“?

რაში მდგომარეობს “აღზრდის ტრაგედიის” გადალახვის სტრატეგია?

უზნაძის მიხედვით, რას წარმოადგენს განწყობა?

რით დაეხმარება მასწავლებელს განწყობის თეორიის ცოდნა გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში?

როგორ გამოვიყენოთ უზნაძის კონცეფცია საკლასო ოთახში?

რაზეა დაფუძნებული ბავშვის განვითარება?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

წვდომაა ფსიქოლოგიის შეუხამოს მღელვარებისადმი ემპათიურ პირობა

პედაგოგიური პროცესის ძირითადი ..... სწორედ ბავშვის ბუნების უშუალო..... , მისი გრძნობებისადმი, "სულიერი ..... " თანაგრძნობა _ ის, რასაც ახლა ..... უნარებს ეძახიან. მხოლოდ ბავშვის ცოდნა მისცემს შესაძლებლობას მასწავლებელს, "უმტკივნეულად..... სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის ბუნებრივი განვითარების მიმართულებას".

9. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შინაარსსაც მზაობა მოეჩვენოს განსაზღვრავს მოვლენას განწყობილი

მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური .....

რუსთან საუბრის დროს ადამიანი რუსულად სალაპარაკოდ არის .....

ასეთი წინასწარი მზაობა განსაზღვრავს არა მხოლოდ ქცევას, არამედ აღქმის ..... ჩასაფრებულ მონადირეს, რომელიც დათვს ელოდება, ადამიანი შეიძლება დათვად .....

ეს წინასწარი მზაობა ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებასაც .....

წინასწარ შექმნილი დადებითი დამოკიდებულება დადებითად შეაფასებინებს რომელიმე .....

10. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

11. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 7. დიდაქტიკის ცნებები

1. მოკლედ ჩამოაყალიბეთ უზნაძის განწყობის თეორიის არსი.

2. რა არის დიდაქტიკა? იმსჯელეთ.

3. წაიკითხეთ ტექსტი.

დიდაქტიკა არის პედაგოგიკის დარგი, რომელიც სწავლების პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს შეისწავლის. ტერმინი წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან "დიდასკო" (ვასწავლი).

პედაგოგიკის ოთხი ძირითადი ცნებიდან ორი (განათლება, სწავლება) დიდაქტიკის სფეროდან არის, მაგრამ არსებობს საკუთრივ დიდაქტიკური ცნებებიც, რომელთაგან უმთავრესია ცოდნა, უნარი, რჩევა.

ცოდნა არის საგნების განმსაზღვრელი ნიშნების მოვლენათა გამომწვევი კანონზომიერების ასახვა ადამიანის ცნობიერებაში; ეს არის საგნის, მოვლენის, პროცესის არა შემთხვევითი ნიშნების აღქმა, არამედ მათი უმნიშვნელოვანესი მხარის, არსის გაცნობიერება.

ცოდნა შემეცნების ბევრად უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ელემენტარული ნაცნობობა ამა თუ იმ ობიექტთან. ყოველდრიურ (ხალხურ) მეტყველებაში ეს ორი დონე ხშირად გაუმიჯნავია, სხვა მოვლენათაგან გამორჩევის დონეზე სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც შემეცნებული აქვთ ჭექა-ქუხილი, წვიმა, ქარი და სხვა ბუნებრივი მოვლენები, მაგრამ ეს მეცნიერულ-პედაგოგიკური პოზიციიდან ჯერ კიდევ არ არის ცოდნა. ცოდნას ამ მოვლენათა შესახებ ისინი მაშინ ეუფლებიან, როცა აცნობიერებენ მათ არსს, მათ გამომწვევ მიზეზს, რაც, ჩვეულებრივ, სკოლაში შესაბამისი საგნების სწავლებისას მიიღწევა.

ცოდნის საფუძველზე ყალიბდება უნარი. ეს არის მოწაფის მზადყოფნა გარკვეული სასწავლო მოქმედების შესრულებისთვის. სასწავლო მასალის ნათლად ახსნის შედეგად მოწაფე აცნობიერებს მათემატიკურ, ფიზიკურ, გრამატიკულ კანონზომიერებებს, ამის მეოხებით მას შეუძლია გამოიყვანოს მაგალითი, ამოხსნას ამოცანა, გამართოს წინადადება და ა.შ. მაშასადამე, მას ცოდნის მიღების შედეგად გარკვეული უნარი ჩამოუყალიბდა. მოწაფე ასრულებს რა შეთავაზებულ პრაქტიკულ დავალებას, უსათუოდ იხსენებს, იმეორებს ახალშესწავლილ წესს (კანონს, თეორემას, ფორმულას), რათა შეცდომა არ მოუვიდეს. ასე ხდება გარკვეული დროის განმავლობაში. უნართან მანამდე გვაქვს საქმე, სანამ მოწაფე საჭიროდ თვლის გულში გაიმეოროს (კვლავ წარმოქმნას) თეორიული ცოდნა, რომლის საფუძველზეც სრულდება დავალება.

მოწაფე მრავალგზის იყენებს ნებისმიერ უნარს - უამრავ მაგალითს, ამოცანას, წინადადებას არჩევს გარკვეული ცოდნის მოშველიებით. უნარის ეს ხშირი რეალიზაცია გარკვეული ეტაპზე ავტომატიზმში გადადის. როცა მოსწავლეს აღარ სჭირდება თეორიული ცოდნის, მისი შემადგენელი ელემენტების გახსენება, იგი ისედაც სწორად ასრულებს პრაქტიკულ სამუშაოს, ეს უკვე ჩვევის ჩამოყალიბებას ნიშნავს. ჩვევა ავტომატიზებული უნარია.

როგორც ხედავთ, ცოდნა განაპირობებს უნარს, უნარი კი მრავალგზისი რეალიზაციის მეოხებით - ჩვევას.

ცოდნა - უნარი - ჩვევა

უნარსა და ჩვევებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მათზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის, კერძოდ, მოწაფის, საქმიანობის წარმატება.

დაკვირვებული, თანაც საკმაოდ სწრაფი კითხვის ჩვევა, რაც უმცროსი კლასების მნიშვნელოვანი ამოცანაა, სრულიად აუცილებელია შემდგომ საფეხურებზე კარგად სწავლისათვის. იგივე ითქმის სწორად წერის, მათემატიკურ მოქმედებათა უცდომელად შესრულების, ფართობისა და მოცულობის გაზომვის, წაკითხულის დაკონსპექტებისა და სხვა მრავალ ჩვევაზე, რომლებიც არა მარტო სწავლებაში ასრულებენ საგრძნობ დადებით როლს, არამედ სკოლის დამთავრების შემდეგაც ძალზე საჭირონი არიან თანამედროვე ადამიანისათვის.

უნდა შევნიშნოთ, რომ უნარსა და ჩვევას ყოველგვარი ცოდნა არ წარმოშობს. უნარ-ჩვევებში შეიძლება გადავიდეს ისეთი თეორიული ცოდნა, რომელსაც ნათლად გამოხატული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ერთსა და იმავე საგნებშიაც არის ამ მხრივ ხელსაყრელი და არახელსაყრელი ინფორმაციები. შეიძლება მთელი სასწავლო საგნებიც დაჯგუფდეს მათი შინაარსის უნარ-ჩვევებში გადასვლისას შესაძლებლობის თვალსაზრისით. ასეთი შესაძლებლობა საკმაოდ არის მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო საგნებში, ენებსა და ტექნიკურ დისციპლინებში და თითქმის არ არის ისტორიაში, ლიტერატურის ისტორიაში, გეოგრაფიაში, ასტრონომიაში, საზოგადოებათმცოდნეობაში.

ის ფაქტი, რომ სასწავლო ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ ექვემდებარება უნარ-ჩვევებად ჩამოყალიბებას, ოდნავადაც არ ამცირებს ამ მასალების მეცნიერულსა და საგანმანათლებლო-კულტურულ ღირებულებას.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- დიდაქტიკა არის პედაგოგიკის დარგი, რომელიც სწავლების პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს შეისწავლის.
- ცოდნა არის ადამიანის განმსაზღვრელი ნიშნების მოვლენათა გამომწვევი კანონზომიერების ასახვა საგანთა ცნობიერებაში.
- ცოდნა შემეცნების ბევრად უფრო დაბალი დონეა, ვიდრე ელემენტარული ნაცნობობა ამა თუ იმ ობიექტთან.
- ცოდნის საფუძველზე ყალიბდება უნარი.
- ის ფაქტი, რომ სასწავლო ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ ექვემდებარება უნარ-ჩვევებად ჩამოყალიბებას, ოდნავადაც არ ამცირებს ამ მასალების მეცნიერულსა და საგანმანათლებლო-კულტურულ ღირებულებას.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რომელი დიდაქტიკური ცნებებია უმთავრესი?
რა არის ცოდნა?
რის საფუძველზე ყალიბდება უნარი?
რა დამოკიდებულებაა ცოდნას, უნარსა და ჩვევას შორის?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

სწავლების ტერმინი უნარი სფეროდან ცნებიდან პედაგოგიკის

დიდაქტიკა არის ..... დარგი, რომელიც ..... პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს შეისწავლის. ტერმინი წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან "დიდასკო" (ვასწავლი). პედაგოგიკის ოთხი ძირითადი ..... ორი (განათლება, სწავლება) დიდაქტიკის .....

არის, მაგრამ არსებობს საკუთრივ დიდაქტიკური ცნებებიც, რომელთაგან უმთავრესია ცოდნა, ..., ჩვევა.

9. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ობიექტთან გაცნობიერება მოშველიებით რჩევას წარმოშობს ცნობიერებაში

ცოდნა არის საგნების განმსაზღვრელი ნიშნების მოვლენათა გამომწვევი კანონზომიერების ასახვა ადამიანის .....; ეს არის საგნის, მოვლენის, პროცესის არა შემთხვევითი ნიშნების აღქმა, არამედ მათი უმნიშვნელოვანესი მხარის, არსის .....

ცოდნა შემეცნების ბევრად უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ელემენტარული ნაცნობობა ამა თუ იმ ..... მოწაფე მრავალგზის იყენებს ნებისმიერ უნარს, უამრავ მაგალითს, ამოცანას, წინადადებას არჩევს გარკვეული ცოდნის ..... როგორც ხედავთ, ცოდნა განაპირობებს უნარს, უნარი კი, მრავალგზისი რეალიზაციის მეოხებით - ..... უნდა შევნიშნოთ, რომ უნარსა და ჩვევას ყოველგვარი ცოდნა არ .....

10. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

11. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 8. სწავლების პროცესის არსი

1. გაიხსენეთ, რა დამოკიდებულება არსებობს ცოდნას, უნარსა და ჩვევას შორის.

2. რას წარმოადგენს სწავლის პროცესი? იმსჯელეთ.

3. წაიკითხეთ ტექსტი:

სწავლების პროცესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს ცოდნასა და აუცილებელ სასწავლო უნარ-ჩვევებს ეუფლებიან მოსწავლეები, მაგრამ ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს კაცობრიობაც იძენს. მხედველობაში გვაქვს მეცნიერული აზრის უწყვეტი განვითარება და მასთან დაკავშირებული პროგრესი მატერიალური დოვლათის წარმოებასა და სხვა სფეროში.

წამოიჭრა კითხვა: რა მიმართებაა სასკოლო შემეცნებასა და მეცნიერულ შემეცნებას შორის, მოწაფის სწავლასა და სწავლულის კვლევით საქმიანობას შორის? ამ საკითხის გარშემო ჩამოყალიბდა ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი.

ერთ მათგანს რეკაპიტულაციის თეორია ეწოდება. რეკაპიტულაცია განმეორებას, კვლავწარმოქმნას ნიშნავს. ამ თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ სასკოლო სწავლებაში მოწაფის შემეცნებაში მეორდება ყველაფერი, რაც ნიშანდობლივია მეცნიერული კვლევისათვის, არავითარი განსხვავება ამ ორ პროცესს შორის არ არისო.

მაგრამ მეცნიერული კვლევა ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცესია. ცოდნა, რომლის საფუძვლებსაც ვასწავლით აღსაზრდელებს, ათასობით წლის განმავლობაში გროვდებოდა. მეცნიერული კვლევისათვის დამახასიათებელი ყველა სიძნელე რომ გვხვდებოდეს სწავლებაში, 10-11 წლის განმავლობაში ყველაზე ნიჭიერი მოსწავლეებიც კი ერთ-ორ მეცნიერულ ფაქტს თუ დაეუფლებოდნენ, აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ამასაც ვერ შეძლებდა.

სინამდვილეში დროის ამ მონაკვეთში (სკოლაში სწავლის წლებში) საშუალო განათლების ღრმა და მრავალმხრივ შინაარსს ეუფლება მოსწავლეთა უდიდესი მასა, რაც დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ რეკაპიტულაციის თეორია სწორი არ არის, სასკოლო შემეცნება არ იმეორებს მეცნიერული შემეცნების ყველა თავისებურებას, მისთვის ნიშანდობლივ სიძნელეებს.

არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომლის თანახმადაც, სწავლასა და მეცნიერულ შემეცნებას არაფერი საერთო არ აქვთ და ისინი აბსოლუტურად სხვადასხვა, ურთიერთგამომრიცხავი პროცესებია. ამ თვალსაზრისის მცდარობაზე უკვე ის მეტყველებს, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ცოდნის შეძენასთან, ინფორმაციის დაუფლებასთან, რის გამოც უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს ამ ორ პროცესს არ ჰქონდეს შეხების წერტილები და საერთო მომენტები.

დღეისათვის დაძლეულია ორივე თვალსაზრისის უკიდურესობა. თანამედროვე მეცნიერული აზრი თვლის, რომ სასკოლო და მეცნიერული შემეცნება არც ერთი და იგივე პროცესებია და არც ურთიერთგამომრიცხავი. ეს არის განსხვავებული პროცესები, რომლებსაც საერთო კანონზომიერება აქვთ.

რა კანონზომიერებაა ეს, რომელიც სასკოლო სწავლებას და კვლევით საქმიანობას აახლოებს? ეს არის შემეცნების პროცესის სამსაფეხურიანი ციკლი:

1. გრძნობის ორგანოების აქტივობა (კონკრეტული მონაცემების აღქმა);

2. აბსტრაქტული აზროვნება (მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბება);
3. პრაქტიკული საქმიანობა (შემეცნების მიზანი და ჭეშმარიტების კრიტერიუმი).

ადამიანი გარემომცველ სამყაროში არსებობს, შრომობს, ვითარდება. მას ყოველდღიური ურთიერთობა აქვს სინამდვილის ობიექტებთან, საგნებთან, მოვლენებთან, რომელთა მრავალრიცხოვან, ნაირგვარ თვისებას (ფორმას, ზომას, ფერს, სიმძიმეს, გემოს, სუნს...) გრძნობის ორგანოებით აღიქვამს.

ეს კონკრეტული შთაბეჭდილებები სრულიად აუცილებელია, როგორც საგანთა და მოვლენათა არსის გაგების საფუძველი, მაგრამ მეცნიერული ცოდნა ეს ჯერ კიდევ არ არის.

მეცნიერული (თეორიული) ცოდნა ყალიბდება მეორე საფეხურზე, რომელსაც აბსტრაქტული აზროვნება ჰქვია. აქ ხდება პირველ საფეხურზე მოპოვებული კონკრეტული მონაცემების ანალიზი, რომლის დროსაც ადამიანი აგნებს შესამეცნებელი საგნის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებას, მოვლენის გამომწვევ კანონზომიერებას და ა.შ.

სწორედ ეს განმსაზღვრელი ნიშნები, ეს კანონზომიერებები წარმოადგენენ მეცნიერულ ცოდნას.

არც ერთი კანონზომიერება (თეორემით, ფორმულით, წესით გამოხატული) წმინდა სახით არ გვხვდება ბუნებაში, ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა ერთდროულად სრულიად სხვადასხვა კანონზომიერებას ემორჩილება, სხვადასხვა ტენდენციას ავლენს.

ყოველი ცალკეული ნიშან-თვისება და კანონზომიერება ყველთვის სხვა ნიშნებთან, სხვა კანონზომიერებასთან არის გადახლართული, ამიტომ ძირითადი განმსაზღვრელი ნიშნის გამოყოფაც მხოლოდ აზრობრივად, იდეალურად არის შესაძლებელი, რასაც განყენებული ე.ი. აბსტრაქტული აზროვნება სჭირდება, სწორედ ამიტომ ჰქვია შემეცნების ამ საფეხურს აბსტრაქტული აზროვნება.

განყენებული აზროვნება ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანს შეუძლია, მხოლოდ ადამიანი ქმნის მეცნიერებას, ღრმად იხედება გარემომცველ სამყაროს კანონზომიერებებში.

ცოდნას, მეცნიერებას უდიდესი კულტურული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მთავარი მაინც მისი ცხოვრებისეული დანიშნულება, პრაქტიკული ღირებულებაა. ცოდნა ამსუბუქებს და უფრო ნაყოფიერს ხდის წარმოების პროცესს, სრულყოფს სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებს და ა.შ.

პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმიც არის. ჭეშმარიტია ცოდნა, რომელსაც წარმატება მოაქვს საკაცობრიო პრაქტიკაში.

აი, ეს სამსაფეხურიანი კანონზომიერება (გრძნობის ორგანოების აქტივობა, აბსტრაქტული აზროვნება, პრაქტიკა) არის ის საერთო, რაც საფუძვლად უდევს ნებისმიერ შემეცნებას, მეცნიერულსაც და სასკოლოსაც;

როგორც ითქვა, მოსწავლის და მეცნიერულ შემეცნებას არა მარტო საერთო (კანონზომიერება) აქვთ, არამედ განმასხვავებელი ნიშნებიც:

1. მეცნიერი იმეცნებს ობიექტურად ახალს, ესე იგი იმას, რაც ჯერ არავინ იცის დედამიწის ზურგზე, მოწაფე კი იმეცნებს სუბიექტურად ახალს, ესე იგი იმას, რაც მოცემული კლასისათვის უცნობი და ახალია.

2. მეცნიერები დამოუკიდებლად იკვლევენ გარემომცველ სამყაროს, დამოუკიდებლად ეძებენ მოვლენათა კანონზომიერებას, ამიტომ მეცნიერებმა ჰიპოთეზის შემუშავებისას შეიძლება უზუსტობა დაუშვან, რაც წლობით აჭიანურებს დასახული მიზნის მიღწევას. მოსწავლეების შემეცნებითი საქმიანობას კი მიუძღვის მასწავლებელი, რომელსაც უმოკლესი გზით მოჰყავს ბავშვები ახალ-ახალი ცოდნისაკენ. სასკოლო შემეცნების გზა, პირდაპირია მეცნიერული შემეცნების სპირალისებური სვლისაგან განსხვავებით, და თუ მოწაფეებს არ უხდებათ მეცნიერული კვლევისათვის ნიშანდობლივი ყველა სიძნელის გადალახვა და შეუდარებლად ნაკლებ დროში ეუფლებიან სოლიდურ ცოდნას, ამის „მიზეზი“ სწორედ მასწავლებელია, რომელიც ბავშვს არიდებს შეცდომებს და დროის მინიმალური დანახარჯით აღწევს სასურველ შედეგს.

3. სასკოლო შემეცნების თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მოსწავლეებს საკმაოდ გამარტივებული სახით, ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით მიეწოდებათ მეცნიერული ცოდნა.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- სწავლას და მეცნიერულ შემეცნებას არაფერი საერთო არ აქვთ და ისინი აბსოლუტურად სხვადასხვა, ურთიერთგამომრიცხავი პროცესებია.
- სასკოლო სწავლებაში მეორდება ყველაფერი, რაც ნიშანდობლივია მეცნიერული კვლევისათვის, არავითარი განსხვავება ამ ორ პროცესს შორის არ არის.
- სასკოლო და მეცნიერული შემეცნება არც იდენტური პროცესებია და არც ურთიერთგამომრიცხავი, ეს არის განსხვავებული პროცესები, რომლებსაც საერთო კანონზომიერება აქვთ.
- ადამიანი გარემომცველ სამყაროში არსებობს, შრომობს, ვითარდება, მას ყოველდღიური ურთიერთობა აქვს სინამდვილის ობიექტებთან.
- კონკრეტული შთაბეჭდილებები სრულიად აუცილებელია, როგორც საგანთა და მოვლენათა არსის გაგების საფუძველი და ეს მეცნიერული ცოდნაა.
- მეცნიერული ცოდნა ყალიბდება მეორე საფეხურზე, რომელსაც აბსტრაქტული აზროვნება ჰქვია.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რა მიმართებაა სასკოლო შემეცნებასა და მეცნიერულ შემეცნებას შორის?

რას გვეუბნება რეკაპიტულაციის თეორია?

ჩამოაყალიბეთ შემეცნების პროცესის სამსაფეხურიანი ციკლი.

რომელ ეტაპზე ყალიბდება მეცნიერული (თეორიული) ცოდნა?

რას ნიშნავს აბსტრაქტული აზროვნება?

რისი კრიტერიუმია პრაქტიკა?

რა განმასხვავებელი ნიშნები აქვთ მოწაფის და მეცნიერულ შემეცნებას? ჩამოთვალეთ.

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

საფუძველებსაც შემეცნება ნიშანდობლივ უსფუძვლოა მეცნიერული შეძენასთან კვლევა

მეცნიერული ..... ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცესია. ცოდნა, რომლის ..... ვასწავლით აღსაზრდელებს, ათასობით წლის განმავლობაში გროვდებოდა. სასკოლო ..... არ იმეორებს ..... შემეცნების ყველა თავისებურებას, მისთვის ..... სიძნელეებს. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ცოდნის ....., ინფორმაციის დაუფლებასთან, რის გამოც ..... მტკიცება, თითქოს ამ ორ პროცესს არ ჰქონდეს შეხების წერტილები და საერთო მომენტები.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

მეცნიერული კვლევა ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცესია. _____

ცოდნა, რომლის საფუძველებსაც ვასწავლით აღსაზრდელებს, ბოლო 10 წლის განმავლობაში გროვდებოდა. _____

სწავლასა და მეცნიერულ შემეცნებას არაფერი საერთო არ აქვთ. _____

საგანთა ნაირგვარ თვისებას (ფორმას, ზომას, ფერს, სიმძიმეს, გემოს, სუნს...) ადამიანი გრძნობის ორგანოებით აღიქვამს.

ყველა კანონზომიერება (თეორემით, ფორმულით, წესით გამოხატული) წმინდა სახით გვხვდება ბუნებაში.

განყენებული აზროვნება ყველა ცოცხალ არსებას შეუძლია.

ჭეშმარიტია ცოდნა, რომელსაც წარმატება მოაქვს საკაცობრიო პრაქტიკაში.

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ურთიერთგამომრიცხავი კანონზომიერებას ემორჩილება ობიექტებთან უკიდურესობა

დღეისათვის დაძლეულია ორივე თვალსაზრისის .....

სასკოლო და მეცნიერული შემეცნება არც იდენტური პროცესებია და არც .....

ადამიანს ყოველდღიური ურთიერთობა აქვს სინამდვილის .....

ადამიანი აგნებს შესამეცნებელი საგნის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებას, მოვლენის გამომწვევ .....

ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა ერთდროულად სრულიად სხვადასხვა კანონზომიერებას .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 9-10. ინკლუზიური განათლება

1. რით ჰგავს და რით განსხვავდება მოწაფური და მეცნიერული შემეცნება?

2. რას ნიშნავს სიტყვა „ინკლუზიური“? განმარტეთ თქვენი სიტყვებით.

3. წაიკითხეთ ტექსტი:

ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად წარმოადგენს განხილვის საგანს როგორც მოსახლეობაში, ისე აკადემიურ სფეროში. საკითხის ასეთი აქტუალურობა გვიბიძგებს სათანადოდ გავაანალიზოთ გამოწვევები, რომელთა წინაშეც დღეს ინკლუზიური განათლება დგას. ასევე დავფიქრდეთ, თუ რა პერსპექტივა აქვს ამგვარ განათლებას თანამედროვე, სწრაფად ცვალებად მსოფლიოში.

დეკლარაცია, რომელიც ინკლუზიური განათლების საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვის საფუძველს ქმნის, 1994 წლის ივნისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციაზე დამტკიცდა. სალამანკის დეკლარაცია ეყრდნობა შემდეგ ძირითად დებულებებს: ყველა ბავშვს აქვს უფლება, რომ მიიღოს განათლება, შესაბამისად, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ მიაღწიონ განათლებულობის გარკვეულ დონეს. ყველა ბავშვს აქვს უნიკალური პიროვნული ნიშნები, ინტერესები და უნარები. შესაბამისად, განათლების სისტემა მოწყობილი უნდა იყოს იმგვარად, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებდეს აღნიშნულ ფართო განსხვავებებს ინდივიდებს შორის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებს აქვთ უფლება, იარონ საჯარო სკოლებში, სადაც პედაგოგიკა არის მოსწავლეზე ცენტრირებული და ითვალისწინებს მის საჭიროებებს. დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ საჯარო სკოლები ინკლუზიური ორიენტაციით არის ყველაზე ეფექტური გზა დისკრიმინაციული მიდგომების შესამცირებლად, ხელს უწყობს ტოლერანტული საზოგადოების ფორმირებას. ასეთი სკოლები უზრუნველყოფს ბავშვების უმრავლესობისათვის ეფექტური განათლების გადაცემას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ქვეყნის მდგომარეობაზე.

აღნიშნული დებულებები ყურადღებას ამახვილებს ინკლუზიური განათლების დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ამ კონტექსტში ხაზგასმულია ის კრიტიკული მნიშვნელობის ფაქტი, რომ ყოველი ადამიანი უნიკალურია და საგანმანათლებლო პროგრამები მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული ინდივიდუალურ განსხვავებებზე.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებებში ცნობილია, რომ ყოველი ადამიანი გარკვეული გენეტიკური მოცემულობით იბადება, თუმცა ადამიანის განვითარებაში თანდაყოლილ ფაქტორებთან ერთად დიდ როლს თამაშობს სოციალური გარემო. ინკლუზიური განათლების მიზანია, ბავშვებს შეუქმნას გარემო, რომელშიც მაქსიმალურად მოხდება მათი შესაძლებლობების რეალიზება.

როგორც ვხედავთ, ინკლუზიური განათლების ცნება საკმაოდ კომპლექსურ საკითხებს მოიცავს და ეფუძნება ისეთ პრინციპებს, რომელთა პრაქტიკაში დანერგვაც, ხშირ შემთხვევაში, მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული: როგორ უნდა იყოს ორგანიზებული საკლასო ოთახები, რამდენი მოსწავლე უნდა იყოს კლასში, რა პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს

პედაგოგი - ეს არასრული ჩამონათვალია იმ კითხვებისა, რომლებზე პასუხიც ინკლუზიური განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტების ამოცანაა.

კვლევის ანგარიში "ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში" მოიცავს ფართო ინფორმაციას ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, რომელიც აქტიურ ფაზაში 2006 წლიდან შევიდა და სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი გახდა. როგორც კვლევის ანგარიშშია ხაზგასმული: "2006 წლიდან დაწყებული, ზოგადი განათლების საფეხურზე და 2013 წლის თებერვლიდან პროფესიული განათლების საფეხურზეც, ინკლუზიური განათლების მოდელით სწავლება შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებად განიხილება."

ცხადია, ინკლუზიური განათლების მოდელის წინაშე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გამოწვევა დგას, რამდენადაც განსხვავებულია სოციალური ფონი, ღირებულებათა სისტემა და ეკონომიკური მდგომარეობა.

პირველი და ყველაზე უფრო დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე გამოწვევა, რომელიც ბარიერს უქმნის ინკლუზიური განათლების განვითარებას საქართველოში, არის აღნიშნულ თემაზე კვლევათა სიმცირე. სასარგებლო ცვლილებების განხორციელებისათვის აუცილებელია მიმდინარე პროცესების შეფასება და ანალიზი, რაც დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რამდენადაც არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები და მონიტორინგის სისტემაც არ ფუნქციონირებს სათანადოდ. კვლევის ანგარიში "ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში" ამბობს, რომ "მართალია, სხვადასხვა უწყებაში ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება, მაგრამ არ ხდება ამ მონაცემების თვისებრივი ანალიზი, ხოლო რაოდენობრივი მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში არაზუსტია." ასევე, არ აღირიცხება მატერიალური ხარჯები. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობაში მონიტორინგის ვალდებულება სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულაციითაა განსაზღვრული.

ინკლუზიურ განათლებას სირთულეებს უქმნის საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზებიც. მართალია, საქართველოში მოქმედი კანონები არადისკრიმინაციულია, მაგრამ მაინც აწყდება სხვადასხვა პრობლემას. კერძოდ, არ არის რატიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია. ასევე, ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით, სსსმ მოსწავლეებისათვის აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, თუმცა რეალურად ამ მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილისათვის არის შემუშავებული აღნიშნული გეგმა.

ასევე, არ არსებობს კანონი სკოლების ფიზიკურ ადაპტაციასთან დაკავშირებით, აქედან გამომდინარე, ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებით რთული სიტუაციაა. მოსწავლეები იძულებულნი არიან იარონ არა მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე სკოლაში, არამედ სკოლაში, სადაც რესურსების მხრივ უკეთესი მდგომარეობაა. სკოლების უმრავლესობაში არ ფუნქციონირებს ადაპტირებული ტუალეტი, სპეციალური ლიფტები, არ არის დარეგულირებული საკლასო ოთახის ზომები, განათება და აკუსტიკური მახასიათებლები, დეფიციტურია ადაპტური ტექნოლოგიებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნული გეგმის თანახმად, მშობელი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს შვილის საგანმანათლებლო სივრცის მოწყობაში, მაგრამ ეს უფლება პრაქტიკის დონეზე ნაკლებად ხორციელდება. კვლევების თანახმად, მშობლების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროპის სხვა ქვეყნებშიც პრობლემურია.

პრობლემას ქმნის ადამიანური რესურსებიც, კერძოდ, ფსიქოლოგების არასაკმარისი რაოდენობა, ხოლო ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოწვევა მასწავლებლების კომპეტენტურობას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად ტარდება ტრენინგები მასწავლებელთა უნარების გასაუმჯობესებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მასწავლებლად მუშაობის უფლება მხოლოდ სერტიფიცირებულ პედაგოგებს აქვთ, მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელთა საერთო დონე დამაკმაყოფილებელია.

რაც შეეხება ინკლუზიური განათლების სამომავლო პერსპექტივას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მისი განვითარება არ არის შეფერხებული და ერთ ადგილას გაჩერებული. ინკლუზიური განათლების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვისათვის აუცილებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ გამოწვევაზე სათანადო მუშაობა. აუცილებელია მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გამართულად ფუნქციონირება, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, ფიზიკური გარემოს ადაპტაცია. ეს ყველაფერი კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ სამინისტროების, მშობლების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და ფსიქოლოგების ერთობლივი მუშაობით.

ამგვარად, თანამედროვე მსოფლიოში, სადაც უზენაესი ფასეულობა თანასწორობა, ტოლერანტულობა და ყოველი ადამიანის უნიკალურობის პატივისცემაა, დიდ მნიშვნელობას იძენს ინკლუზიური განათლების მოდელი, რამდენადაც იგი ეფუძნება დემოკრატიული საზოგადოებისათვის მისაღებ მორალურ-ეთიკურ პრინციპებს, საშუალებას აძლევს ყველა ადამიანს, თავი სრულფასოვან პიროვნებად იგრძნოს და აქტიურად იცხოვროს.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- დეკლარაცია, რომელიც ინკლუზიური განათლების საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვის საფუძველს ქმნის, 1994 წლის ივნისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციაზე დამტკიცდა.
- ყველა ბავშვს აქვს უფლება, რომ მიიღოს განათლება.
- ბავშვებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ მიაღწიონ სიმდიდრის გარკვეულ დონეს.
- ყველა ბავშვს აქვს ერთნაირი პიროვნული ნიშნები, ინტერესები და უნარები.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებს აქვთ უფლება, იარონ საჯარო სკოლებში.
- ყველა ადამიანი ერთგვარი გენეტიკური მოცემულობით იბადება.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რა წარმოადგენს განხილვის საგანს როგორც მოსახლეობაში, ისე აკადემიურ სფეროში?

რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ინკლუზიური განათლება?

რა დეკლარაცია მიიღეს 1994 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციაზე?

რას უნდა ითვალისწინებდეს საგანმანათლებლო პროგრამები?

რატომ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა ინკლუზიურ განათლებას?

რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ინკლუზიური განათლების დანერგვა?

რა გამოწვევებია საქართველოში, რაც ბარიერს უქმნის ინკლუზიური განათლების განვითარებას საქართველოში?

რას იტყოდით ინკლუზიური განათლების სამომავლო პერსპექტივაზე?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პრინციპებს არასრული სირთულეებთან პრინციპებით ორგანიზებული კომპლექსურ

ინკლუზიური განათლების ცნება საკმაოდ ..... საკითხებს მოიცავს და ეფუძნება ისეთ ....., რომელთა პრაქტიკაში დანერგვაც, ხშირ შემთხვევაში, მთელ რიგ ..... არის დაკავშირებული: როგორ უნდა იყოს ..... საკლასო ოთახები, რამდენი მოსწავლე უნდა იყოს კლასში, რა ..... უნდა ხელმძღვანელობდეს პედაგოგი - ეს ..... ჩამონათვალია იმ კითხვებისა, რომლებზე პასუხიც ინკლუზიური განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტების ამოცანაა.

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მუშაობა ფუნქციონირება ხარვეზები მოდელი გაჩერებული კონვენცია

ინკლუზიურ განათლებას სირთულეებს უქმნის საკანონმდებლო ბაზაში არსებული .....
არ არის რატიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების .....
..... ინკლუზიური განათლების განვითარება არ არის შეფერხებული და ერთ ადგილას ..... ინკლუზიური განათლების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვისათვის აუცილებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ გამოწვევაზე სათანადო ..... აუცილებელია მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გამართულად ..... თანამედროვე მსოფლიოში, სადაც უზენაესი ფასეულობა თანასწორობა, ტოლერანტულობა და ყოველი ადამიანის უნიკალურობის პატივისცემაა, დიდ მნიშვნელობას იძენს ინკლუზიური განათლების .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 11-12. განათლების სისტემის მდგომარეობა საქართველოში

1. რას უნდა ითვალისწინებდეს ინკლუზიური განათლება?

2. წარმოადგინეთ პრობლემები, რომლებსაც თქვენ ხედავთ თქვენს რეგიონში (განათლების მიმართულებით).

3. წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოში განათლების კუთხით არსებული დღევანდელი მდგომარეობა სავალალოა. ის რომ ყველა ბავშვმა აუცილებლად უნდა დაამთავროს უმაღლესი - არ არი მიდგომ ქვეყნისთვის სასარგებლო და ამის შედეგებს დღეს ყველა ვიმკით. ყველა რომ ამთავრებს სკოლას, კოლეჯსა თუ უნივესიტეტს,ნამდვილეში კი მხოლოდ დიპლომიან უცოდინარ კადრებს ვიღებთ - ეს ვითარება უნდა შეიცვალოს. სწორედ აქეთკენ მიდის დღევანდელი განათლების რეფორმა, რაც არის წინ გადადგმული ნაბიჯი და იგი რადიკალურად შეცვლის დღევანდელ სურათს.

ამდენ "ვითომდა" ნასწავლს ქვეყანა ვეღარ აუდის და ამის შედეგი კი მასობრივი უმუშევრობა გახლავთ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლის შეტანა რეფორმის წარმატებით განხორციელებაში შეუძლიათ პედაგოგებს, თუმცა, აქაც ფსიქოლოგიის ცოდნის გარეშე ფონს ვერ გავალთ.

პროფესიული უნარები კი, რომლებიც რეფორმის ერთ-ერთ ასპექტს შეადგენს და სუფთა წყლის ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენებას გულისხმობს აღზრდის პროცესში, არის წინგადადგმული ნაბიჯი. მე, პირადად, მივესალმები ამას, ბოლოს და ბოლოს დავინახეთ, რომ ფსიქიკის სიღრმეებში წვდომის გარეშე შორს ვერ წავალთ.

ამ გზით კი ფსიქოლოგია უფრო და უფრო უახლოვდება მეცნიერების მრავალ დარგს, უპირველეს ყოვლისა კი - პედაგოგიკას. პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში არსებული ცოდნა, რომელიც დროთა განმავლობაში მივიწყებული იყო, დღეს ისევ აღმასვლის გზაზეა. მეცნიერების ამ დარგს აინტერესებს ადამიანის ქცევა სწავლის პროცესში. მასწავლებელი მუდმივად რაღაცას ცვლის მოსწავლეში, ახდენს მისი პიროვნების კორექციას. სწავლის უნარ-ჩვევები მემკვიდრეობით არ გადაეცემა ბავშვს, ამიტომაც ექცევა ფსიქოლოგიურ ცოდნა-გამოცდილებას დიდი ყურადღება. თუ რატომ გაჩნდა ასეთი ინტერესი განათლების მიმართ, ამ კითხვაზე საკმაოდ მარტივი პასუხი არსებობს - ყველაზე ძვირფასი რესურსი, რომელიც აქვს ქვეყანას, არის ადამიანური რესურსი, ამიტომაც მისი ოპტიმალური განვითარება და გამოყენება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის.

მრავალი თეორია მიეძღვნა ბავშვთა განვითარების შესწავლას განათლების პროცესში. ერთ-ერთი არის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. შემდეგი მოსაზრება ნამდვილად ჭეშმარიტია - უზნაძე რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში არ დაბადებულიყო, მის გენიალობას დღეს მსოფლიო უდავოდ აღიარებდა. იგი, მართლაც რომ, ღირსეულ აგილს იჭერს ისეთი ცნობილი ფსიქოლოგების გვერდით, როგორებიც არიან: პიაჟე, ერიქსონი, ფროიდი და ა.შ. უზნაძის

განწყობის ფსიქოლოგიის როლი პედაგოგიკაში ძალიან დიდია. მისი კონცეფცია 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა. მისი აზრით, პიროვნება არის აქტიური არსება, რომელიც ექვემდებარება აღზრდას - ეს იდეა დაედო საფუძვლად განწყობის თეორიას.

ის პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც ეწეოდა დიმიტრი უზნაძე, დიდი მნიშვნელობის მატარებელია მისი თეორიისთვის. სწორედ ამ გზით მივიდა იგი იმ დასკვნამდე, რომ პედაგოგიკის ძირითადი დანიშნულება აღზრდაში მდგომარეობს, აღზრდა კი თავის თავში გულისხმობს სრულყოფილებისაკენ სწრაფვას. ამ გზაზე ადამიანი ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეიქმნას და მიაღწიოს კეთილდღეობის მაქსიმუმს. წარსული შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ სახელმძღვანელოდ, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი აგებს საკუთარ აწმყოსა და მომავალს. პედაგოგიკის დანიშნულების რეალიზაცია კი მოითხოვს აღზრდის ობიექტს, რომელსაც ბავშვი წარმოადგენს. ხშირად ბავშვის ფენომენი არასწორად არის გაგებული, ბავშვი არ უნდა ჩაითვალოს პატარა მოზარდად, ამიტომაც აღზრდისას არ უნდა დავაჩქაროთ მოვლენები და ბავშვს არ უნდა მოვთხოვოთ მოზარდებისთვის დამახასიათებელი ქცევა.

ერთი სიტყვით, ბავშვს არ უნდა წავართვათ ბავშვობა. ცხოვრების ამ ეტაპის არასრულფასოვანი და არაადეკვატური გავლა განაპირობებს იმას, რომ მოზარდობისას ინდივიდისათვის დამახასიათებელი იქნება ბავშვური ქცევები, ანუ ის დანაკლისი, რომელიც მან საწყის ეტაპზე განიცადა, უარყოფითად იჩენს თავს ცხოვრების შემდგომ წლებში. ასევე არასწორად არის გაგებული თამაშის ფენომენი. დღესდღეობით თამაშებით სწავლება საკმაოდ აქტუალურია. ბაგა-ბაღიდან ბავშვი პირდაპირ სასკოლო მერხთან ხვდება, ბაღში კი მას თამაშის მეტი არაფერი უკეთებია. სკოლამდელი აღზრდის დანერგვა გულისხმობს ბავშვის მომზადებას სასწავლო პროცესისათვის. სკოლაში კი ბავშვის დიდად შეზღუდვა, თამაშის უფლების ჩამორთმევა, მისი მაქსიმალური გაკონტროლება იწვევს ბავშვის ფრუსტრაციას. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამაში არის ბავშვის იდეებისა და ფანტაზიის რეალიზაციის ერთ-ერთი საწყისი ეტაპი - სწორედ ამიტომ ექცევა მას დიდი ყურადღება აღზრდის პროცესში.

ნებისმიერი ბავშვი არის უნიკალური თავისი არსით და მის ინდივიდუალობას კი პედაგოგი უნდა ჩასწვდეს, ამის გარეშე იგი აღზრდის პროცესში დიდ წარმატებას ვერ მიაღწევს. უზნაძე საუბრობს იმ წინააღმდეგობაზეც, რომელიც თან ახლავს აღმზრდელობით პროცესს. მან ამ ეტაპს "აღზრდის ძირითადი ტრაგედია" უწოდა. ბზარი აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებებში ჩნდება. ეს პრობლემა აღმოცენდება სწორედ მაშინ, როდესაც პედაგოგი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლის ინდივიდუალობას, მის სურვილებს და მხოლოდ საკუთარი მოტივებით ხელმძღვანელობს. ეს საკითხი მწვავე პრობლემად დგას დღევნდელ სკოლებში. "ის, რაც, აღმზრდელის აზრით, კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად ითვლება" _ ამბობს უზნაძე. ამ მდგომარეობის შერბილების ერთ-ერთი გზა არის მოსწავლის განვითარების ეტაპების შესწავლა, თითოეული სტადიისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების ცოდნა.

მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ათვისება გახდის შესაძლებელს, ეს ბზარი შევავსოთ. უზნაძე ეწინააღმდეგებოდა აღზრდის ცალმხრივობას. მისი აზრით, პროცესი, რომელიც გულისხმობს სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებას, უნდა ემყარებოდეს ადამიანის მიერ არჩეული

საკუთარი ცხოვრებისუ ლი მიზნების განხორციელებას. სკოლა კი არის გამაშუალებელი რგოლი, რომლის დახმარებითაც რეალიზდება ცხოვრების ლაიტმოტივი და იზრდება ადამიანის შესაძლებლობები. უზნაძე შემთხვევითად არ მიიჩნევს პედაგოგიკას ხელოვნების ნიმუშად, სადაც მასწავლებელ, გარდა აღმზრდელობითი ნიჭისა, სჭირდება პედაგოგიური უნარ-ჩვევები. უზნაძე განასხვავებს ერთმანეთისგან პრაქტიკულ და თეორიულ პედაგოგიკას. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აკეთოს თავისი საქმე საზოგადოებისა და ბავშვის პიროვნების განვითარების საკეთილდღეოდ. უზნაძის აზრით, აუცილებელია სკოლაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც "მოითხოვენ ბავშვის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების, არამედ მთელი მისი ბუნების მოქმედებაში მოყვანას".

უმნიშვნელოვანესი აღზრდის პროცესში არის დისციპლინა. სწორედ მისი საშუალებით ვითარდება ნებისყოფა, თუმცა გადამეტება არც აქ ვარგა. ძლიერი ნებისყოფა შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. ნებისყოფის შენარჩუნება დამოკიდებულია გავარჯიშებაზე და სკოლა კი ამის საუკეთესო ადგილი გახლავთ. უზნაძე, ასევე, საუბრობს სასწავლო პროცესიდან ციფრებით შეფასების მეთოდის განდევნაზე. ეს მეთოდი სუბიექტური ხასიათისაა, ერთგვარი უნდობლობის წყაროა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ნდობისა და სიყვარულის ატმოსფერო კი არის უმნიშვნელოვანესი, რათა ბავშვი იყოს გახსნილი სწავლების პროცესის მიმართ. განწყობის ფსიქოლოგია ადამიანს მთლიანობაში განიხილავს და არ ყოფს მას ცალკეული პროცესების ჯამად. უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი.

"სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამადე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული". განწყობა აიხსნება, როგორც ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევა. ადამიანის ქცევას კი განსაზღვრავს მოთხოვნილება, რომელიც წარმოადგენს რაიმეს დეფიციტს. გარდა სუბიექტური ფაქტორისა, აუცილებელია იმ ობიექტური ფაქტორის არსებობა, რომელსაც გარემო ეწოდება. გარემო არის აუცილებელი ფაქტორი ქცევის განხორციელებისთვის. თუმცა, ადამიანის ქცევისადმი მზაობა იცვლება იმ სიტუაციის შესაბამისად, რომელშიც იგი იმყოფება.

ანუ სიტუაცია ადამიანის ქცევას მანამ განსაზღვრავს, სანამ ეს ქცევა რეალიზდება. სიტუაციისადმი დამოკიდებულება კი ორგვარი არსებობს _ დადებითი და უარყოფითი. ამ დამოკიდებულების ხასიათი კი განაპირობებს ადეკვატურ ქცევას, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ბავშვს სწავლების პროცესისადმი დადებითი განწყობა შევუქმნათ, მოვახერხოთ მისი მთლიანი პიროვნების ჩაბმა სასწავლო პროცესში და მასალა აუცილებლად უნდა მოვარგოთ ბავშვის შესაძლებლობებს.

მოსწავლის ქცევის განხორციელება აუცილებელია ისეთ გარემოში, რომელშიც სრულფასოვნად დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნილებები. ამ ყველაფრის ცოდნა არის უმნიშვნელოვანესი თითოეული პედაგოგისათვის. სწორად დაგეგმილი აღზრდის პროცესის შედეგად ბავშვი ყალიბდება სრულფასოვან პიროვნებად, რომელმაც იცის, თუ რა სურს ცხოვრებაში, რა არის კარგი და რა არის ცუდი, იგი რეალუარდ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, რასაც მივყავართ იქითკენ, რომ ადამიანი სწორად გეგმავს საკუთარ მომავალს და წარმატებაც გარანტირებული აქვს.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- საქართველოში განათლების კუთხით არსებული დღევანდელი მდგომარეობა სავალალოა.
- ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს განათლების მიღების უფლება.
- ფსიქოლოგია უფრო და უფრო შორდება მეცნიერების მრავალ დარგს, უპირველეს ყოვლისა კი, პედაგოგიკას.
- პედაგოგიურ ფსიქოლოგიას აინტერესებს ადამიანის ქცევა სწავლის პროცესში.
- მასწავლებელი მუდმივად რაღაცას ცვლის მოსწავლეში, ახდენს მისი პიროვნების კორექციას.
- სწავლის უნარ-ჩვევები მემკვიდრეობით გადაეცემა ბავშვს.
- ნებისმიერი ბავშვი არის უნიკალური თავისი არსით და მის ინდივიდუალობას კი პედაგოგი უნდა ჩასწვდეს.

- მოსწავლის ქცევის განხორციელება აუცილებელია ისეთ გარემოში, რომელშიც ვერ დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნილებები.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

როგორი მდგომარეობაა საქართველოში განათლების კუთხით?
შესაძლებელია თუ არა განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბება ფსიქოლოგიის გარეშე?
რა დაედო საფუძვლად განწყობის თეორიას?
რა არის თამაში, უზნაძის მიხედვით?
რატომ არის მნიშვნელოვანი აღზრდის პროცესში დისციპლინა?
რას წარმოადგენს უზნაძის მიხედვით განწყობა?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:
ფსიქოლოგიაში, ცვლის, მემკვიდრეობით, ცოდნა-გამოცდილებას, კორექციას, ქცევა, დარგს

ფსიქოლოგია უფრო და უფრო უახლოვდება მეცნიერების მრავალ ....., უპირველეს ყოვლისა კი, პედაგოგიკას. პედაგოგიურ ..... არსებული ცოდნა, რომელიც დროთა განმავლობაში მივიწყებული იყო, დღეს ისევ აღმასვლის გზაზეა. მეცნიერების ამ დარგს აინტერესებს ადამიანის ..... სწავლის პროცესში. მასწავლებელი მუდმივად რაღაცას ..... მოსწავლეში, ახდენს მისი პიროვნების ..... სწავლის უნარ-ჩვევები ..... არ გადაეცემა ბავშვს, ამიტომაც ექცევა ფსიქოლოგიურ ..... დიდი ყურადღება.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:
მრავალი თეორია მიეძღვნა ბავშვთა განვითარების შესწავლას განათლების პროცესში. _____
უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის როლი პედაგოგიკაში ძალიან დიდია. _____
პედაგოგიკის ძირითადი დანიშნულება სწავლებაშია. _____
ადამიანი ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეიქმნას და მიაღწიოს კეთილდღეობის მაქსიმუმს. _____
ბავშვი უნდა ჩაითვალოს პატარა მოზარდად, ამიტომაც აღზრდისას უნდა დაჩქარდეს მოვლენები. _____
სკოლამდელი აღზრდის დანერგვა გულისხმობს ბავშვის მომზადებას სასწავლო პროცესისათვის. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:
პროცესში, შევავსოთ, პედაგოგიკას, მომავალს, ხელმძღვანელობს, უნარ-ჩვევები, ჩასწვდეს, სავალალოა

საქართველოში განათლების კუთხით არსებული დღევანდელი მდგომარეობა .....

მრავალი თეორია მიეძღვნა ბავშვთა განვითარების შესწავლას განათლების .....
წარსული შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ სახელმძღვანელოდ, რომლის მეშვეობითაც ინდივიდა აგებს საკუთარ აწმყოსა და .....
ნებისმიერი ბავშვი არის უნიკალური თავისი არსით და მის ინდივიდუალობას კი პედაგოგი უნდა .....
პრობლემა აღმოცენდება სწორედ მაშინ, როდესაც პედაგოგი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლის ინდივიდუალობას, მის სურვილებს და მხოლოდ საკუთარი მოტივებით .....
მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ათვისება გახდის შესაძლებელს ეს ბზარი .....
მასწავლებელს, გარდა აღმზრდელობითი ნიჭისა, სჭირდება პედაგოგიური .....
უზნაძე განასხვავებს ერთმანეთისგან პრაქტიკულ და თეორიულ .....

11. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

12. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 13-14.სასკოლო რეფორმა და ინოვაციური ტექნოლოგიები

1. არის თუ არა საჭირო რეფორმა სკოლებში? გამოთქვით თქვენი აზრი.

2. რას ნიშნავს ინოვაცია? როგორ გესმით „ინოვაციური ტექნოლოგიები“? იმსჯელეთ.

3. წაიკითხეთ ტექსტის პირველი ნაწილი:

I.

სასკოლო რეფორმით დასახული ამოცანების წარმატებით რეალიზაციის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შედეგობრიობის ამაღლებას.

ინოვაციური ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების ეფექტურობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს მასწავლებელი ინოვაციებს და რა დამოკიდებულება აქვს ინოვაციური მიდგომების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მიმართ. როგორც ცნობილია, ნებისმიერი პედაგოგიური ტექნოლოგია წარმოადგენს განსაზღვრული პედაგოგიური კონცეფციის, განათლების სტრატეგიის გარდასახვის თავისებურ ვარიანტს.

სწავლების ტექნოლოგიის პროექტირების თვალსაზრისით კონსტრუქციულ მიდგომად მიგვაჩნია ვ. ლაუდისის მიერ შემოთავაზებული სწავლების სისტემის ისეთი პარამეტრი, როგორიცაა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზაციის ხასიათი. ავტორი ამტკიცებს, რომ ,,ტრადიციული'' და ,,ინოვაციური'' სწავლება განსხვავდებიან ადგილის მიხედვით, რომელიც სწავლების პროცესში უჭირავთ სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ოპერატიულ-ტექნიკურ, აზრობრივ და მიზნობრივ მხარეებს. თუ ,,ტრადიციული'' სწავლება საქმიანობის შემსრულებლობითი ოპერატიულ-ტექნიკური მხარის დაუფლებით წინ უსწრებს აზრობრივსა და მიზნობრივს, მაშინ ინოვაციურ სწავლებაში წინა პლანზე გამოდიან შემოქმედებითი და პროდუქტიული ამოცანები, რომლებიც განსაზღვრავენ მოსწავლეების მიერ რეპროდუქციული ამოცანების არჩევის აზრსა და მოტივებს.

ტრადიციულ, საგანზე ორიენტირებულ სწავლების პრაქტიკაში მრავალრიცხოვანი ცდაა ჩატარებული, რათა ,,გააქტიურონ'', ,,გააჰუმანურონ'' და გააძლიერონ სწავლების ხასიათი ყოველნაირი ფორმის, მეთოდის, საშუალების გამოყენების ხარჯზე, რომლებიც ააქტიურებენ სასწავლო საქმიანობას. მაგრამ, ამასთანავე, მასწავლებელთა მიზნობრივი მითითებები უწინდელი რჩება. შედეგობრიობის შეფასება ნიშნავს მათი პედაგოგიური საქმიანობის წარმატებულობისა და ეფექტურობის შეფასებას, რომელიც ხდება სავსებით განსაზღვრული კრიტერიუმებით. ყველა დანარჩენი მიზანი, მიუხედავად ყველა მტკიცებულებისა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მთლიანობის შესახებ, აპრიორი რჩება კეთილ სურვილებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება მასწავლებელთა მისწრაფება, გააცნობიერონ განათლებაში ინოვაციური ტენდენციების პროცესი, რომელშიც, ერთი მხრივ, გვხვდება სკოლის გასაახლებლად ზოგადკონცეპტუალური გადასვლები, ხოლო მეორე მხრივ,მასწავლებელთა დაძაბულობა სიახლესთან მიმართებით და ძველის, მაგრამ ჩვეულის უარყოფის შიში, ვინაიდან არ გააჩნიათ აპრობირებული სტრატეგია და ტაქტიკა.

ამგვარად, განათლებაში ინოვაციური პროცესების გამოსაკვლევად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინოვაციებისადმი მასწავლებელთა დამოკიდებულების პრობლემას. ასე მაგალითად, როცა ბულგარელი მკვლევარი კ. ანგელოვსკი ლაპარაკობს ,,მასწავლებელთა მიერ სიახლეების მიღებაზე'', გულისხმობს აზრობრივ (წარმოდგენით) ათვისებას, მასწავლებელთა მზადყოფნას გარკვეული სიახლეების მისაღებად, მათი შეფასების აუცილებლობას, პრაქტიკაში მათი დანერგვისათვის მზადყოფნას.

ინტერესს იმსახურებს ე. როჯერსის კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყოფილია მასწავლებელთა ხუთი ჯგუფი:

პირველი ჯგუფი - ნოვატორები, ანუ პედაგოგები მკაფიოდ გამოხატული ნოვატორული სულით, რომლებიც ყოველთვის პირველები იღებენ სიახლეს, თამამად ავრცელებენ და ნერგავენ მას.

მეორე ჯგუფი - მოწინავენი, სხვებზე წინ მდგომნი სიახლის ათვისებაში, რომლებიც ხალისით ჰკიდებენ ხელს მათ დანერგვას.

მესამე ჯგუფი - ზომიერნი, ეგრეთ წოდებული ,,ოქროს შუალედი'', რომლებიც არ ისწრაფვიან, იყვნენ პირველები და არც უკანასკნელნი, მხარს უჭერენ სიახლეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიღებულია უმრავლესობის მიერ და როცა იგი უკვე ძალაშია.

მეოთხე ჯგუფი – ეჭვიანები, რომლებიც აკეთებენ არჩევანს ახალსა და ძველს შორის და ახლისაკენ იხრებიან მხოლოდ მას შემდეგ, როცა საზოგადოებრივი აზრი უკვე ფორმირებულია.

მეხუთე ჯგუფი - მჭიდროდ დაკავშირებულია ძველთან, ანუ კონსერვატორები, რომლებიც სულ ბოლოს იღებენ გადაწყვეტილებას სიახლის მიღების თაობაზე.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- ინოვაციური ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების ეფექტურობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს მასწავლებელი ინოვაციებს.
- ნებისმიერი პედაგოგიური ტექნოლოგია წარმოადგენს განუსაზღვრელი პედაგოგიური კონცეფციის, განათლების სტრატეგიის გარდასახვის თავისებურ ვარიანტს.
- ,,ტრადიციული'' და ,,ინოვაციური'' სწავლება განსხვავდებიან ადგილის მიხედვით.
- ტრადიციულ, საგანზე ორიენტირებულ სწავლების პრაქტიკაში ძალიან მცირე რაოდენობის ცდებია ჩატარებული.
- შედეგობრიობის შეფასება ნიშნავს მათი პედაგოგიური საქმიანობის წარმატებულობისა და ეფექტურობის შეფასებას.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რა წარმოადგენს სასკოლო რეფორმით დასახული ამოცანების წარმატებით რეალიზაციის ერთ-ერთ ძირითად პირობას?

რას უწყობს ხელს ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება?

რაზეა დამოკიდებული ინოვაციური ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების ეფექტურობა?

რას გულისხმობს ვ. ლაუდისის მიერ შემოთავაზებული „სწავლების სისტემის სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზაციის ხასიათი“?

რას ნიშნავს შედეგობრიობის შეფასება?

რას აქვს უდიდესი მნიშვნელობა განათლებაში ინოვაციური პროცესების გამოსაკვლევად?

ჩამოაყალიბეთ ე. როჯერსის კლასიფიკაცია (მასწავლებელთა ხუთი ჯგუფი).

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

რეალიზაციის ორიენტირებულ გააჰუმანურონ *სასწავლო-აღმზრდელობითი ტექნოლოგიების* საქმიანობას *დასახული სასკოლო რეფორმით ..... ამოცანების წარმატებით ..... ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ახალი პედაგოგიური ..... შემოქმედებითად გამოყენება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ..... პროცესის შედეგობრიობის ამაღლებას.*

ტრადიციულ, საგანზე ..... სწავლების პრაქტიკაში მრავალრიცხოვანი ცდაა ჩატარებული, რათა ,,გააააქტიურონ", ,,....." და გააძლიერონ სწავლების ხასიათი ყოველნაირი ფორმის, მეთოდის, საშუალების გამოყენების ხარჯზე, რომლებიც ააქტიურებენ სასწავლო ..... მაგრამ ამასთანავე, მასწავლებელთა მიზნობრივი მითითებები უწინდელი რჩება.

9. წაიკითხეთ ტექსტის მეორე ნაწილი:

II.

ვ.ხარლამოვი, გამოყოფს რა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დონეს, თვლის, რომ საბაზო მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს პედაგოგიური უნარი, რომელშიც იგი გულისხმობს მოსწავლეთა და აღსაზრდელთა უნარ-ჩვევების სისტემის საკმაო ფლობას და რომლებიც ერთობლიობაში პედაგოგს უქმნიან საშუალებას, განახორციელოს სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა წიგნიერ პროფესიონალურ დონეზე და მიაღწიოს წარმატებულ სწავლებასა და მოსწავლეთა აღზრდას. მასწავლებლის პროფესიული ზრდის შემდეგ ეტაპად ავტორი მიიჩნევს ოსტატობას, რომელშიც იგი გულისხმობს მოსწავლის უმაღლესი დონის სრულყოფილებამდე მიყვანას და აღმზრდელობით სიმარჯვესა და უნარს, რომელიც ასახავს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თეორიის პრაქტიკაში გამოყენების მეთოდებისა და ხერხების დახვეწილობას, რის წყალობითაც ხდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალი ეფექტურობის უზრუნველყოფა.

საინტერესოა, რომ ბოლო წლებში პედაგოგიურ ლიტერატურაში შემოქმედებითი საქმიანობას განსაზღვრავენ, როგორც პრაქტიკულ ქმედებას, რომლის მიზანია ახლის სრულყოფილად გამოყენება, შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელება ახლის შესაქმნელად. ავტორების აზრით, პედაგოგიური შემოქმედება არა იმდენადაა დაკავშირებული ახალი იდეებისა და პრინციპების პროდუცირებასთან, რამდენადაც მათ მოდერნიზაციასთან, სახეცვლილებასთან და მხოლოდ თავისი პროფესიული საქმიანობის უმაღლეს - ნოვატორობის დონეზე, მასწავლებელი ახდენს ახალი, პროგრესული პრინციპების, სწავლებისა და აღზრდის პროცესში რეალიზებას.

ნოვატორული პედაგოგიური საქმიანობა წარმოადგენს არა მხოლოდ გზას მოსწავლის შინაგანი სამყაროს, მისი კრეატიულობის შესასწავლად, არამედ მათი გაგებისა და გამოვლენის შედეგსაც. ამიტომაც მის საფუძველში დევს პედაგოგიური შემოქმედება როგორც პროცესი და როგორც რეზულტატი.

პედაგოგიურ საქმიანობაში არის დიაგნოსტიკური და მეთოდური შემოქმედება:

მოსწავლის პიროვნების შესწავლის ახალი საშუალებების ძიება და პოვნა;
ახალი დიაგნოსტიკური საშუალებების, შემოქმედებითი სწავლების მეთოდების ახალი შეთავსებების შექმნა და გამოყენება;
პედაგოგიური ურთიერთობები - არის კომუნიკაციური შემოქმედება, ანუ ურთიერთობათა შემოქმედებითობა;
ახალი კომუნიკაციური ამოცანების, მეცადინეობებზე მოსწავლეთა პიროვნებათშორისი ურთიერთქმედების მობილიზაციის ახალი საშუალებების ძიება და პოვნა;
მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობაში ურთიერთობების ახალი ფორმების შექმნა.

ამგვარად, ჩვენ გავარკვიეთ, რომ მასწავლებელთა დამოკიდებულება ინოვაციებთან პირდაპირპროპორციულია იმისა, თუ რომელ საფეხურზე პროფესიული ზრდის თვალსაზრისით იმყოფებიან ისინი. ამას გარდა, შეიძლება აღინიშნოს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც აგრეთვე ახდენენ გავლენას მასწავლებელთა დამოკიდებულებაზე ინოვაციური პროცესის მიმართ: სიახლის მიზანი; სიახლის დანერგვის მეთოდიკა; მასწავლებელთა მოტივაცია.

მაგალითად, გამოავლინა რა მოტივები, რომლითა გამოც მასწავლებლებმა დაიწყეს საავტორო დიდაქტიკური სისტემების შექმნა, ცნობილმა დიდაქტიკოსმა დ. ლევიტესმა პროფესიული საქმიანობის მიხედვით გამოყო მასწავლებელთა მოტივების ხუთი განსხვავებული ჯგუფი:

1. არსებული მეთოდური დამუშავებებით უკმაყოფილება. მისწრაფება გააუმჯობესოს თავისი შრომის შედეგები (54.7%);
2. ინოვაციური საქმიანობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა (3.2%);
3. პრესტიჟი (და პროფესიული ღირსების გრძნობა) (17%);
4. მერკანტილური მოსაზრებები, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული სტატუსის შესაძლო ამაღლებასთან (19.8%);
5. ინტელექტუალური თვითრეალიზაცია (5.3%).

შეგვიძლია გავაკეთოთ ამ სახის დასკვნა: ინოვაციურ საგანმანათლებლო პროცესში მასწავლებელთა წარმატებული მონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ პროფესიული საქმიანობა ხორციელდებოდეს სისტემურ - მოდელირებულ დონეზე, რომელიც გულისხმობს:

- *საავტორო პროგრამების დამუშავებას;*
- *გაკვეთილის პრობლემურ-შემოქმედებით აგებულებას;*
- *ავტორის მიერ სასწავლო მასალის კონსტრუირებას;*
- *სწავლების ტექნოლოგიის, მოსწავლის პიროვნების განვითარებისა და თვითგანვითარების სისტემურ აგებულებას;*
- *დიაგნოსტიკის საშუალებების შექმნა. სწავლებაში მოსწავლეთა წინსვლისათვის დიაგნოსტიკისა და კორექციის პირობების შექმნას.*

10. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

11. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

12. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის რა დონეებს გამოყოფს ვ. ხარლამოვი?

როგორ განმარტავენ ბოლო წლებში შემოქმედებით საქმიანობას?

რა არის პედაგოგიურ საქმიანობაში დიაგნოსტიკური და მეთოდური შემოქმედება?

წარმოადგინეთ პროფესიული საქმიანობის მიხედვით დაყოფილი მასწავლებელთა მოტივების ხუთი განსხვავებული ჯგუფი.

რას გულისხმობს პროფესიული საქმიანობა განხორციელება სისტემურ - მოდელირებულ დონეზე?

13. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

შემოქმედებითი საქმიანობას განსაზღვრავენ, როგორც პრაქტიკულ ქმედებას, რომლის მიზანია ახლის სრულყოფილად გამოყენება. _____

პედაგოგიური შემოქმედება ძალიანაა დამოკიდებული ახალი იდეებისა და პრინციპების პროდუცირებასთან და საჭიროდ არ მიიჩნევს მათ მოდერნიზაციას. _____

მასწავლებელი ახდენს ახალი, პროგრესული პრინციპების სწავლებისა და აღზრდის პროცესში რეალიზებას. _____

მასწავლებელთა დამოკიდებულება ინოვაციებთან პირდაპირპროპორციულია იმისა, თუ პროფესიული ზრდის თვალსაზრისით რომელ საფეხურზე იმყოფებიან ისინი. _____

დ. ლევიტესმა პროფესიული საქმიანობის მიხედვით გამოყო მასწავლებელთა მოტივების 2 განსხვავებული ჯგუფი. _____

ინოვაციურ საგანმანათლებლო პროცესში მასწავლებელთა წარმატებული მონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ პროფესიული საქმიანობა ხორციელდებოდეს სისტემურ - მოდელირებულ დონეზე. _____

14. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

რეალიზებას დონეზე შესასწავლად მოტივაცია მოდერნიზაციასთან

ავტორების აზრით, პედაგოგიური შემოქმედება არა იმდენადაა დაკავშირებული ახალი იდეებისა და პრინციპების პროდუცირებასთან, რამდენადაც მათ .....

მასწავლებელი ახდენს ახალი, პროგრესული პრინციპების, სწავლებისა და აღზრდის პროცესში .....

ნოვატორული პედაგოგიური საქმიანობა წარმოადგენს არა მხოლოდ გზას მოსწავლის შინაგანი სამყაროს, მისი შემოქმედებითობის .....

სიახლის მიზანი; სიახლის დანერგვის მეთოდიკა; მასწავლებელთა .....

შეგვიძლია გავაკეთოთ ამ სახის დასკვნა: ინოვაციურ საგანმანათლებლო პროცესში მასწავლებელთა წარმატებული მონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ პროფესიული საქმიანობა ხორციელდებოდეს სისტემურ - მოდელირებულ .....

საშინაო დავალება:

15. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 15-16. აქტიური მოსმენის ტექნიკების ფლობა

1. წარმოადგინეთ პროფესიული საქმიანობის მიხედვით მასწავლებელთა ჯგუფები.

2. რას ნიშნავს „აქტიური მოსმენა“? გადმოეცით თქვენი სიტყვებით. იმსჯელეთ.

3. წაიკითხეთ ტექსტის პირველი ნაწილი:

I.

მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარის სასწავლო პროცესის მიმრთულებაში არის პუნქტი A1a5: “კომუნიკაციის დროს ყურადღებით ვუსმენ მოსწავლეს, ვიყენებ აქტიური მოსმენის სტრატეგიებს (ვსვამ დამაზუსტებელ კითხვებს, ვაჯამებ მოსწავლის ნათქვამს და ა.შ). მართალია, ამ სტრატეგიებს ყოველთვის ვიყენებ, მაგრამ მე ეს პუნქტი შევაფასე მე- 2 -ე დონის შეფასების სკალით. გადავწყვიტე, შემევსო თვითშეფასების ცხრილი და დამედგინა თუ როგორ ვიყენებ აქტიურ მოსმენას სასწავლო პროცესში, დაწვრილებით შემესწავლა ამ საკითხზე ინტერნეტში გამოქვეყნებული რესურსები,რადგან აქტიური მოსმენის ტექნიკების ფლობაზეა დამოკიდებული მოსწავლეებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა და პატივისცემაზე დაფუძნებული კომუნიკაცია.იმისათვის რომ კომუნიკაცია ეფექტიანი აღმოჩნდეს, აუცილებელია მოსწავლის სუბიექტური რეალობის გათვალისწინება, რაც არც ისე მარტივია - მასწავლებელმა უნდა მოახერხოს „შეერწყას" მოსწავლის აღქმებს, წარმოდგენებს, ღირებულებებს. მხოლოდ ასეა შესაძლებელი კომუნიკაციამ მიზანს მიაღწიოს.

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში მითითებულია:

მუხლი 5. სასწავლო გარემო

მასწავლებელმა იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. ამ მიზნით: ა) მასწავლებელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე.

ქვემოთ მოცემულია აქტიური მოსმენის უნარების დასადგენი თვითშეფასების ცხრილი.ამ ფორმის ცხრილი შესაძლებელია გამოიყენონ და შეავსონ როგორც მასწავლებლებმა, ისე მშობლებმა, რათა დაადგინონ, თუ როგორია მათი აქტიური მოსმენის უნარები:

თვითშეფასების ცხრილი

ინსტრუქციები:ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წინადადება და აღნიშნეთ შესაბამის სვეტში, თუ რა სიხშირით იყენებთ კონკრეტულ ქცევას.

რა არის აქტიური მოსმენა?

აქტიური მოსმენა ეფექტური კომუნიკაციის საფუძველია. აქტიური მოსმენის დროს მსმენელი ამახვილებს ყურადღებას მოსაუბრესა და მის ნათქვამზე. კარგ მსმენელს უნდა შეეძლოს მოსმენილის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. ეს ნიშნავს იმას, რომ მან კარგად გაიგო

სხვისი ნათქვამი. ამისათვის აქტიურმა მსმენელმა უნდა დაამყაროს უკუკავშირი მოსაუბრესთან მოკლე კითხვების საშუალებით, რათა დააზუსტოს, ერთი მხრივ, გადმოცემულის შინაარსი და, მეორე მხრივ, მოსაუბრის ემოციური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება საკითხისადმი, დაეხმაროს პიროვნებას, იფიქროს თავის პრობლემასა და პრობლემის გადაჭრის გზაზე.მსმენელი აქტიური მოსმენის დროს არ განსჯის პიროვნებასა და მის გადაწყვეტილებებს, არამედ ეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში.

რითი მიხვდებით,რომ თქვენ აქტიურად გისმენენ?

არავერბალური კომუნიკაცია: თავის დაკვრა, კონტაქტი თვალებით, წინ გადახრა.

მოკლე პასუხები: ამხნევებენ პიროვნებას, განაგრძოს საუბარი: დიახ, გასაგებია, ცუდია და ა.შ.

ნათქვამის პერიფრაზირება საკუთარი სიტყვებით:

- ადასტურებს, რომ პიროვნებამ გაიგო ის, რისი თქმაც მისთვის უნდოდათ;
- ასრულებს უკუკავშირის ფუნქციას, ეხმარება პიროვნებას ნათქვამის განსჯაში ანუ როგორ გაიგო მისი შინაარსი.

სიცხადის შემტანი /ღია კითხვები, დასმული მოსაუბრის მიერ, რომლებიც მიუთითებს,რომ მას ნამდვილად უსმენენ.

რითი მიხვდებით,რომ თქვენ ნაწილობრივ გისმენენ?

- მოსაუბრე დაკავებულია სხვა საქმებით (სხვას ესაუბრება, ხატავს, წერს);
- მისჩერებია კედელს,იატაკს,იყურება სარკმლიდან;
- გაწყვეტინებთ საუბარს და იძლევა რჩევას;
- ტოვებს მოუსვენრობის, მოწყენილობის ან მობეზრების შთაბეჭდილებას.

აქტიური მოსმენის ტექნიკები:

1. მოსმენის განწყობა და „სხეულის ენა"

მოსმენისას მნიშვნელოვანია ისე განვეწყოთ, რომ მოვახერხოთ თანამოსაუბრის სამყაროს წვდომა და არა საკუთარი ვარაუდების გამოთქმა. ამასვე უნდა მიუთითებდეს თქვენი გამომეტყველება, ჟესტი, მიმიკა...;

არარეფლექსიური მოსმენა

მოსმენა შეფასების გარეშე , ეს არის ყუადღებიანი დუმილის პროცესი, მხოლოდ პაუზების დროს გამოითქმება მოკლე სიტყვები: „გავიგე", „აჰა",“დიახ“ და სხვა;

გარკვევა და დაზუსტება

ღია კითხვების დასმა საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით. კითხვის დასმის სტილიც უნდა იყოს არადირექტიული, მაგ., ასე: „ხომ არ მოჰყვებოდით.. „ და არა ასეთი: „აბა, მოყევით.." დაზუსტებისა და გარკვევის მიზნით დასმულ შეკითხვებს, რომლებიც „ეპატიჟება“
მოზარდს, მოძებნოს სხვა სიტყვები აზრის გამოსახატავად:

- რას გულისხმობ?
- ხომ არ გაიმეორებდი კიდევ ერთხელ?
- ხომ ვერ ამიხსნიდი ამას უკეთ?

პერიფრაზირება

თანამოსაუბრის ნათქვამის გამეორება სხვა სიტყვებით, ამით საკუთარ თავსაც ვეხმარებით და თანამოსაუბრესაც, რათა უკეთ გავიგოთ, მან კი უკეთ გამოხატოს თავისი აზრი;

შეჯამება

რომელიც განსაკუთრებით ეფექტიანია, როცა თანამოსაუბრე დიდხანს „ტკეპნის" ერთსა და იმავე ადგილს დისკუსიის დროს, ნათქვამის შეჯამებას, რეზიუმირებას იმ მიზნით, ნათქვამის შეჯამებას, რეზიუმირებას იმ მიზნით, რომ მოსაუბრე დარწმუნდეს - მისი ნათქვამი სწორადაა გაგებული, მას უსმენენ:

- ამრიგად, მთავარი...
- მაშასადამე, შენ მთავაზობ, რომ...
- თუ სწორად გავიგე, მაშინ...
- თუ ნათქვამს შევაჯამებთ...

„გრძნობების არეკვლა"

ამ ხერხით თამნამოსაუბრეს ვაგრძნობინებთ, რომ მისი განცდები ჩვენთვის გასაგებია. ეს არის ემოციური მხარდაჭერა.მოსმენის უნარის უმაღლესი დონე - ემპათიური მოსმენაა. ემპათია არის მეორე ადამიანის თანაგრძნობა და თანაგანცდა. ეს არის განცდა, რაც შეიძლება ღრმად და სრულად ჩასწვდე მოსაუბრის შინაგან სამყაროს, გაუგო მას. აქტიური მოსმენისას მნიშვნელოვანია გამოხატოთ, რომ ,,გესმით" მოსაუბრის ემოციები და განცდები, რაც მას დაეხმარება, თავად გააცნობიეროს საკუთარი გრძნობები. უნდა ერიდოთ კატეგორიულ ფორმულირებებს, რადგან თქვენ მიერ აღქმული შეიძლება არ იყოს ზუსტი და ყოველივე ამან შეიძლება მოსაუბრის იმედგაცრუება და დიალოგის შეფერხება გამოიწვიოს.

- მე მაქვს განცდა, რომ შენ...
- ჩემი აზრით, შენ გრძნობ...

4. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- იმისათვის, რომ კომუნიკაცია ეფექტიანი აღმოჩნდეს, აუცილებელია მოსწავლის სუბიექტური რეალობის გათვალისწინება.
- მასწავლებელმა უნდა მოახერხოს, „შეერწყას" მოსწავლის აღქმებს, წარმოდგენებს, ღირებულებებს.
- მასწავლებელმა არ იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო.
- მასწავლებელი ვერ აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე.
- აქტიური მოსმენა ეფექტური კომუნიკაციის საფუძველია.
- კარგ მსმენელს უნდა შეეძლოს მოსმენილის შინაარსის ზუსტად, სიტყვასიტყვით გადმოცემა.

7. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

რას შეეხება მასწავლებლის სტანდარტის პუნქტი A1a5?

როგორ უნდა გამოიყენონ თვითშეფასების ცხრილი მასწავლებლებმა და მშობლებმა, რათა დაადგინონ, თუ როგორია მათი აქტიური მოსმენის უნარები?

თქვენი სიტყვებით გადმოეცით, რა არის აქტიური მოსმენა?

რით მიხვდებით, რომ აქტიურად გისმენენ?

რით მიხვდებით, რომ ნაწილობრივ გისმენენ?

ჩამოთვალეთ აქტიური მოსმენის ტექნიკები.

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

უკუკავშირი ემოციური გადმოცემულის
დამოკიდებულება გადაწყვეტილების კომუნიკაციის

აქტიური მოსმენა ეფექტური ..... საფუძველია. აქტიური მოსმენის დროს მსმენელი ამახვილებს ყურადღებას მოსაუბრესა და მის ნათქვამზე. აქტიურმა მსმენელმა უნდა დაამყაროს ..... მოსაუბრესთან მოკლე კითხვების საშუალებით, რათა დააზუსტოს, ერთი მხრივ, ... შინაარსი და, მეორე მხრივ, მოსაუბრის ..... მდგომარეობა, მისი ..... საკითხისადმი. დაეხმაროს პიროვნებას, იფიქროს თავის პრობლემასა და პრობლემის გადაჭრის გზაზე.მსმენელი აქტიური მოსმენის დროს არ განსჯის პიროვნებასა და მის გადაწყვეტილებებს, არამედ ეხმარება ..... მიღებაში.

9. წაიკითხეთ ტექსტის მეორე ნაწილი:

II. აქტიური მოსმენისათვის აუცილებელი გარე და შიდა ფაქტორები

აქტიური მოსმენისათვის აუცილებელია მოსმენის გარე და შიდა ფაქტორების გაცნობიერება. გარე ფაქტორებში გულისხმობენ: ზოგადად გადმოცემული საკითხის სირთულეს, მოსაუბრეს და გარემოს. კერძოდ, ჰქონდა თუ არა მას რაიმე შეხება ამ საკითხთან და რამდენად რთულია მისი გაგება. აქტიური მსმენელი უნდა დააკვირდეს, თუ მოსაუბრისგან რა არავერბალური ინფორმაცია მოდის, რამდენად დამაჯერებელია მოსაუბრე, და ა. შ. ცხადია, კარგად ილუსტრირებული ინფორმაცია და სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენება უფრო გაუადვილებს მსმენელს გადმოცემული ინფორმაციის გაგებას. დაბოლოს, გასათვალისწინებელია, თუ რამდენად შესატყვისია გარემო ინფორმაციის ურთიერთგასაცვლელად და არსებობს თუ არა რაიმე ხელისშემშლელი გარემო ფაქტორები (ხმაური, ვიბრაცია, განათება, ტემპერატურა და სხვა).

აქტიური მოსმენის დროს მსმენელმა ასევე უნდა გააკონტროლოს მოსმენის შიდა - საკუთარ თავთან დაკავშირებული ფაქტორები. კერძოდ, მან ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსაუბრეზე, შეწყვიტოს ყველა შეუსაბამო ქცევა მოსმენის დაწყებამდე, წინასწარ მოამზადოს შესატყვისი მასალა (მაგ. ჩასაწერი რვეული, კალმისტარი, წინა გაკვეთილის შინაარსი), გააკონტროლოს თავისი ემოციური მდგომარეობა და ა. შ.

როგორ გავაუმჯობესოთ ურთიერთობა მოსწავლეებთან?

ურთიერთობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ ჩვენი მოსმენის უნარს და დავხვეწოთ აქტიური მოსმენის ხელოვნება. კარგი მსმენელი მოქმედებს შეფასების, ანალიზისა და
საკუთარი შეხედულებების თავზე მოხვევის გარეშე, რაც უადვილებს მოსაუბრეს და, მით უმეტეს, ბავშვს, სათქმელის გულღიად გამოხატვას, პრობლემის და მოსაზრების გაზიარებას. აქტიური მოსმენა ორი ადამიანის თანასწორი ურთიერთობის თანასწორია. ყოველთვის გავითვალისწინოთ მოსწავლეებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების კომპონენტები:

მიღება. მოსწავლე უპირობოდ უნდა მიიღო და არა იმის მიხედვით, რას აკეთებს ან რას არ აკეთებს ის. მოსწავლეს მუდამ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ პოზიტიური ადამიანია, მაშინაც კი, როდესაც ცუდად იქცევა. ეს გრძნობა მათ ეხმარება, დაძლიონ სირთულეები. საჭიროა მივიღოთ მოსწავლის თავისებურებებიც.

ყურადღება. მოსწავლის მიმართ პოზიტიური ყურადღების გამოხატვა ურთულესი საქმეა, დიდ დროს, ენერგიას, ძალასა და ემოციებს მოითხოვს მასწავლებლისგან. რაც უფრო მეტ პოზიტიურ ყურადღებას გამოხატავს მასწავლებელი, მით ნაკლებ ნეგატიურ ყურადღებას საჭიროებენ ამრევები გაკვეთილზე. ყურადღების გამოხატვის რამდენიმე ხერხი: მიესალმეთ მოსწავლეებს. ყველაზე სწრაფი და მარტივი გზაა, გამოიყენოთ 1-2 წუთი, რათა თითო სიტყვა უთხრათ თითოეულს გაკვეთილის დასაწყისში ან ბოლოს. ეს თქვენგან დიდ ორგანიზებულობასა და მოქნილობას მოითხოვს. რა შეიძლება მოყვეს ასეთ მიდგომას რთულ მოსწავლეში? მოუსმინეთ მოსწავლეებს. მოუსმინეთ მოსწავლეებს, რაზეც არ უნდა გელაპარაკოს.

პატივისცემა (აღიარება). აღიარება ძალიან სჭირდება ადამიანს. აჩვენეთ მოსწავლეს, რომ ის საჭიროა სკოლისთვის. აღიარება უნდა ხდებოდეს ხმამაღლა და ნათლად. აღიარებას ხშირად აიგივებენ მხარდაჭერასთან. აღიარება მხარდაჭერის მხოლოდ ერთი ტექნიკაა. აღიარეთ საქმე და არა მისი გამკეთებელი! ამით საქმეც გაგრძელდება და არც მოსწავლეს "აუვარდება თავში".

წერილობითი აღიარება. მოსწავლის წარმატების შესახებ მისწერეთ მშობელს და ბავშვსაც ჩაუწერეთ რვეულში ან დღიურში. ზოგიერთი მოსწავლე თვეობით ინახავს ამ ჩანაწერებს.

ასწავლეთ მოსწავლეს, მოითხოვოს აღიარება. რადგან ჩვენ ყოველთვის ვერ ვამჩნევთ კარგს, ვთხოვოთ მოსწავლეებს გვითხრან, მათი აზრით, რა იმსახურებს აღიარებას. სცადეთ ასეთი ექსპერიმენტი: სთხოვეთ მოსწავლეებს თვითონ ჩაიწერონ, რა გააკეთეს კარგი. დღის ბოლოს სთხოვეთ წაიკითხონ ის. თუ თვლით, რომ ჩანაწერები სიმართლეს შეეფერება, ხელი მოუწერეთ და ნება დართეთ, სახლში წაიღოს. ეს ხერხი კარგად მუშაობს, ხელს უწყობს საკუთარი თავის აღიარების ჩვევის ფორმირებას.

მოწონება. ჩვენ მოსწავლეებს იმასაც ვეუბნებით, რომ მოგვწონს მისი ხასიათის ესა თუ ის თავისებურება და მცდელობა გააკეთოს რაიმე (თუნდაც უმნიშვნელო). ეს მათთვის დიდი სტიმულის მიმცემია. როცა მათი დადებითი თვისებები მოწონებულია, მათ სურვილი უჩნდებათ კიდევ უკეთესები გახდნენ. აი, რამდენიმე სიტყვა, რომლებიც დადებით თვისებებს გამოხატავს. ეს სიტყვები მუდმივად უნდა შევახსენოთ ზეპირად და წერილობითი ფორმით მოსწავლეებს: ღირსება, სიმამაცე, გონიერება, შემოქმედებითობა, ენერგიულობა, ენთუზიაზმი, პუნქტუალურობა, მოსმენის უნარი, შეუპოვრობა და ა.შ. შეადგინეთ ასეთი მარტივი წინადადებები და გამოიყენეთ: ”როგორი საინტერესო მიდგომაა..” თავიდან ეს სიტყვები ბავშვისთვის შესაძლებელია უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ რამდენიმე ხანში საოცარ ეფექტს დაინახავთ, ეს მათ ბუნებრივად მოეჩვენებათ. ვიმედოვნოთ, რომ თვითონაც გამოიყენებენ ასეთ მიმართვებს ურთიერთობებში.

თბილი გრძნობები. კარგი მასწავლებელი თბილ ემოციურ გარემოს ქმნის კლასში. ის არა მხოლოდ გადასცემს მოსწავლეებს ცოდნას, არამედ თბილ ურთიერთობებსაც ასწავლის. გრძნობა არ არის საშუალება ან ინსტრუმენტი, რომელიც შედეგებს განამტკიცებს. არა! არ შეიძლება მისი ასეთი მიმართულებით გამოყენება: "მე შენ მომეწონები, თუ..” მოსწავლე პირობის გარეშე უნდა გვიყვარდეს. მას უნდა სჯეროდეს, რომ მასწავლებელი არ გადაიყვარებს თუ

იცელქა, გაკვეთილი არ ისწავლა, გაუგებრობებში გაერია ან სხვა გარია. გრძნობა პიროვნებისადმია მიმართული, მიუხედავად იმისა, როგორ გააკეთა ან არ გააკეთა რაიმე. ყველა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ მაგ. ხელის გადასმა კარგად მოქმედებს მოსწავლეზე. ფიზიკური კონტაქტის მოთხოვნილება ჩვილობიდან მოყვება ადამიანს. შურისმაძიებელ და ძალაუფლებისმოყვარე მოსწავლესთან ამ ხერხების გამოყენება საჭირო არაა, მათ ეს არც მოსწონთ. ასეთ მოსწავლეებთან საჭიროა დადებითი ემოციები სიტყვიერად გამოხატო. ის სჭირდება გაუბედავ, მორცხვ მოსწავლეს.

10. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

11. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

12. უპასუხეთ კითხვებს ზეპირად:

ჩამოთვალეთ აქტიური მოსმენისათვის აუცილებელი გარე და შიდა ფაქტორები.

როგორ გავაუმჯობესოთ ურთიერთობა მოსწავლეებთან?

13. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

აქტიური მოსმენისათვის აუცილებელია მოსმენის გარე და შიდა ფაქტორების გაცნობიერება. _____

გარე ფაქტორებში არ შედის გადმოცემული საკითხის სირთულე, მოსაუბრე და გარემო. _____

აქტიური მოსმენის დროს მსმენელმა უნდა გააკონტროლოს მოსმენის შიდა - საკუთარ თავთან დაკავშირებული ფაქტორები. _____

მსმენელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსაუბრეზე, შეწყვიტოს ყველა შეუსაბამო ქცევა მოსმენის დაწყებამდე. _____

საკუთარი შეხედულებების თავზე მოხვევა უადვილებს მოსაუბრეს სათქმელის გულღიად გამოხატვას. _____

მოსწავლე უპირობოდ უნდა მიიღო და არა იმის მიხედვით, რას აკეთებს. _____

14. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

დაწყებამდე კომპონენტები ნათლად ხელოვნება თანასწორია ფაქტორები

აქტიური მოსმენის დროს მსმენელმა ასევე უნდა გააკონტროლოს მოსმენის შიდა - საკუთარ თავთან დაკავშირებული ..... კერძოდ, მან ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსაუბრეზე, შეწყვიტოს ყველა შეუსაბამო ქცევა მოსმენის .....

ურთიერთობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ ჩვენი მოსმენის უნარს და და ვხვეწოთ აქტიური მოსმენის .....

აქტიური მოსმენა ორი ადამიანის თანასწორი ურთიერთობის .....

ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების .....

აღიარება უნდა ხდებოდეს ხმამაღლა და .....

15. დაწყვილდით და დაუსვით კითხვები მეწყვილეს ტექსტის გარშემო.

საშინაო დავალება:

16. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და მოამზადეთ თხრობით.

თემა 17. ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანა

1. ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება აქტიური მოსმენის თაობაზე (იმსჯელეთ).
2. რა გსმენიათ ფსიქოლოგიის შესახებ?
3. თქვენი აზრით, რა ამოცანები აქვს ფსიქოლოგიას?
4. წაიკითხეთ ტექსტი:

რა არის ფსიქოლოგია, ესე იგი, რა არის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საკვლევი საგანი და როგორია მისი ამოცანები? მიუხედავად ფსიქოლოგიის ხანგრძლივი ისტორიული წარსულისა, ეს საკითხი დღესაც სადავო საკითხად ითვლება. განსაკუთრებით დიდია აზრთა სხვადასხვაობა ფსიქოლოგიის საგნის შესახებ და ჩვენც, პირველ რიგში, ამ საკითხზე უნდა შევჩერდეთ.

მართლაცდა, რას იკვლევს ჩვენი მეცნიერება? იმისთვის, რომ ნათელი გახდეს, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი მეცნიერების განვითარების დღევანდელ საფეხურზე, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება იმ ეტაპების გათვალისწინება, რომელნიც მან თავის ისტორიულ წარსულში განვლო.

მეცნიერული აზროვნების დასაწყის ეტაპზე ფსიქოლოგიის საკვლევ საგნად სული იყო მიჩნეული - არისტოტელე თავის მთავარ ფსიქოლოგიურ გამოკვლევას "პერი ფსიქეს" ("სულის შესახებ") უწოდებს. იგივე მდგომარეობა რჩება საშუალო საუკუნეებში და ახალი დროის დასაწყისშიც: ფსიქოლოგია სულის შესახებ მეცნიერებად ითვლება. საუკუნეთა განმავლობაში ეს შეხედულება იმდენად განმტკიცდა, რომ, მაგალითად, ჰეფდინგს ჩვენს საუკუნეშიც შესაძლოდ მიაჩნია გაიმეოროს: "ფსიქოლოგია მოძღვრებაა სულის შესახებ, რომ ეს უმოკლესი განსაზღვრაა, რომელიც შესაძლოა ჩვენს მეცნიერებას მიეცესო".

მაგრამ ნუთუ მართლა შეიძლება ფსიქოლოგიის საგნად სული ჩაითვალოს, როგორც ამას მთელი საუკუნეების განმავლობაში ფიქრობდნენ? საკმარისია ეს საკითხი დააყენოთ, რომ იმწამსვე მისი უარყოფითი გადაჭრის აუცილებლობა იგრძნოთ. მართლაცდა, რა არის ჩვენი პრობლემის თვალსაზრისით დღევანდელი მეცნიერებისთვის საზოგადოდ დამახასიათებელი? უეჭველია ის, რომ იგი სინამდვილის რომელსამე სფეროს ან მხარეს სწავლობს; მეცნიერული კვლევის საგანი სინამდვილეა. ამიტომაც საბუნებისმეტყველო მეცნიერების ამა თუ იმ დარგს ავიღებთ თუ სოციალურისას, ვერსად ვერ ვნახავთ, რომ რომელიმე მათგანი ჯერ შესასწავლად განზრახული საგნის სინამდვილის შესახებ აყენებდეს საკითხს და მის კვლევა-ძიებას მხოლოდ ამ საკითხის დადებითად გადაჭრის შემდეგ იწყებდეს.

ყოველი მეცნიერება უშუალოდ მოცემული სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს სწავლობს: ფიზიკა - ფიზიკურისას, ქიმია - ქიმიურისას. ყოველი მეცნიერების საგნისთვის მისი სინამდვილის უშუალო მოცემულობაა აუცილებელი. მაშასადამე, იმისთვის, რომ სული მეცნიერული კვლევის საგნად დაისახოს, აუცილებელია, რომ მისი სინამდვილე უშუალოდ გვქონდეს მოცემული.

მაგრამ არის კი ეს ასე? ადამიანი გრძნობს, მსჯელობს, წარმოიდგენს, მიისწრაფის, შფოთავს, ზრუნავს. ჩვენ მხოლოდ ისეთ არსებას ვთვლით სულიერად, რომელსაც ყველაფერი ეს ან რაიმე ამის მსგავსი შეუძლია განიცადოს. ამგვარ მოვლენებს, ჩვეულებრივ, სულიერ მოვლენებს

უწოდებენ, იმიტომ რომ ფიქრობენ - ისინი სულის წყალობით აქვს ადამიანსო. რასაკვირველია, მათ ჩვენ უშუალოდ განვიცდით. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სულიერი მოვლენები უშუალოდ გვეძლევა.

მაგრამ რაც შეეხება თვითონ სულს, იგი ხომ ამ განცდათა წარმომშობ ძალად ითვლება _ მაშასადამე, იგი უშუალოდ სინამდვილის იქით იგულისხმება. ამდენად, ცხადია, რომ იგი მოკლებული უნდა იყოს იმ აუცილებელ თვისებას, რომლებიც ყველა მეცნიერების საკვლევი საგნისთვისაა დამახასიათებელი - სახელდობრ, უშუალო სინამდვილეში მოცემულობის თვისებებს. აქედან უდავოა, რომ სული არა ნამდვილი მეცნიერული, არამედ ისეთი კვლევის საგნად თუ შეიძლება დაისახოს, რომელიც ემპირიული სინამდვილის ფარგლებს სცილდება და მეტაფიზიკური სფეროს საზღვრებში ცდილობს შეიჭრას. მაშასადამე, ფსიქოლოგიის საგნად სულის დასახვა ე. წ. მეტაფიზიკურის და არა მეცნიერული ფსიქოლოგიისთვის არის დამახასიათებელი.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

მეცნიერული აზროვნების დასაწყის ეტაპზე ფსიქოლოგიის საკვლევ საგნად სული იყო მიჩნეული.
ფსიქოლოგია ადამიანის ორგანიზმის შესახებ მეცნიერებად ითვლება.
ფსიქოლოგია მოძღვრებაა სულის შესახებ.
მეცნიერული კვლევის საგანი არარეალური სამყაროა.
ყოველი მეცნიერება უშუალოდ მოცემული სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს სწავლობს.
სული არა ნამდვილი მეცნიერული, არამედ ისეთი კვლევის საგნად თუ შეიძლება დაისახოს, რომელიც ემპირიული სინამდვილის ფარგლებს სცილდება.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რა არის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საკვლევი საგანი და როგორია მისი ამოცანები?
რა იყო მიჩნეული მეცნიერული აზროვნების დასაწყის ეტაპზე ფსიქოლოგიის საკვლევ საგნად?
სულიერი მოვლენები უშუალოდ გვეძლევა თუ გაშუალებულად?
სცილდება თუ არა სულის კვლევა ემპირიული სინამდვილის ფარგლებს?

9. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

10. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

ხანგრძლივი სხვადასხვაობა განვითარების ნათელი მიზანშეწონილი საკვლევი

რა არის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ... საგანი და როგორია მისი ამოცანები? მიუხედავად ფსიქოლოგიის ..... ისტორიული წარსულისა, ეს საკითხი დღესაც სადავო საკითხად ითვლება. განსაკუთრებით დიდია აზრთა ..... ფსიქოლოგიის საგნის შესახებ. იმისთვის, რომ ..... შეიქნეს, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი მეცნიერების ..... დღევანდელ საფეხურზე, ყველაზე უფრო ..... იქნება იმ ეტაპების გათვალისწინება, რომელნიც მან თავის ისტორიულ წარსულში განვლო.

11. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

12. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

13. დაწერეთ ესე:

სული და მეცნიერება.

14. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

15. **გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.**

საშინაო დავალება:

16. **წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 18. ემპირიული ფსიქოლოგია

1. რა არის სული? როგორ გესმით სიტყვა „მეტაფიზიკა“? იმსჯელეთ.

2. არის თუ არა ადამიანის სულის შესწავლა მეცნიერების ამოცანა? გამართეთ დისკუსია.

3. რას ნიშნავს ემპირიული? გამოთქვით მოსაზრებანი.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

მას შემდეგ, რაც ემპირისტული ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები შემუშავდა, ნათელი გახდა, რომ ფსიქოლოგია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ნამდვილ მეცნიერებად ჩათვლილიყო, თუ მის საკვლევ საგნად არა მეტაფიზიკური არსი, სული, იქნებოდა მიჩნეული, არამედ ის, რაც უშუალოდ გვეძლევა. ემპირიულ სინამდვილეში კი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სულიერი მოვლენებია მოცემული: ჩვენი სხვადასხვაგვარი განცდა - ჩვენი გრძნობები და წარმოდგენები, ჩვენი აზრები და სურვილები. ფსიქოლოგიის საგნად, მაშასადამე, სწორედ ეს სინამდვილის არე, ესე იგი, ფსიქიკური მოვლენები უნდა იყოს მიჩნეულნი. ასეთია ე.წ. ემპირიული ფსიქოლოგიის მსჯელობა.

მაგრამ ემპირიული ფსიქოლოგიისთვის ისტორიულად მარტო ის კი არაა დამახასიათებელი, რომ იგი თავის საკვლევ საგნად სულიერ მოვლენებს თვლის. არა! ამავე დროს, იგი იმის გარკვევასაც ცდილობს, თუ როგორია იმ ემპირიული სინამდვილის ფარგლები, რომელიც მის საკვლევ მოვლენებს შეიცავს. ემპირიული ფსიქოლოგიის გაგებით, ფსიქიკური მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ თვითდაკვირვების სფეროს შეადგენენ. მაშასადამე, ფსიქოლოგიის საგნად სუბიექტური სინამდვილე უნდა ჩაითვალოს და, ამ აზრით, ემპირიული ფსიქოლოგია სუბიექტურ ფსიქოლოგიად უნდა იქნეს მიჩნეული.

ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც სხვადასხვა მეცნიერული დარგი ემპირიული კვლევის ნიადაგზე დადგა, მათი განვითარება არაჩვეულებრივად სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. განსაკუთრებით ეს საბუნებისმეტყველო დარგებზე უნდა ითქვას, ესე იგი, სწორედ იმ დარგებზე, რომელნიც გარეგამოცდილების ანუ ობიექტურად მოცემული სინამდვილის სფეროს იკვლევენ. სამაგიეროდ, ფსიქოლოგია კვლავ ისე ნელი ნაბიჯით განაგრძობდა წინსვლას, როგორც მანამდე, სანამ ემპირიულ მეცნიერებად გადაიქცეოდა. რა არის ამის მიზეზი? ბუნებრივად დგებოდა საკითხი.

ბუნების მეცნიერებაცა და ფსიქოლოგიაც - ორივე ემპირიულ სინამდვილეს იკვლევს. ამ მხრივ განსხვავება მათ შორის არ არსებობს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბუნებისმეტყველება ობიქტურად მოცემულ სინამდვილეს სწავლობს, ხოლო ფსიქოლოგია - სუბიექტურად მოცემულს. ეს გარემოება შესაძლებლობას უქმნის ბუნებისმეტყველებას, თავისი კვლევის საგანი ობიექტური დაკვირვების გზით შეისწავლოს. ხოლო ფსიქოლოგია, რამდენადაც იგი სუბიექტურად მოცემულ სინამდვილეს სწავლობს, მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი კვლევა ამ ობიექტური დაკვირვების გზით აწარმოოს. იგი იძულებული ხდება, თანახმად ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებისა, თავისი კვლევა-ძიება სუბიექტური დაკვირვების, ესე იგი, თვითდაკვირვების ნიადაგზე აწარმოოს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ემპირიული ფსიქოლოგიის უნაყოფობა იქიდან გამომდინარეობს, რომ მის საგნად შინაგამოცდილების სფეროა აღებული, ესე იგი, სფერო, რომელიც ობიექტურად შესწავლის შესაძლებლობას არ იძლევა. ფსიქოლოგიის საგნის საკითხის სწორი გადაჭრა, მაშასადამე, ვერც ემპირიულმა ფსიქოლოგიამ შეძლო.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

ფსიქოლოგია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ნამდვილ მეცნიერებად ჩათვლილიყო, თუ მის საკვლევ საგნად არა მეტაფიზიკური არსი, სული, იქნებოდა მიჩნეული, არამედ ის, რაც უშუალოდ გვეძლევა.

ემპირიული ფსიქოლოგია იმის გარკვევასაც ცდილობს, თუ როგორია იმ ემპირიული სინამდვილის ფარგლები, რომელიც მის საკვლევ მოვლენებს შეიცავს.

ემპირიული ფსიქოლოგია არ ეძიებს ემპირიულ გარე სინამდვილეს, რომელიც ადამიანს გარე დაკვირვების საშუალებით ეძლევა.
ფსიქიკური მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ გარე დაკვირვების სფეროს შეადგენენ.
ემპირიული ფსიქოლოგია სუბიექტურ ფსიქოლოგიად უნდა იქნეს მიჩნეული.
ბუნების მეცნიერებაცა და ფსიქოლოგიაც - ორივე ემპირიულ სინამდვილეს იკვლევს.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რა იყო ისტორიულად დამახასიათებელი ემპირიული ფსიქოლოგიისთვის?

_____

_____

რა ვლინდება თვითდაკვირვების საშუალებით?

_____

_____

რაშია განსხვავება ბუნების მეცნიერებასა და ფსიქოლოგიას შორის?

_____

_____

საიდან გამომდინარეობს ემპირიული ფსიქოლოგიის უნაყოფობა?

_____

_____

9. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

10. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

პრინციპები სურვილები განცდა იმპირიულ სულიერი მეტაფიზიკური ფსიქოლოგია საკვლევ ემპირისტული

მას შემდეგ, რაც ..... ფილოსოფიის ძირითადი ..... შემუშავდა, ნათელი გახდა, რომ ..... მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ნამდვილ მეცნიერებად ჩათვლილიყო, თუ მის ..... საგნად არა ..... არსი, სული, იქნებოდა მიჩნეული, არამედ ის, რაც უშუალოდ გვეძლევა ..... სინამდვილეში კი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ... მოვლენებია მოცემული: ჩვენი სხვადასხვაგვარი ..... - ჩვენი გრძნობები და წარმოდგენები, ჩვენი აზრები და .....

11. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

12. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

13. დაწერეთ ესე:
    მეტაფიზიკური და ემპირიული ფსიქოლოგია.

14. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

15. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

16. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 19-20. ბიჰევიორიზმი

1. რას იკვლევს ემპირიული ფსიქოლოგია? იმსჯელეთ.

2. რას ნიშნავს ბიჰევიორიზმი? მოიძიეთ ინტერნეტში და შეეცადეთ, თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბოთ განმარტება.

3. როგორ თარგმნიდით ქართულად ბიევიორიზმს?

4. წაიკითხეთ ტექსტის პირველი ნაწილი:

I.

ფსიქოლოგია მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ნამდვილ მეცნიერებად გადაიქცეს, რაც იგი თავის კვლევის საგნად, სხვა მეცნიერებათა მსგავსად, ობიექტურად მოცემული სინამდვილის სათანადო სფეროს დასახავს. მაგრამ, როგორც ემპირიული ფსიქოლოგიაც ამტკიცებს, ფსიქიკური სინამდვილე ასეთ სფეროს არ ეკუთვნის. მაშასადამე, გამოდის, რომ ფსიქოლოგიამ ფსიქიკურის კვლევაზე ხელი უნდა აიღოს და თავის შესწავლის საგნად ისეთი რამ აირჩიოს, რაც არ არის ფსიქიკური.

ამრიგად, ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის მოძღვრების თანახმად, არა მარტო სული, ფსიქიკური მოვლენაც კი არ შეიძლება ფსიქოლოგიის საგნად დაისახოს. მაშასადამე, არა მარტო მეტაფიზიკური ფსიქოლოგია არ შეიძლება ნამდვილ მეცნიერებად ჩაითვალოს, არამედ არც ემპირიული ფსიქოლოგია.

მაგრამ არსებობს კი ისეთი რამ, რაც ობიექტურად მოცემულის სფეროს ეკუთვნის და ამის მიუხედავად მაინც ფსიქოლოგიის საგნად შეიძლება დაისახოს? ბიჰევიორიზმის რწმენით, ასეთი რამ უეჭველად არსებობს. მართლაცდა, ფსიქოლოგიის მთავარ ამოცანას ყოველთვის ადამიანის თავისებურების შემეცნება შეადგენდა. ადამიანის თავისებურება კი მისი ასეთი თუ ისეთი ქცევის სახით იჩენს თავს. ქცევა ყოველთვის განსაზღვრული სტიმულაციის პირობებში ხდება და ამ სტიმულების ზეგავლენით იცვლება. თუ შესწავლილი იქნება, რა კანონზომიერებას ემორჩილება ადამიანის ქცევა, თუ გამოკვლეული იქნება, როგორ იქცევა ამა თუ იმ სტიმულის ზეგავლენით ადამიანი, განა ეს ამ უკანასკნელის შემეცნება არ იქნება? შემეცნება, რომელსაც არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს! მაგრამ რა არის ამისთვის საჭირო? უეჭველია, ადამიანის ქცევის ფორმებისა და იმ სტიმულების შესწავლა, რომელთა ზეგავლენის ქვეშაც იგი ხდება. ფსიქოლოგიამ რომ თავისი კვლევის საგნად ეს დაისახოს, ამით იგი, ბიჰევიორიზმის რწმენით, თავის მთავარ ამოცანას არავითარ შემთხვევაში არ უღალატებს. ადამიანის ქცევას კი, როგორც მეცნიერების საგანს, უდიდესი უპირატესობა აქვს ფსიქიკურის წინაშე: იგი მოძრაობათა სისტემის სახით გვეძლევა. ეს უკანასკნელი კი ობიექტურად მოცემული სინამდვილის არეს ეკუთვნის, ისე როგორც სტიმულებიც, რომელთა პირობებშიც იგი ამა თუ იმ სახეს ღებულობს.

მაშასადამე, ფსიქოლოგია მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიქცევა ნამდვილ მეცნიერებად, თუ მის საგნად ქცევა და მისი სტიმულაცია იქნება დასახული - ესე იგი, ისეთი რამ, რაც ობიექტურადაა

მოცემული და არა ფსიქიკური მოვლენები - ჩვენი განცდები, რომელთა ობიექტური შესწავლაც ბიჰევიორიზმს შეუძლებლად მიაჩნია.

ასეთია ფსიქოლოგიის საგნის პრობლემის ბიჰევიორისტული გადაჭრა. არის თუ არა იგი დამაკმაყოფილებელი?

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები და ამოიწერეთ.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის თანახმად, არა მარტო სული, ფსიქიკური მოვლენაც კი არ შეიძლება ფსიქოლოგიის საგნად დაისახოს.
- მეტაფიზიკური ფსიქოლოგია არ შეიძლება ნამდვილ მეცნიერებად ჩაითვალოს.
- ფსიქოლოგიის მთავარ ამოცანას ყოველთვის ადამიანის თავისებურების შემეცნება შეადგენდა.
- ადამიანის ქცევას კი, როგორც მეცნიერების საგანს, უდიდესი უპირატესობა აქვს ფსიქიკურის წინაშე.

- ფსიქოლოგია მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიქცევა ნამდვილ მეცნიერებად, თუ მის საგნად ქცევა და მისი სტიმულაცია იქნება დასახული.

7. უპასუხეთ კითხვებს წერილობით:

როდის იქცევა ფსიქოლოგია ნამდვილ მეცნიერებად?

_____

_____

რა უნდა აირჩიოს ფსიქოლოგიამ თავის შესწავლის საგნად?

_____

_____

არსებობს კი ისეთი რამ, რაც ობიექტურად მოცემულის სფეროს ეკუთვნის? რა არის ეს?

_____

_____

რა უპირატესობა აქვს ადამიანის ქცევას, როგორც მეცნიერების საგანს, ფსიქიკურის წინაშე?

_____

_____

არის თუ არა საგნის პრობლემის ბიჰევიორისტული გადაჭრა დამაკმაყოფილებელი?

_____

_____

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები ტექსტიდან:

ფსიქოლოგია მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ნამდვილ ..... გადაიქცეს, რაც იგი თავის ..... საგნად, სხვა მეცნიერებათა მსგავსად, ... მოცემული სინამდვილის სათანადო ..... დასახავს. მაგრამ, როგორც ..... ფსიქოლოგიაც ამტკიცებს, ფსიქიკური სინამდვილე ასეთ სფეროს არ ეკუთვნის. მაშასადამე, გამოდის, რომ ..... ფსიქიკურის კვლევაზე ხელი უნდა აიღოს და თავის შესწავლის ..... ისეთი რამ აირჩიოს, რაც არ არის ფსიქიკური.

9. წაიკითხეთ ტექსტის მეორე ნაწილი:

II.

1) თუ ფსიქოლოგიის საგნად ქცევა, როგორც გარკვეული სტიმულებით გამოწვეული მოძრაობათა სისტემა, უნდა იქნეს დასახული, მაშინ, ცხადია, რომ მისი შესწავლის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ფიზიოლოგიურ თვალსაზრისს უნდა მიენიჭოს. ამიტომაა, რომ

ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიაში ფიზიოლოგია განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს, იმდენად დიდ როლს, რომ, ზოგიერთის აზრით, ბოლოს და ბოლოს, ფსიქოლოგიის ადგილი ფიზიოლოგიამ უნდა დაიჭიროს. მაგრამ განა შეიძლება ადამიანის ქცევის გაგება, მისი თავისებურების ახსნა მხოლოდ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით? დღესდღეობით ჩვენთვის, ყველასთვის, ცხადია, რომ ადამიანის ქცევის სპეციფიკურ თავისებურებას ფიზიოლოგიური პროცესები კი არა ქმნიან, არამედ სოციალური პირობები, რომლებშიც იგი ყალიბდება. ამიტომაა, რომ ადამიანის ქცევის შესასწავლად, პირველ რიგში, სოციალურ მეცნიერებებს მიმართავენ და არა ფიზიოლოგიას.

2) ესეც არ იყოს, ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია არსებითად შეუძლებელი კონცეფციაა; და ეს იმიტომ, რომ ქცევის შესწავლა, როგორც იგი ბიჰევიორიზმს ესმის, სრულიად განუხორციელებელია. მართლაცდა, ბიჰევიორიზმის აზრით, ქცევა მოძრაობათა კომპლექსს წარმოადგენს.

ამრიგად, ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია ძალაუნებურად რეფლექსების მოძღვრებად ანუ რეფლექსოლოგიად იქცევა. ცალკე რეფლექსების შესწავლა კი ფიზიოლოგიის საქმეა და ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია, მაშასადამე, ფაქტობრივად, რეფლექსების ფიზიოლოგიას უნდა წარმოადგენდეს.

10. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

11. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

12. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

ქცევათა შესწავლის დროს რას უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა?

ზოგიერთის აზრით, რამ უნდა დაიკავოს ფსიქოლოგიის ადგილი?
რა ქმნის ადამიანის ქცევის სპეციფიკურ თავისებურებას?
რის კომპლექსს წარმოადგენს ქცევა ბიჰევიორიუსტული თვალსაზრისით?
რას უნდა წარმოადგენდეს ფაქტობრივად ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია?

13. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

14. დააბოლოვეთ წინადადებები:

დაიჭიროს განუხორციელებელია ფიზიოლოგიას ყალიბდება კონცეფციაა ასრულებს

ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიაში ფიზიოლოგია განსაკუთრებით დიდ როლს ……
იმდენად დიდ როლს, რომ, ზოგიერთის აზრით, ბოლოს და ბოლოს, ფსიქოლოგიის ადგილი ფიზიოლოგიამ უნდა …….. დღესდღეობით ჩვენთვის, ყველასთვის, ცხადია, რომ ადამიანის ქცევის სპეციფიკურ თავისებურებას ფიზიოლოგიური პროცესები კი არა ქმნიან, არამედ სოციალური პირობები, რომელშიც იგი ……. ამიტომაა, რომ ადამიანის ქცევის შესასწავლად, პირველ რიგში, სოციალურ მეცნიერებებს მიმართავენ და არა …… ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია არსებითად შეუძლებელი ……..
და ეს იმიტომ, რომ ქცევის შესწავლა, როგორც იგი ბიჰევიორიზმს ესმის, სრულიად ……

15. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

16. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

17. დაწერეთ ესე: „ბიჰევიორიზმის არსი“.

18. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

19. **გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.**

საშინაო დავალება:

20. **წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 21. ემპირიზმისა და ბიჰევიორიზმის ძირითადი შეცდომა

1. გავიხსენოთ, რას იკვლევს ბიჰევიორიზმნი.

2. რა არის ემპირიზმი? რა მიმართებაა ემპირიზმსა და ბიჰევიორიზმს შორის? ვიმსჯელოთ.

3. წაიკითხეთ ტექსტი:

როგორც ვხედავთ, ფსიქოლოგიის საგნის დადგენას ვერც ემპირიული ფსიქოლოგია ახერხებს და ვერც ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია. რატომ? რა არის ამის მიზეზი? აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმ მკვეთრი წინააღმდეგობისა, რომელიც, პირველი შეხედვით, ფსიქოლოგიური აზროვნების ამ ორ მიმართულებას შორის არსებობს, პრინციპულად ისინი ძალიან ახლო დგანან ურთიერთთან. ერთიცა და მეორეც სრულიად გარკვეულ იდეალისტურ პოზიციაზე დგას. როგორც ემპირიული ფსიქოლოგია, ისე ბიჰევიორისტულიც, ფსიქიკურს თავისთავად სამყაროდ თვლის, რომელსაც არსებითად არაფერი აქვს ფიზიკურთან საერთო: შინაგანი და გარეგანი, ფსიქიკური და ფიზიკური, მისი აზრით, ორი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი სინამდვილის სფეროებია: ერთი მხოლოდ თვითდაკვირვებისთვისაა მისაწვდომი და მეორე - გარე-დაკვირვებისთვის.

ამ საერთო მეთოდოლოგიური წანამძღვრიდან ემპირიულ ფსიქოლოგიას ერთი დასკვნა გამოაქვს - ფსიქოლოგიის საგანს ფსიქიკური მოვლენები შეადგენენო; ხოლო ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას მეორე - რადგან ფსიქიკურის შესწავლა გარე-დაკვირვებით, ობიექტურად, არ შეიძლება, ამიტომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, ფსიქიკურს კი არა, ფიზიკურს, ობიექტურს, სახელდობრ, ქცევას უნდა სწავლობდესო. როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე წანამძღვრიდან ორი, ერთმანეთის რადიკალურად საწინააღმდეგო დასკვნაა გამოტანილი. რომელი მათგანია მცდარი? საოცარია, რომ ორივე თანაბრად სწორია. ესე იგი, იმ წანამძღვრიდან, რომელიც მათ უდევს საფუძვლად, ორივე თანაბარი უფლებით შეიძლება გამოვიყვანოთ. მაგრამ არსებითად შეუძლებელია ორივე მართებული იყოს: ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრიდან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს სწორი. მაშასადამე, ცხადია, შეცდომა მათს საერთო წანამძღვარში უნდა ვეძიოთ.

როგორც ვხედავთ, ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის დუალისტური გაგების ნიადაგზე, რომელსაც განსაკუთრებით დეკარტის ფილოსოფიამ ჩაუყარა საფუძვლები, სხვას რომ თავი დავანებოთ, კერძოდ, ფსიქოლოგიის საგნის პრობლემის გადაწყვეტა მაინც შეუძლებელია.

ცხადია, ფსიქოლოგიის საგნის პრობლემის გადასაჭრელად ახალს, უფრო სწორ მეთოდოლოგიურ წანამძღვრებს უნდა მივმართოთ. ასეთ წანამძღვრებს მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი იძლევა.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

- ფსიქოლოგიის საგნის დადგენას ვერც ემპირიული ფსიქოლოგია ახერხებს და ვერც ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია.
- ემპირიული ფსიქოლოგია, ბიჰევიორისტულისგან განსხვავებით, ფსიქიკურს თავისთავადს სამყაროდ თვლის, რომელსაც არსებითად არაფერი აქვს ფიზიკურთან საერთო.
- ემპირიულ ფსიქოლოგიას ერთი დასკვნა გამოაქვს - ფსიქოლოგიის საგანს ფსიქიკური მოვლენები შეადგენენ.
- ორი ურთიერთის საწინააღმდეგო აზრიდან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს სწორი.
- ფსიქოლოგიის საგნის პრობლემის გადასაჭრელად ახალ, მცდარ მეთოდოლოგიურ წანამძღვრებს უნდა მივმართოთ.

7. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რატომ ვერ ახერხებს ფსიქოლოგიის საგნის დადგენას ვერც ემპირიული ფსიქოლოგია და ვერც ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია? რა არის ამის მიზეზი?

_____
_____
_____
_____

რა პოზიციაზე დგას ორივე ეს მიმდინარეობა?

_____
_____
_____

რა არის მხოლოდ თვითდაკვირვებისთვის მისაწვდომი?

_____
_____
_____
_____

რა შეადგენს ფსიქოლოგიის საგანს?

_____
_____
_____
_____

ერთი და იმავე წანამძღვრიდან ორი, ურთიერთის რადიკალურად საწინააღმდეგო დასკვნაა გამოტანილი. რომელი მათგანია მცდარი?

_____
_____
_____
_____

9. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

10. ტექსტის მიხედვით ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად შესაბამისი სიტყვები:

ფსიქოლოგიის ..... დადგენას ვერც ..... ფსიქოლოგია ახერხებს და ვერც ..... ფსიქოლოგია. რატომ? რა არის ამის მიზეზი? მიუხედავად იმ მკვეთრი ....., რომელიც, პირველი შეხედვით, ... აზროვნების ამ ორ მიმართულებას შორის არსებობს, ... ისინი ძალიან ახლო დგანან ურთიერთთან. ერთიცა და მეორეც სრულიად გარკვეულ ..... პოზიციაზე დგას. როგორც ემპირიული ფსიქოლოგია, ისე ბიჰევიორისტულიც, ... თავისთავად სამყაროდ

თვლის, რომელსაც არსებითად არაფერი აქვს ..... საერთო: შინაგანი და ....., ფსიქიკური და ფიზიკური, მისი აზრით, ორი ერთმანეთისაგან სრულიად ..... სინამდვილის სფეროებია: ერთი მხოლოდ ..... მისაწვდომი, და მეორე - გარე-დაკვირვებისთვის.

11. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

12. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

13. დაწერეთ ესე: „ბიჰევიორიზმის ძირითადი შეცდომა“

14. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

15. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

16. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 22. რა დამოკიდებულება არსებობს ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის?

1. რა არის ფსიქოლოგია?
2. როგორ გესმით ფსიქიკური პროცესი?
3. რა ურთიერთობაა, თქვენი აზრით, ფსიქიკურ და ფიზიკურ პროცესებს შორის? იმსჯელეთ.
4. წაიკითხეთ ტექსტი:

რა დამოკიდებულება არსებობს ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის? ფსიქოლოგიის საგნის დასადგენად ამ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ა) რა დამოკიდებულება არსებობს, საზოგადოდ, ფსიქიკასა და ობიექტურ, მატერიალურ სინამდვილეს შორის? და ბ) რა დამოკიდებულება არსებობს თვითონ ცალკეულ ორგანიზმში ფსიქიკურ პროცესებსა და ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის?

პირველ საკითხს ასეთი პასუხი უნდა გაეცეს. ფსიქიკა მატერიის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს: მას წინ უსწრებს ჯერ მატერიის მოძრაობის ის ფორმ, რომელიც მარტო ფიზიკურ-ქიმიური პროცესებით განისაზღვრება და მერე - მატერიის განვითარების უფრო რთული ფორმა, რომელიც სიცოცხლის პროცესებს უდევს საფუძვლად. გენეტიკურად, მაშასადამე, ფსიქიკა ობიექტური სინამდვილის, მატერიის განვითარების, ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს: ფსიქიკა განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის თვისებაა; იგი ტვინის "პროდუქტია", ან მისი "ფუნქციაა".

რა დამოკიდებულება აქვს ფსიქიკას ობიექტურ სინამდვილესთან, რომლის განვითარების ერთ-ერთ საფეხურსაც იგი შეადგენს? ამაზე ასახვის თეორია იძლევა საბოლოო პასუხს: ფსიქიკა ობიექტური სინამდვილის ასახვას წარმოადგენს; რეალური მატერიალური სინამდვილე ე. წ. გრძნობის ორგანოების გზით ტვინზე მოქმედებს და ფსიქიკურ პროცესებს, პირველ რიგში, შეგრძნებებსა და აღქმებს იწვევს, რომელნიც თავის მხრივ სინამდვილის სუბიექტურ ხატს წარმოადგენენ.

ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომა იქნებოდა, ეს ხატი სარკისებრივი ანარეკლის სახით წარმოგვედგინა. ფსიქიკა ობიექტური სინამდვილის პასიურს კი არა, აქტიურ ასახვას წარმოადგენს, რომ სწორ ასახვას ადამიანი ობიექტურ სინამდვილეზე აქტიური ზემოქმედების პროცესში აღწევს.

ფსიქოლოგიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის თვითონ ორგანიზმში, ანდა სხვანაირად, რა ურთიერთობა არსებობს ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის? დიალექტიკური მატერიალიზმისთვის ამ საკითხის, ე. წ. ფსიქოფიზიკური საკითხის, გადაჭრა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მისთვის ფსიქიკურიცა და ფიზიოლოგიურიც მატერიის მოძრაობის ფორმებს წარმოადგენენ და, მაშასადამე, მათ შორის არავითარი უფსკრული არ არსებობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ურთიერთისგან არ განსხვავდებოდნენ, რომ მათ შორის იგივეობის აღიარება იყოს საჭირო. არა! ფსიქიკისა და ფიზიოლოგიური პროცესების გაიგივება

ისეთივე შეცდომაა, როგორიც მათი ურთიერთისაგან სრული მოწყვეტის ცდა. სინამდვილეში ფსიქიკა გარკვეული სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ტვინის "პროდუქტს" წარმოადგენს და, მაშასადამე, გარკვეულ ფიზიოლოგიურ პროცესებს ემყარება, ამ პროცესებით მაინც არავითარ შემთხვევაში არ ამოიწურება: "უეჭველია, რომ ოდესმე ჩვენ ექსპერიმენტულად შევძლებთ აზროვნების "დაყვანას" მოლეკულურსა და ქიმიურ მოძრაობებზე ტვინში, მაგრამ განა აზროვნების არსი ამით ამოიწურება?" - კითხულობს ენგელსი.

ამრიგად, ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს შორის, ფსიქიკასა და სხეულს შორის არც უფსკრული არსებობს და არც იგივეობის მიმართება: მათ შორის დიალექტიკური ერთიანობა უნდა ვიგულისხმოთ. ფსიქო-ფიზიკური პრობლემის ასეთი გადაჭრა სრულიად გვათავისუფლებს იმ გადაულახავი სიძნელეებისაგან, რომლებიც ახლავს თან ფსიქო-ფიზიკური პრობლემის დუალისტური თვალსაზრისით გად აჭრის ცდებს.

თუ რა ხასიათისაა ეს სიძნელეები, ეს ე.წ. ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმისა და ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთზე გავლენის თეორიების განხილვიდან ჩანს, თეორიებისა, რომელთა გარეშეც დუალისტურ ნიადაგზე ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა სრულიად შეუძლებელია.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

- ფსიქიკა მატერიის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.
- ფსიქიკას წინ უსწრებს მატერიის მოძრაობის ის ფორმა. რომელიც მხოლოდ ფიზიკო-ქიმიური პროცესებით არ განისაზღვრება.
- ფსიქიკა ობიექტური სინამდვილის, მატერიის განვითარების, ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს.
- ფსიქიკა განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის თვისებაა, იგი ტვინის "პროდუქტია".
- ფსიქიკა სუბიექტური სინამდვილის ასახვას წარმოადგენს.
- ფსიქიკა ობიექტური სინამდვილის პასიურს კი არა, აქტიურ ასახვას წარმოადგენს.
- სწორ ასახვას ადამიანი ობიექტურ სინამდვილეზე პასიური ზემოქმედების პროცესში აღწევს.
- ფსიქიკურიცა და ფიზიოლოგიურიც მატერიის მოძრაობის ფორმებს წარმოადგენენ.
- ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს შორის, ფსიქიკასა და სხეულს შორის არც უფსკრული არსებობს და არც იგივეობის მიმართება.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რა დამოკიდებულება არსებობს საზოგადოდ ფსიქიკასა და ობიექტურ, მატერიალურ სინამდვილეს შორის?

_____

_____

_____

რა დამოკიდებულება არსებობს თვითონ ცალკეულ ორგანიზმში ფსიქიკურ პროცესებსა და ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის?

_____

_____

_____

რა ურთიერთობა არსებობს ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის?

_____

_____

_____

რა თეორიების გარეშეა შეუძლებელი ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა?

_____

_____

_____

9. **ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.**

10. **ტექსტის მიხედვით, ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:**

უნდა გვახსოვდეს, რომ ..... იქნებოდა, ეს ხატი სარკისებრივი ..... სახით წარმოგვედგინა. ..... ობიექტური სინამდვილის პასიურს კი არა, ... ასახვას წარმოადგენს, რომ სწორ ..... ადამიანი ობიექტურ სინამდვილეზე აქტიური ზემოქმედების პროცესში აღწევს.

..... დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რა ..... არსებობს ფსიქიკურსა და ..... შორის თვითონ ორგანიზმში, ანდა სხვანაირად, რა ურთიერთობა არსებობს ..... და ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის?

11. **დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.**

12. **სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.**

13. **დაწერეთ ესე:** ბიჰევიორიზმის არსი.

14. **შეადგინეთ ტექსტის გეგმა.**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

15. **გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.**

საშინაო დავალება:

16. **წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.**

_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 23-24. პედაგოგიური კვლევების მეთოდოლოგიური პრინციპები

1. რა არის ფსიქოლოგიის საგანი?

2. როგორ წარმოგიდგენიათ, რას წარმოადგენს პედაგოგიური კვლევები?

3. წაიკითხეთ ტექსტის პირველი მონაკვეთი:

I.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერება ვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კვლევის შედეგად იგი მუდმივად ივსება სულ ახალ-ახალი აღმოჩენებითა და ფაქტებით. მათი თავმოყრისა და ინტერპრეტაციისათვის საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული კვლევის მეთოდები, რომლებიც ავლენენ დამოკიდებულებას თეორიული პრინციპების ერთობლიობისადმი. /მეცნიერებათმცოდნეობაში "მეთოდოლოგია"/. თანამედროვე კვლევებში მეთოდოლოგიაში, პირველ ყოვლისა, იგულისხმება სამეცნიერო შემეცნების მეთოდოლოგია ანუ სწავლება სამეცნიერო-შემეცნებითი საქმიანობის საშუალებებისა და ფორმების სტრუქტურის პრინციპების შესახებ. ამგვარი მეთოდოლოგია იძლევა სამეცნიერო კვლევის კომპონენტების, მისი ობიექტის, ანალიზის საგნის, საკვლევი ამოცანების, ნაკვლევი საშუალებების ერთობლიობის დახასიათების შესაძლებლობას, რომელიც აუცილებელია მათ გადასაჭრელად. აგრეთვე, საკვლევი ამოცანების გადაწყვეტის პროცესში ის აყალიბებს წარმოდგენას მეცნიერის ქმედებათა თანმიმდევრობის შესახებ.

ყოველი მეცნიერებისა და მის დაქვემდებარებაში არსებული პრაქტიკის კონკრეტული მეცნიერული მეთოდოლოგია იხსნება სპეციფიკური, შედარებით დამოუკიდებელი მიდგომების ან პრინციპების საშუალებით. პედაგოგიკაში ესაა ერთიანი, პიროვნული, საქმიანი, ნახევრად სუბიექტური, კულტუროლოგიური, ეთნოპედაგოგიური, ანთროლოგიური მიდგომები, რომლებიც წარმოადგენენ მის მეთოდოლოგიურ პრინციპებს.

განსაზღვრული სტრუქტურის მქონე სისტემის გათვალისწინების გარეშე მოცემული ამოცანის გადაწყვეტის დროს ყოველი ელემენტი ასრულებს თავის ფუნქციას. თითოეული ელემენტის მოძრაობა კი დაქვემდებარებულია მთლიანის მოძრაობის კანონზომიერებებს.

თანამედროვე საგანმანათლებლო პოლიტიკის ობიექტური წინააღმდეგობრიობების რიგში, მეცნიერთა აზრით, ძირითადს წარმოადგენს წინააღმდეგობა პიროვნების მთლიანობასა და ფუნქციონალურ მიდგომას შორის მისი განვითარების პრობლემის გადასაწყვეტად. ეს განაპირობებს სწორედ ერთიანი მიდგომის აუცილებლობას, რომლის მთავარი იდეა გამოიხატება იმაში, რომ ერთიანის თვისებები არ წარმოადგენენ ამ ელემენტების ჯამური წარმოშობის თვისებებს. უფრო მეტიც, რეალურ არსებობაში გამოვლენილი ერთიანის თვისებები შეიძლება საერთოდ არც შეიცავდნენ ამ ელემენტებს. ისინი წარმოადგენენ არა მექანიკური წყობის, არამედ ელემენტების თვისებების რთულ ურთიერთქმედებათა შედეგს. სისტემა აქტიურად

ზემოქმედებს თავის კომპონენტებზე, გარდაქმნის რა მათ საკუთარი ბუნების შესატყვისად. ერთი კომპონენტის შეცვლა იწვევს გარდაუვალ ცვლილებებს სხვებსა და მთელ სისტემაში.

მართალია, პიროვნების ინტეგრაციული, ერთიანი თვისებების გამოყოფის პრობლემას ფსიქოლოგიაში ჯერ კიდევ არ მიუღია თავისი ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა, მაგრამ, ამავე დროს, მკვლევრები ერთი აზრის არიან იმაზე, რომ პიროვნების ყველა თვისება მჭიდრო ურთიერთკავშირშია და აქტიურად ურთიერთქმედებს; თუმცა მთავარი მაინც ყოველთვის რჩება მიდგომა მის სოციალურ მხარესთან - მსოფლმხედველობასთან და იმ მიმართულებასთან, რომელიც გამოხატავს პიროვნების მოთხოვნებსა და ინტერესებს, იდეალებს, მისწრაფებებს, მორალურ და ესთეტიკურ თვისებებს.

პიროვნული მიდგომა პედაგოგიკაში გამომდინარეობს ერთიანობის პრინციპიდან და გვიქმნის წარმოდგენას პიროვნების, როგორც სოციალურ, საქმიან და შემოქმედ არსზე.

თუმცა, პიროვნების აღიარება საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების პროდუქტად და კულტურის მატარებლად არ იძლევა ადამიანის ნატურასთან მისი პიროვნული თვისებების გაიგივების, დაშვების შესაძლებლობას და ინარჩუნებს თავის საგნობრივ ფუნქციებს.

წარმოდგენა პიროვნების სოციალური საქმიანობის არსის შესახებ, რომელსაც ნაპოვნი აქვს თავისი "მე" ერთობლივ საქმიანობასა და თანამშრომლობაში, ადამიანურ სამყაროსა და კულტურის მიღწევებთან ურთიერთობის პროცესში, ყურადღებას ამახვილებს პიროვნების ცხოვრების მანძილზე საზოგადოებაში წარმოქმნილ პიროვნულ აზრობრიობასა და იმ შინაარსობრივ მხარეებზე, რომლებიც არეგულირებენ მის საქმიანობას ქმედებებსა და სხვადასხვა ზნეობრივი სახის პრობლემურ -კონფლიქტურ სიტუაციაში - ასეთია ერთ-ერთი მეცნიერის განმარტება.

პიროვნული მიდგომა, პიროვნების სტრუქტურასთან დაკავშირებული დისკუსიებისგან დამოუკიდებლად, ნიშნავს პედაგოგიური პროცესის კონსტრუირებისა და განხორციელების დროს მასზე, როგორც მიზანზე, სუბიექტზე, შედეგზე და ამ პროცესის ეფექტურობის მთავარ კრიტერიუმზე, ორიენტაციას, დაჟინებით მოითხოვს უნიკალური პიროვნების, მისი ინტელექტუალური და ზნეობრივი თავისუფლების აღიარებას, პატივისცემის უფლებას, გულისხმობს პიროვნების ნიჭის, ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის თვით-განვითარების ბუნებრივ პროცესებში მხარდაჭერას, ამისთვის შესაბამისი პირობების შექმნას.

საქმიანობა - ესაა ადამიანების მიერ გარემო რეალობის გარდაქმნა. ასეთი გარდაქმნის საწყის ფორმას წარმოადგენს შრომა. ადამიანის მატერიალური თუ სულიერი საქმიანობის ყველა სახეობა წარმოადგენს შრომისაგან წარმოებულს და თავის თავში ატარებს მის მთავარ მახასიათებელს -გარე სამყაროს შემოქმედებით გარდაქმნას. ბუნების გარდაქმნით ადამიანი გარდაქმნის თავის თავსაც და ამით ვლინდება, როგორც განვითარების სუბიექტი.

საქმიანი მიდგომის მნიშვნელობა არგუმენტირებულად ჩამოაყალიბა თავის ნაშრომებში ცნობილმა რუსმა ფსიქოლოგმა ა. ლეონტიევმა. "კაცობრიობის კულტურის მიღწევების დასაუფლებლად,- წერდა ის,- ყოველმა ახალმა თაობამ უნდა იღვაწოს ანალოგიურად იმისა, რისთვისაც ადრე მიუღწევიათ. აი, ამიტომაც და იმისთვის, რომ მოვამზადოთ აღსაზრდელები დამოუკიდებელი ცხოვრებისა და მრავალმხრივი საქმიანობისათვის, აუცილებელია

შესაძლებლობების ფარგლებში ჩავრთოთ ისინი საქმიანობის ამ სახეობებში, ანუ ორგანიზება გავუკეთოთ მათ სრულფასოვან ცხოველმოქმედებას სოციალური და ზნეობრივი მიმართულებით.

ნებისმიერ საქმიანობას აქვს თავისი ფსიქოლოგიური სტრუქტურა: მოტივი, მიზანი, ქმედება (ოპერაცია), პირობები და საშუალებები, შედეგი. თუ საქმიანი მიდგომის რეალიზაციისას და აღსაზრდელის საქმიანობის ორგანიზებისას პედაგოგს გამორჩება რომელიმე სტრუქტურული მომენტი, მაშინ, ამ შემთხვევაში, აღსაზრდელი ან საერთოდ არ არის საქმიანობის სუბიექტი, ან ასრულებს მას როგორც ილუზორულს, როგორც ცალკეულ ქმედებას. აღსაზრდელი განათლების შინაარსს ჩასწვდება მხოლოდ მაშინ, როცა მას ექნება შინაგანი მოთხოვნილება და აქტიურ-დადებითი მოტივაცია ასეთი სახის ათვისებისათვის.

პიროვნების შემეცნების ჰუმანისტური მეთოდოლოგიის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, მ. ბახტინმა და ა.უხტომსკიმ. ისინი მივიდნენ ერთიან აზრამდე ადამიანის პიროვნების უნიკალურობასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშობა და გამოვლინდება მხოლოდ დიალოგურ ურთიერთობებში. დიალოგი - ეს არის არა პიროვნების ფორმირების საშუალება, არამედ მისი ყოფიერება.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

_____

_____

7. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

- მეცნიერება ვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კვლევის შედეგად იგი მუდმივად ივსება სულ ახალ-ახალი აღმოჩენებითა და ფაქტებით.
- ფაქტების თავმოყრისა და ინტერპრეტაციისათვის სულაც არ არის საჭირო მეცნიერულად დასაბუთებული კვლევის მეთოდები.
- ყოველი მეცნიერებისა და მის დაქვემდებარებაში არსებული პრაქტიკის კონკრეტული მეცნიერული მეთოდოლოგია იხსნება სპეციფიკური, შედარებით დამოუკიდებელი მიდგომების ან პრინციპების საშუალებით.
- განსაზღვრული სტრუქტურის მქონე სისტემის გათვალისწინების გარეშეც მოცემული ამოცანის გადაწყვეტის დროს ყოველი ელემენტი ასრულებს თავის ფუნქციას.
- თითოეული ელემენტის მოძრაობა დაქვემდებარებულია მთლიანის მოძრაობის კანონზომიერებებს.
- პიროვნული მიდგომა პედაგოგიკაში გამომდინარეობს ერთიანობის პრინციპიდან.
- საქმიანობა - ესაა ადამიანების მიერ გარემო რეალობის გარდაქმნა.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რა შემთხვევაში ვითარდება მეცნიერება?

_____

_____

_____

რა არის საჭირო ფაქტების თავმოყრისა და ინტერპრეტაციისათვის?

_____

_____

_____

რა იგულისხმება თანამედროვე კვლევებში მეთოდოლოგიაში?

_____

_____

_____

რას ნიშნავს წინააღმდეგობა პიროვნების მთლიანობასა და ფუნქციონალურ მიდგომას შორის მისი განვითარების პრობლემის გადასაწყვეტად?

_____

_____

რა პრინციპიდან გამომდინარეობს პიროვნული მიდგომა პედაგოგიკაში?

_____

_____

_____

რა არის საქმიანობა?

_____

_____

_____

რას ნიშნავს და რა მნიშვნელობა ენიჭება საქმიან მიდგომას?

_____

_____

_____

9. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

10. ტექსტის მიხედვით ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად შესაბამისი სიტყვები:
საქმიანი ..... მნიშვნელობა ..... ჩამოაყალიბა თავის ნაშრომებში ცნობილმა რუსმა ფსიქოლოგმა ა. ლეონტიევმა. ”კაცობრიობის კულტურის ..... დასაუფლებლად, - წერდა ის, - ყოველმა ახალმა თაობამ უნდა ..... ანალოგიურად იმისა, რისთვისაც ადრე მიუღწევიათ. აი, ამიტომაც და იმისთვის, რომ მოვამზადოთ ..... დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ..... საქმიანობისათვის, აუცილებელია ..... ფარგლებში ჩავრთოთ ისინი საქმიანობის ამ ....., ანუ ..... გავუკეთოთ მათ სრულფასოვან ..... სოციალური და ..... მიმართულებით.

11. წაიკითხეთ ტექსტის მეორე ნაწილი:

II.

კულტუროლოგიურ მიდგომას, როგორც კონკრეტული მეცნიერული მეთოდოლოგიისა და პედაგოგიური რეალობის გარდასახვას, აქვს ქმედების სამი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი: აქსიოლოგიური (ფასეულობითი), ტექნოლოგიური და პიროვნულ-შემოქმედებითი (ი. ისაევი).

კულტუროლოგიური მიდგომის აქსიოლოგიური ასპექტი განპირობებულია იმით, რომ ადამიანური საქმიანობის, როგორც მიზანმიმართული, მოტივირებული, კულტურულად ორგანიზებული ყოველი სახეობისათვის, დამახასიათებელია თავისი საფუძვლები, შეფასებები, კრიტერიუმები (მიზნები, ნორმები, სტანდარტები და ა.შ.) და შეფასების საშუალებები. კულტუროლოგიური მიდგომის ეს ასპექტი გულისხმობს პედაგოგიური პროცესის ისეთ ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფდა პიროვნების ფასეული ორიენტაციების შესწავლასა და ფორმირებას.

ტექნოლოგიური კულტუროლოგიური მიდგომა დაკავშირებულია კულტურის გაგებასთან, როგორც ადამიანის საქმიანობის სპეციფიკურ საშუალებასთან. სწორედ საქმიანობა წარმოადგენს იმას, რასაც საყოველთაო, ზოგადი ფორმა აქვს კულტურაში, მისი პირველი ზოგად-განსაზღვრულობითი კატეგორიები "კულტურა" და "საქმიანობა" ისტორიულად ურთიერთგანპირობებითია. საკმარისია თვალი გავადევნოთ ადამიანთა საქმიანობის, მისი დიფერენციაციისა და ინტეგრაციის ევოლუციას, რომ დავრწმუნდეთ კულტურის განვითარებაში. კულტურა, თავის მხრივ, წარმოადგენს რა საქმიანობის უნივერსალურ დახასიათებას, თითქოს იძლევა სოციალურ-ჰუმანისტურ პროგრამას და გულისხმობს საქმიანობის ამა თუ იმ სახის მიმართულებას, მის ფასეულ ტიპოლოგიურ თავისებურებებსა და შედეგებს. პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკაში აუცილებელია კულტურის, მისი ფასეულობების პიროვნების შემოქმედებით საქმიანობასთან კავშირების გათვალისწინება.

ადამიანი ცხოვრობს და სწავლობს კონკრეტული სოციო-კულტურულ გარემოში, მიეკუთვნება გარკვეულ ეთნოსს. ამითაა გამოწვეული ეთნოპედაგოგიური მიდგომა, რომელშიც ვლინდება ინტერნაციონალური (ზოგადსაკაცობრიო), ნაციონალური და ინდივიდუალური აღზრდის ელემენტების ერთიანობა. მრავალი წლის განმავლობაში აღზრდის პროცესში ნაციონალური ელემენტის მნიშვნელობა სათანადოდ არ იყო შეფასებული. უფრო მეტიც, აშკარა იყო ეროვნული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობის იგნორირების ტენდენცია. თუმცა, დღეს ვითარება შეიცვალა. ეთნოპედაგოგიური მიდგომა გულისხმობს ამ დაპირისპირების აღმოფხვრას. ორგანული შეთავსება ახალგაზრდა თაობის "შესვლისა" მსოფლიო პედაგოგიურ კულტურაში ხალხის ეროვნულ ტრადიციებთან, მის ეთნიკურ ზნე-ჩვეულებებს თუ ადათ - წესებზე დაყრდნობით, - არის ასეთი მიდგომის რეალიზაციის პირობა პედაგოგიური პროცესის პროექტირებისა და ორგანიზებისათვის.

აღორძინებულთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს ანთროპოლოგიური მიდგომა, რომელიც პირველად შეიმუშავა და დააფუძნა კ. უშინსკიმ. მისი აზრით, ეს მიდგომა ნიშნავდა ადამიანზე, როგორც აღზრდის საგანზე, ყველა მეცნიერების მონაცემთა სისტემურ გამოყენებას და პედაგოგიური პროცესის აგებისა და განხორციელების დროს მათ გათვალისწინებას. კ.უშინსკიმ ანთროპოლოგიური მეცნიერებების დიდ წრეს მიაკუთვნა ანატომია, ფიზიოლოგია და ადამიანის პათოლოგია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ფილოსოფია, გეოგრაფია (რადგან იგი სწავლობს დედამიწას, როგორც ადამიანის საცხოვრებელს, ხოლო ადამიანს-როგორც დედამიწაზე მაცხოვრებელს), სტატისტიკა, პოლიტიკური ეკონომიკა და ისტორია მისი ფართო გაგებით (რელიგიის, ცივილიზაციის, ფილოსოფიური სისტემების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და აღზრდის ისტორია). როგორც ის ვარაუდობდა, ყველა ამ მეცნიერებაში

გადმოცემულია, შედარებულია და დაჯგუფებულია ფაქტები და ის დამოკიდებულებები, რომლებშიც ვლინდებიან აღზრდის ობიექტის, ანუ ადამიანის, თვისებები. ”თუ პედაგოგიკას უნდა ადამიანის ყოველმხრივი აღზრდა, მაშინ მანაც ჯერ ყოველმხრივ კარგად უნდა შეიცნოს იგი”. კ.უშინსკის ეს წესი იყო და რჩება უცვლელ ჭეშმარიტებად თანამედროვე პედაგოგიკისათვის.

თავისი ობიექტის ბუნებაზე მცირე ცოდნით პედაგოგიკას არ შეუძლია კონსტრუქციული ფუნქციის შესრულება შემასწავლელი პროცესების სამართავად. მისი ანთროპოლოგიური მიდგომისაკენ დაბრუნება წარმოადგენს პედაგოგიკის ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, კულტურულ და ფილოსოფიურ ანთროპოლოგიასთან, ბიოლოგიასა და სხვა მეცნიერებებთან ინტეგრაციის პირობას.

პედაგოგიკის გამორჩეული მეთოდოლოგიური პრინციპები (მიდგომები) შესაძლებელს ხდის გამოიყოს, პირველ ყოვლისა, არა მოჩვენებითი (ყალბი, წარმოსახვითი), არამედ მისი ნამდვილი პრობლემები; მეორე - ისინი იძლევიან საშუალებას, რათა მთლიანად და დიალექტიკურ ერთიანობაში გაანალიზდეს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების ერთობლიობა, დაწესდეს მათი იერარქია; დაბოლოს, მესამე: მოცემული მეთოდოლოგიური პრინციპები შესაძლებლობას იძლევა ზოგადი სახით პროგნოზირებისა ობიექტური ცოდნის მიღების უდიდესი ალბათობისა და წარსულს ჩაბარდეს ადრე გაბატონებული პედაგოგიური პარადიგმები.

12. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

13. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____

_____
_____
_____
_____
_____

14. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

15. დააბოლოვეთ წინადადებები:

საქმიანობა წარმოადგენს იმას, რასაც საყოველთაო, ზოგადი ფორმა აქვს კულტურაში, მისი პირველი ზოგად-განსაზღვრულობითი კატეგორიები "კულტურა" და "საქმიანობა" ისტორიულად ..... საკმარისია თვალი გავადევნოთ ადამიანთა საქმიანობის, მისი დიფერენციაციისა და ინტეგრაციის ევოლუციას, რომ დავრწმუნდეთ კულტურის ..... კულტურა, თავის მხრივ, წარმოადგენს რა საქმიანობის უნივერსალურ დახასიათებას, თითქოს იძლევა სოციალურ-ჰუმანისტურ პროგრამას და გულისხმობს საქმიანობის ამა თუ იმ სახის მიმართულებას, მის ფასეულ ტიპოლოგიურ თავისებურებებს და ..... პედაგოგიურ თეორიაში და პრაქტიკაში აუცილებელია კულტურის, მისი ფასეულობების პიროვნების შემოქმედებით საქმიანობასთან კავშირების .....

ადამიანი ცხოვრობს და სწავლობს კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში, მიეკუთვნება გარკვეულ ..... ამითაა გამოწვეული ეთნოპედაგოგიური მიდგომა, რომელშიც ვლინდება ინტერნაციონალური (ზოგადსაკაცობრიო), ნაციონალური და ინდივიდუალური აღზრდის ელემენტების ..... მრავალი წლის განმავლობაში აღზრდაში ნაციონალური ელემენტის მნიშვნელობა სათანადოდ იყო .....

16. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

17. დაწერეთ ესე: რა არის საქმიანობა?

18. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

_____
_____
_____

19. **გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.**

საშინაო დავალება:

20. **წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 25. ფსიქოლოგიის მეთოდები

1. გაიხსენეთ, რა არის საქმიანობა. იმსჯელეთ.

2. როგორ გესმით, საზოგადოდ, „მეთოდი“? გამოთქვით თქვენი მოსაზრებები.

3. თქვენთვის ცნობილი რა მეთოდები შეიძლება გამოვიყენოთ ფსიქოლოგიაში? იმსჯელეთ.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

თვითდაკვირვება

ფსიქოლოგიის საკვლევ საგანს სულიერი პროცესები ან განცდები წარმოადგენს. იმისთვის, რომ ფსიქოლოგიამ თავისი ამოცანა წარმატებით გადაჭრას, პირველი აუცილებელი პირობა, რა თქმა უნდა, ამ საკვლევი საგნის შესახებ მასალის სისწორითა და სისრულით გათვალისწინებაა. ამიტომ ახალი საკითხი, რომელიც ახლა ჩვენ წინაშე დგება, ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ, რა გზით იძენს ფსიქოლოგია თავის საკვლევ მასალას, როგორია მისი მეთოდები.

ყოველი მეცნიერების მეთოდი უეჭველად იმ თავისებურებაზეა დამოკიდებული, რომლის მატარებლადაც მისი შესასწავლი საგანი ითვლება. როგორც ვიცით, ფსიქოლოგიის საგანი ფსიქიკური ფენომენები ან განცდებია. მაგრამ ყოველი ცალკე განცდის ფაქტი უკვე იმით, რომ იგი განცდაა, სუბიექტისთვის იმთავითვე ცნობადია. იგი არა მარტო ობიექტურად არსებობს, როგორც ფაქტი, არამედ სუბიექტმაც იცის, რომ ის არსებობს. უფრო მარტივად რომ გამოვთქვათ, განცდა არა მარტო ფაქტია, არამედ იგი უთუოდ ცნობიერების ფაქტიცაა.

ამგვარად, რაღაც თავისებური, იმთავითვე მზამზარეულად მოცემული, პირველადი ფაქტი ფსიქიკური ფენომენების არსებობის ცოდნისა უეჭველად უნდა იქნეს ნაგულისხმევი. ესაა ის მთავარი წყარო, რომელიც ფსიქიკურის შესახებ ცნობებს გვაწვდის.

ჩვეულებრივ, ამ წყაროს შინა გრძნობას, შინა აღქმას ან განცდათა აღქმას უწოდებენ, რათა იგი ე.წ. გარე გრძნობის ან გარე აღქმისგან განასხვაონ, ესე იგი, იმისგან, რაც გარე გამოცდილების ან ფიზიკურ ფენომენთა წვდომის წყაროდ ითვლება.

რაც უფრო ფართო და მრავალმხრივია სუბიექტის გამოცდილება, რაც უფრო მდიდარია შინაარსი მისი ცნობიერებისა, მით უფრო სრული უნდა იყოს ცნობათა ის მარაგიც, რომელიც მას სულიერი ცხოვრების შესახებ მოეპოვება. მაგრამ მეცნიერების საფუძვლად იგი მაინც არაა საკმარისი. ამისთვის თვითდაკვირვებაა საჭირო, ის რთული აქტი, რომელიც არა თავისთავად და უშუალოდ, არამედ საგანგებო განზრახვისა და გეგმის მიხედვით მიიმართება განცდათა გასათვალისწინებლად.

ბუნებრივად ისმის საკითხი: არის კი ასეთი განზრახული მიმართვა ყურადღებისა საკუთარ განცდათადმი შესაძლებელი? პოზიტივიზმის მამამთავარი, კონტი (1798-1857) უარყოფითად ჭრიდა ამ საკითხს. იგივე უნდა ითქვას, სხვათა შორის, ფსიქოლოგიის იმ მიმდინარეობის შესახებაც, რომელიც ბიჰევიორიზმის სახელითაა ცნობილი.

მართლაცდა, თუ თვითაღქმის ცნობები სულიერი ცხოვრების შესახებ ამ უკანასკნელის ბუნებრივი განცდის ფაქტიდან გამომდინარეობს, ცხადია, რაც უფრო სრულია ეს განცდა, მით უფრო სრული უნდა იყოს თვით ცნობებიც მის შესახებ. სამაგიეროდ, თვითდაკვირვება სულიერი ცხოვრების თავისებურებათა წვდომას სრულიად განსხვავებული გზით ეძიებს. მისთვის თვით განცდის სისრულე და ინტენსივობა როდი იძლევა თავისი გათვალისწინების საიმედო გარანტიას, არამედ სისრულე და ინტენსივობა იმ დაკვირვებისა, რომელსაც სუბიექტი ატარებს მათზე. თუ პირველ შემთხვევაში, მაშასადამე, ყურადღება იმ საგნისკენაა მიმართული, რომელიც განიცდება, მეორე შემთხვევაში იგი განცდებისკენაა მიპყრობილი. ამის მიხედვით, სისრულე ცნობებისა სულიერ ფენომენთა შესახებ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ინტენსიობით მუშაობს ყურადღება პირველსა და მეორე შემთხვევაში: როდესაც ყურადღება უფრო ინტენსიურად საგნისკენაა მიპყრობილი, თვითაღქმის ცნობები უფრო მეტი და საიმედო გვაქვს. როდესაც, პირიქით, ინტენსიური ყურადღება განცდებისკენ მიიმართება, მაშინ თვითდაკვირვება უფრო მეტსა და სრულს ცნობებს იძლევა სულიერი ცხოვრების შესახებ.

ამგვარად, ცხადად ირკვევა, რომ განცდათა აღქმასა და თვითდაკვირვებას შორის არა მარტო რაოდენობითი განსხვავება არსებობს, როგორც ამას, მაგალითად, გ. ე. მიულერი ფიქრობს, არამედ არსებითიც. ეს განსხვავება ისე შორს მიდის, რომ ის პირობები, რომლებიც ერთისთვის ხელსაყრელად ითვლება, მეორისთვის დამაბრკოლებელ გარემოებად იქცევა. განცდათა აღქმისთვის ხელსაყრელი მიმართულება ყურადღებისა უეჭველად მავნებელია თვითდაკვირვებისთვის, ვინაიდან, როდესაც ყურადღება საგნისკენაა მიპყრობილი, ძნელია იმავე დროს იგი თანაბარი ინტენსივობით საგნის განცდისკენაც მიიმართოს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ უეჭველია, რომ თვითდაკვირვებას მართლაც მრავალ დაბრკოლებისთვის მოუხდება ანგარიშის გაწევა და ეს გარემოება, რასაკვირველია, მის მეთოდოლოგიურ ღირებულებას საგრძნობლად დასწევს ძირს. უწინარეს ყოვლისა, შემდეგი უნდა აღინიშნოს. თვითდაკვირვებას არასოდეს არ შესწევს ძალა, რომელსამე სულიერ ფენომენს მთლიანად ჩასწვდეს. იმისთვის, რომ რაიმე განცდის დაკვირვება დავიწყოთ, აუცილებელია მისი არსებობის ფაქტი უკვე წინასწარ ვიცოდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკვირვების საგანი არ გვექნებოდა, მაგრამ, როგორც ვიცით, განცდის არსებობის ცოდნა მხოლოდ მისი არსებობის დაწყებასთან ერთად გვეძლევა და არასოდეს მასზე ადრე. მაშასადამე, სანამ დაკვირვების დაწყებას მოვასწრებდეთ, ფსიქიკურ ფაქტს თავისი განვითარების განსაზღვრული გზა უკვე აქვს განვლილი და, მაშასადამე, თვითდაკვირვებისთვის ამ გზის მხოლოდ უკანასკნელი ეტაპია მოცემული.

ამგვარად, თვითდაკვირვება არსებითად მოკლებულია შესაძლებლობას ფსიქიკური განვითარების ყველა საფეხურზე თანაბრად იწარმოოს. იგი მხოლოდ ნაწყვეტებს ან ფრაგმენტებს სწავლობს განცდებისას და არა მათ სრულ სახეს. მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ თვითდაკვირვებას არც ამ ფრაგმენტების ნამდვილი ბუნებრივი მიმდინარეობის დანახვის ძალა შესწვეს. საქმე ისაა, რომ დაკვირვების ფაქტი თვით წარმოადგენს ახალ ფსიქიკურ გარემოებას, ახალ ფაქტს, რომელიც ცნობიერების მოცემულ შინაარსს ერთვის და, მაშასადამე, მას ახალ სახეს აძლევს. ამგვარად, თვითდაკვირვების დროს დაკვირვების საგნად დასახული განცდა ახალ

გარემოებაში მიმდინარეობს და თვითდაკვირვება ვერც ერთხელ ვერ იჭერს მას იმ სახით, როგორიც მას თვითდაკვირვებას მოკლებულ პირობებში აქვს.

მაშასადამე, მისი ბუნებრივი მიმდინარეობა ყოველთვის ხელმიუწვდომელი დარჩება მისთვის. თვითდაკვირვების ფაქტი რომ უკვე თავისი უბრალო არსებობით არღვევს განცდათა ბუნებრიობას, ეს უეჭველი ჭეშმარიტებაა. თვითდაკვირვება განცდათადმი ყურადღების მიმართვას გულისხმობს. მაგრამ ყურადღება ძლიერ რთული აქტია, რომელიც შედეგების მთელ რიგს იწვევს ცნობიერებაში: აფერხებს სულიერ პროცესს, რომლისკენაც იგი მიიმართება, იწვევს ახალ რეპროდუქციებს და სხვა. ზოგიერთ განცდას იგი სრულიად სპობს ან, ყოველ შემთხვევაში, ანელებს და ასუსტებს: როდესაც ადამიანი განრისხებულია, მისი ყურადღება იმ საგნისკენაა მიმართული, რომელმაც ეს განრისხების აფექტი გამოიწვია; მაგრამ საკმარისია ყურადღების მიმართულება შეიცვალოს, იგი თვით აფექტისკენ გადაიხაროს, მისი ფსიქოლოგიური ბუნების გასათვალისწინებლად, რათა ადამიანმა იმწამსვე იგრძნოს, რომ აფექტი შენელდა.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „ყურადღებითი განცდა რომელიმე შინაგანი პროცესისა და ყურადღებითი დაკვირვება მისი მიმდინარეობისა ყურადღების ორ სრულიად განსხვავებულ მიზანს წარმოადგენს - იმ დონემდე განსხვავებულს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთი სრულიად აფერხებს მეორეს. ვთქვათ, რომელსამე ჩემთვის საინტერესო სურათს ვათვალიერებ ყურადღებით; სრულიად შეუძლებელია, რომ ამავე დროს სათანადო ინტენსივობით ვადევნო თვალყური იმ ფსიქიკურ პროცესებსაც, რომლებიც თან ახლავს სურათის ყურადღებით განცდას. ასე ხდება, რომ, ჩვეულებრივ. ყურადღებით განცდას რომელიმე სულიერი აქტისას ამ განცდის დაკვირვება შეწყვეტს, შეანელებს და შეაფერხებს ხოლმე“ (მიულერი).

როგორი დასკვნის გამოტანა შეიძლება აღნიშნული გარემოებიდან? ნუთუ ისეთი, როგორიც თვითდაკვირვების ფსიქოლოგიის მოწინააღმდეგეთ გამოჰყავთ, სახელდობრ, სრული უარყოფა თვითდაკვირვების მეთოდური ღირებულებისა? საბედნიეროდ, თვითდაკვირვების ბუნება ისეთია, რომ აღნიშნულ სიძნელეთა ზოგის შენელება და ზოგის კიდევ სრულიად თავიდან აცილება მრავალ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური სინამდვილე თავისი მიმდინარეობის მარტო ბუნებრივ მდგომარეობას როდი იცნობს; გ. ე. მიულერის ტერმინი რომ ვიხმაროთ, მისთვის ხშირად არც „იძულებითი პროცესები“ წარმოადგენენ რაიმე უჩვეულოს, ესე იგი, ისეთი პროცესები, რომელნიც თვითდაკვირვების განზრახვის გავლენის ქვეშ ჩნდებიან, ამ განზრახვის გამო მათზე მიმართული ყურადღების ობიექტნი“. თავისთავად იგულისხმება, რომ თვითდაკვირვების მთავარი სიძნელე, რომელიც ყურადღების ზეგავლენით ფსიქიკურ ფენომენთა ბუნებრივი მიმდინარეობის დარღვევის ფაქტში გამოიხატება, იძულებითი პროცესების შესწავლის მიმართ სრულიად მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ესეც არ იყოს, თვითდაკვირვების აქტი არც ფსიქიკურ ფენომენთა ბუნებრივი მიმდინარეობის გაცნობის შესაძლებლობას უარყოფს სავსებით. საქმე ისაა, რომ თვითდაკვირვება, ჩვეულებრივ, არა თვით განცდის მომენტში ხდება, არამედ მას შემდეგ, რაც განცდამ უკვე განვლო თავისი აქტუალური მდგომარეობა და მხოლოდ მოგონების სახით განაგრძობს არსებობას: „დღესდღეობით უკვე საყოველთაოდაა ის ფაქტი ცნობილი, რომ ყოველგვარი აღწერა, რომელიც ჩვენ ამა თუ იმ ფსიქიკური მოვლენის შესახებ შეგვიძლია

ვაწარმოოთ, მხოლოდ მოგონების ნიადაგზეა შესაძლებელი“ (მიულერი). მაგრამ ადამიანის მეხსიერება სუსტია და ძნელი საფიქრებელია, მან ფსიქიკურ განცდათა სახე მანამ უცვლელად შეგვინახოს, სანამ დაკვირვების მიზნით ყურადღებას მისკენ მივაპყრობდეთ. ამიტომ ფსიქოლოგია იძულებული ხდება, დიდი ხნის გაცდილ ფენომენთა რეპროდუქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართოს, როდესაც საკითხი რაიმე ისეთი იშვიათი ფსიქიკური ფენომენის შესახებ დგას, რომელიც არაა მოსალოდნელი, რომ ან ოდესმე, ან მოკლე ხნის განმავლობაში კვლავ განმეორდეს.

უეჭველად არსებობს ფსიქიკურ ფენომენთა მთელი რიგი, რომელთა დაკვირვებაც თვით განცდის მომენტშიც ხერხდება. ასეთ შემთხვევაში ყურადღების იმ გაორებას აღარ აქვს ადგილი, რომელიც აძნელებს განცდათა აქტუალურ მდგომარეობაში თვითდაკვირვებას. მხედველობაში გვაქვს შეგრძნებები, როდესაც, მაგალითად, მელანს ვაკვირდები, სრულიად ცხადად განვიცდი მის სიშავეს და, რაც უფრო მეტის ყურადღებით ვჭვრეტ მას, მით უფრო მეტი გარკვეულობით განიცდება ჩემს ცნობიერებაში მისი სიშავე. იგივე უნდა ითქვას შეგრძნებათა რეპროდუქციული სახეების, ესე იგი, წარმოდგენებისა და შეიძლება იმ გრძნობათა შესახებაც, რომელნიც ასეთ შეგრძნებებთან არიან დაკავშირებულნი. ერთი სიტყვით, უკიდურეს პერიფერიულ ფენომენთა დასახასიათებლად, შეიძლება ითქვას, რომ მათი განცდა და დაკვირვება ყურადღების ერთსა და იმავე აქტში ხდება, ასე რომ არაფერი გვიშლის ხელს, ერთიც და მეორეც ერთდროულად ვაწარმოოთ.

თვითდაკვირვების ერთ-ერთ ნაკლად ხშირად იმ გარემოებასაც ასახელებენ, რომ იგი მხოლოდ საკუთარი სულიერი ცხოვრების შესახებ ახერხებს მოგვაწოდოს ცნობები, ფსიქოლოგიის კვლევის მიზნები კი მარტო ინდივიდუალური სულიერი ცხოვრებით როდი განისაზღვრება, არამედ სულიერი ცხოვრებით საზოგადოდ: მას ხომ ფსიქიკურ პროცესთა და ფენომენთა მიმდინარეობაში ზოგადი კანონზომიერება აინტერესებს და არა კერძო, ინდივიდუალური.

თავისთავად იგულისხმება, უმთავრესი საშუალება, რომლის დახმარებითაც ერთ სუბიექტს მეორისთვის თავის დაკვირვებათა გაზიარება შეუძლია, ეს ადამიანის მეტყველებაა. მაგრამ რამდენად საიმედოა იგი აღნიშნული მიზნისთვის, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ, ერთი მხრივ, რამდენად სრულად ახერხებს სუბიექტი თავისი დაკვირვებისთვის სათანადო სიტყვიერი გამოხატულების პოვნას და, მეორე მხრივ, რამდენად შესწევს მსმენელს ამ უკანასკნელის ადეკვატური გაგების ძალა. ერთგვარი გადაჭარბებაა, რა თქმა უნდა, როდესაც ამბობენ, გამოთქმული აზრი უკვე სიცრუეს წარმოადგენსო. მაგრამ ერთი რამ, ყოველ შემთხვევაში, უეჭველია: სახელდობრ ის, რომ ადამიანის აზრები, გრძნობები და, საზოგადოდ, მისი განცდები იმდენ თავისებურ იერს შეიცავენ, რომ სიტყვის საშუალებით მათი გამოხატვა, თუ სულ შეუძლებელი არა, ძალიან ძნელია. საჭიროა არაჩვეულებრივი გამოთქმის ნიჭი, რომ ყველაფერ ამას სათანადო გამოხატულება მოუპოვო. ეს კი მხოლოდ რჩეულთ ხვედრია; და სრულიად შეუძლებელია, ყველას მეტყველებაში სულიერ განცდათა თანაბრად ადეკვატური გამოხატულება დაინახო.

სხვისი თვითდაკვირვების მონაპოვართა ადეკვატურ წვდომას სიტყვის საშუალებით თვალსაჩინო დაბრკოლება ეღობება წინ. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, თითქოს

მეტყველება სრულიად შეუფერებელი საშუალება იყოს სხვის განცდათა გასათვალისწინებლად. ფაქტი ადამიანთა ურთიერთობაში ენის უდიდესი მნიშვნელობისა საუკეთესო საბუთია, რომ იგი განსაზღვრულ დონემდე და განსაკუთრებით განსაზღვრულ შემთხვევებში მაინც სავსებით საკმარისი გზაა სხვათა სულიერი ცხოვრების მიმდინარეობის გასათვალისწინებლად. ამგვარად, მეტყველების ფაქტი, განსაზღვრულ ფარგლებში მაინც, შესაძლებლობას იძლევა, სხვათა თვითდაკვირვების შედეგები ჩვენსას დავუმატოთ და ამგვარად საკუთარი, სუბიექტური ცნობიერების ფარგლები გადავლახოთ.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

- ფსიქოლოგიის საკვლევ საგანს ფიზიკური პროცესები ან განცდები წარმოადგენენ.
- თვითდაკვირვება სულიერი ცხოვრების თავისებურებათა წვდომას სრულიად განსხვავებული გზით ეძიებს.

- როდესაც ყურადღება საგნისკენაა მიპყრობილი, ძნელია იმავე დროს იგი თანაბარი ინტენსიობით საგნის განცდისკენაც მიიმართოს.
- ყურადღებითი განცდა რომელიმე შინაგანი პროცესისა და ყურადღებითი დაკვირვება მისი მიმდინარეობისა ყურადღების ორს სრულიად განსხვავებულ მიზანს წარმოადგენს.
- ფსიქიკური სინამდვილე თავისი მიმდინარეობის მარტო ბუნებრივ მდგომარეობას როდი იცნობს.
- არ არსებობს ფსიქიკურ ფენომენთა მთელი რიგი, რომელთა დაკვირვებაც თვით განცდის მომენტშიც ხერხდება.
- თვითდაკვირვების ერთ-ერთ ნაკლად ხშირად იმ გარემოებასაც ასახელებენ, რომ იგი მხოლოდ საკუთარი სულიერი ცხოვრების შესახებ ახერხებს მოგვაწოდოს ცნობები.
- სხვისი თვითდაკვირვების მონაპოვართა ადეკვატურ წვდომას სიტყვის საშუალებით არაფერი ეღობება წინ.
- მეტყველების ფაქტი შესაძლებლობას იძლევა, სხვათა თვითდაკვირვების შედეგები ჩვენსას დავუმატოთ.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რა წარმოადგენს ფსიქოლოგიის საკვლევ საგანს?
რაზეა დამოკიდებული ყოველი მეცნიერების მეთოდი?
რატომ უნდა მივმართოთ ყურადღება ადამიანთა განცდების მიმართ?
როგორ გესმით თვითაღქმა?
რა განსხვავებაა „ყურადღებით განცდასა“ და „ყურადღებით დაკვირვებას“ შორის>
როგორ გესმით თვითდაკვირვება? მიზანშეწონილია თუ არა მისი მეცნიერულ მეთოდად განხილვა?
როგორია დაკვირვების პროცესში მეტყველების როლი?

9. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

10. ტექსტის მიხედვით ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად შესაბამისი სიტყვები:

კიდევ უფრო ძნელია იმის ....., თუ რას გულისხმობს თავის ..... ესა თუ ის სუბიექტი. ყოველი სიტყვა ათასსა და ათიათას ..... აღძრავს. ამიტომ ხდება, რომ მისი ..... არა თუ სხვადასხვა სუბიექტისთვისაა სხვადასხვა, არამედ თვით ერთი და იგივე პირი ხშირად ..... სიტყვას მნიშვნელობის სხვადასხვა ..... აძლევს. სრულიად ცხადია, რომ ასეთ პირობებში სხვისი ..... სრული გაგება, როდესაც საქმე ეგოდენ ..... საგანს ეხება, როგორიც ჩვენი ფსიქიკური ..... ნიუანსებია. ძლიერ ძნელია და, ზოგიერთ შემთხვევაში, სრულიად შეუძლებელიც. განსაკუთრებით ეს იმ ..... შესახებ უნდა ითქვას, როდესაც საკითხი ისეთ პირთა მეტყველებას ეხება, რომელნიც თავისი ცხოვრების, ... და კულტურის პირობათა მიხედვით საკმაოდ შორს დგანან .....

11. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

12. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

13. დაწერეთ ესე: თვითგამორკვევის მეთოდები ფსიქოლოგიაში.

14. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

15. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

16. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 26. ანალოგიის თეორია

1. როგორ გესმით თვითგამორკვევა? იმსჯელეთ.
2. რა არის ანალოგია? განმარტეთ თქვენი სიტყვებით.
3. მოიყვანეთ ანალოგიის მაგალითები.
4. წაიკითხეთ ტექსტი:

არსებობს გზა, რომელიც მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს, სხვისი სულიერი ცხოვრების საიდუმლოებაში ჩაიხედოს და მისი თავისებურების გათვალისწინება სცადოს. თუ აქამდე საუბარი საკუთარი განცდების პირდაპირ თუ არაპირდაპირ ან უშუალო დაკვირვებას ეხებოდა, ახლა საკითხი შეიძლება ასე დაისვას: ნუთუ შეუძლებელია სხვის სულიერ ცხოვრებაზე, სხვის განცდებზე არა მარტო თვითონ განმცდელმა, არამედ მკვლევარმა-ფსიქოლოგმაც მოახდინოს საჭირო დაკვირვებანი და ამ გზით თავისი კვლევის ახალი მასალების წყარო გაიჩინოს? ნუთუ სხვისი ფსიქიკა სავსებით დაკეტილია ჩვენთვის, სანამ სუბიექტი არ მოისურვებს, თავის სულიერი ცხოვრების საიდუმლოებაში თვითონ ჩაგვახედოს?

ჩვეულებრივი დაკვირვებიდან ვიცით, რომ, საბედნიეროდ, ეს ასე არაა. სხვისი სულიერი ცხოვრება მიუწვდომელ ცხრაკლიტულს როდი წარმოადგენს. ჩვენ ხშირად მშვენივრად ვიცით, თუ როგორია ჩვენი მოსაუბრის სულიერი განწყობილება, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იგი ამის შესახებ არავითარ ცნობებს არ გვაწვდის. ზოგი ინდივიდი იმდენად შორსმწვდომი ფსიქოლოგიური ალღოთია და ჯილდოებული, რომ ზოგჯერ თვით იდუმალ ზრახვებსაც ვერ გამოაპარებ. დიპლომატისა და რომანისტის ნიჭი დიდწილად ამ ფსიქოლოგიურ ალღოზეა დამოკიდებული.

ბუნებრივად ისმის საკითხი: როგორ ხდება ყველაფერი ეს და, უწინარეს ყოვლისა, საიდან ვიცით, თუ რა განცდები აქვს სხვას? ხომ არ არსებობს აქაც რაიმე უშუალო გზა, რომლითაც სხვის სულიერ ცხოვრებას ვწვდებით? ანდა, შესაძლოა, გრძნობათა ორგანოების საშუალებით ისეთი ნიშნების აღქმას ვახერხებდეთ, რომელნიც, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლობას გვაძლევენ, სხვისი სულიერი განცდების შესახებ სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ? მ. შელერი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ საკითხის გადაჭრას მრავალი მხრივ და მრავალი თვალსაზრისით შორსმწვდომი თეორიული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიური. მიუხედავად ამ პრობლემის დიდი მნიშვნელობისა, ჯერჯერობით არ არსებობს სრული თანხმობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს იგი.

ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, მდგომარეობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ფსიქიკური მოვლენები მხოლოდ განმცდელ სუბიექტს ეძლევა უშუალოდ, იგი მხოლოდ თვითაღქმისა და თვითდაკვირვების გზით ხდება მისაწვდომი. მაშასადამე, იმთავითვე ურყევ დებულებად ითვლება, რომ სხვისი სულიერი განცდების წვდომა უშუალოდ სრულიად მოუხერხებელია. მაგრამ თუ მაინც არსებობს ფაქტი სხვისი სულიერი ცხოვრების გაგებისა, უეჭველია, ეს ხდება არა უშუალო გზით, არამედ რაღაც არაფსიქიკურის მეშვეობით: თვითაღქმისა და თვითდაკვირვების შემთხვევებიდან ვიცით, რომ, ჩვეულებრივ, როდესაც ჩემში რაიმე განცდა იჩენს თავს, ჩემს ფიზიკურ ორგანიზმში გარკვეული

სახის ცვლილებები ხდება. ხანგრძლივი თვითდაკვირვების წყალობით ვიცით, რომ, მაგალითად, როდესაც ვტირით და ცრემლებს ვაფრქვევთ, ჩვეულებრივ, მწუხარებას განვიცდით, როდესაც შიშს ვგრძნობთ, სახე ფერმკრთალდება, გული გვიცემს და მთელი ორგანიზმი შიშის სპეციფიკურ პოზას ღებულობს.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვამჩნევთ, რომ სხეულის გარკვეულ ცვლილებებსა და გარკვეულ განცდებს შორის ერთმნიშვნელოვანი კავშირი არსებობს და, მაშასადამე, პირველი მეორის გარეგამოხატულებას წარმოადგენს. ამის შემდეგ აღარაფერი გვიშლის ხელს, ყველგან, სადაც სხეულის ამა თუ იმ ცვლილებას შევამჩნევთ, ვიგულისხმოთ, რომ სუბიექტი სწორედ იმას განიცდის, რასაც მეც განვიცდიდი, როდესაც ჩემი სხეული ანალოგიურ ცვლილებას გვიჩვენებდა.

ამრიგად, შესაძლებლობა მეძლევა, სხვისი სულიერი ცხოვრების სამკვიდროში შევიჭრა და მისი განცდების შესახებ ვილაპარაკო. ასეთია გავრცელებული შეხედულება. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, სხვის განცდას უშუალოდ კი არ ვწვდები, ამ განცდას უშუალოდ კი არ ვაკვირდები, არამედ ჯერ სხეულის ცვლილებათა ობიექტურ დაკვირვებას ვატარებ და იმის მიხედვით, თუ რა განცდების გამოხატულებად ვცნობ მათ, თანახმად ჩემი თვითდაკვირვებისა, დავასკვნი, რომ სუბიექტს ესა და ეს განცდები უნდა ჰქონდეს. ასეთია ე. წ. ანალოგიის თეორია, რომელიც, მაშასადამე, სხვისი სულიერი ცხოვრების გაგების შესაძლებლობას სავსებით თვითდაკვირვების მონაცემთა შინაარსზე ამყარებს.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

- ჩვენ ხშირად მშვენივრად ვიცით, თუ როგორია ჩვენი მოსაუბრის სულიერი განწყობილება, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იგი ამის შესახებ არავითარ ცნობებს არ გვაწვდის.
- ზოგი ინდივიდი იმდენად შორსმწვდომი ფსიქოლოგიური ალღოთია დაჯილდოებული, რომ მას ზოგჯერ თვით იდუმალ ზრახვებსაც ვერ გამოაპარებ.
- ფსიქიკური მოვლენები მხოლოდ მხოლოდ თვითაღქმისა და თვითდაკვირვების გზით არ ხდება მისაწვდომი.
- სხვისი სულიერი განცდების წვდომა უშუალოდ მოსახერხებელია.
- როდესაც ჩემში რაიმე განცდა იჩენს თავს, ჩემს ფიზიკურ ორგანიზმში გარკვეული სახის ცვლილებები ხდება.
- ხანგრძლივი თვითდაკვირვების წყალობით ვიცით, რომ, მაგალითად, როდესაც ვტირით და თვალთაგან ცრემლებს ვაფრქვევთ, ჩვეულებრივ, სიხარულს განვიცდით.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

არსებობს გზა, რომელიც მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს სხვისი სულიერი ცხოვრების საიდუმლოებაში ჩაიხედოს და მისი თავისებურების გათვალისწინება სცადოს?

რა ვიცით ჩვეულებრივი დაკვირვებიდან?

საიდან ვიცით, თუ რა განცდები აქვს სხვას?

არსებობს რაიმე უშუალო გზა, რომლითაც სხვის სულიერ ცხოვრებას ვწვდებით?

ვის ეძლევა უშუალოდ ფსიქიკური მოვლენები?

არსებობს თუ არა ერთმნიშვნელოვანი კავშირი სხეულის გარკვეულ ცვლილებებსა და გარკვეულ განცდებს შორის?

რას გულისხმობს ანალოგიის თეორია?

9. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

10. ტექსტის მიხედვით ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად შესაბამისი სიტყვები:

ჩვეულებრივი ..... ვიცით, რომ, საბედნიეროდ, ეს ასე არაა. სხვისი ..... ცხოვრება მიუწვდომელ ..... როდი წარმოადგენს. ჩვენ ხშირად მშვენივრად ვიცით, თუ როგორია ჩვენი მოსაუბრის სულიერი ....., მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იგი ამის შესახებ არავითარ ..... არ გვაწვდის, ზოგი ინდივიდი იმდენად ..... ფსიქოლოგიური ალღოთია ....., რომ მას ზოგჯერ თვით იდუმალ ..... ვერ გამოაპარებ. ..... და რომანისტის ნიჭი დიდწილად ამ ფსიქოლოგიურ ალღოზეა დამოკიდებული.

11. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

12. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

13. დაწერეთ ესე: რას ნიშნავს ანალოგია ფსიქოლოგიაში.

14. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

15. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

16. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 27. ექსპერიმენტი.ექსპერიმენტის ცნება

1. შეაჯამეთ, რას გულისხმობს ანალოგიის თეორია ფსიქოლოგიაში.

2. რას ნიშნავს ექსპერიმენტი? იმსჯელეთ.

3. ჩაგიტარებიათ რაიმე ექსპერიმენტი? მოყევით.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

რაც არ უნდა დიდი იყოს სხვათა ობიექტური დაკვირვების მნიშვნელობა, მას მაინც ძლიერ განსაზღვრული ღირებულება აქვს: იგი შემთხვევით მასალას იძლევა. იგივე უნდა ითქვას თვითდაკვირვების შესახებაც. აქაც და იქაც, ყველგან შემთხვევით წამოჭრილ მოვლენათა დაკვირვებასთან გვაქვს საქმე და, ცხადია, ეს ნაკლი თავიდან იქნებოდა აცილებული, ფსიქიკურ ფენომენთა ხელოვნურად შექმნილ პირობებში განზრახ გამოწვევა და თვალყურის დევნება რომ ყოფილიყო შესაძლებელი.

ამ შემთხვევაში მრავალ უპირატესობას მოვიპოვებდით, რაც თვითდაკვირვებისა და სხვისი დაკვირვების აუცილებელ ნაკლოვანებათა თავიდან აცილების შესაძლებლობას მოგვცემდა. ამ უპირატესობათა შორის დავასახელებთ მხოლოდ განსაკუთრებით თვალსაჩინოთ:
ა) განზრახ გამოწვევა რომელიმე ფსიქიკური განცდისა შესაძლებლობას მოგვცემდა მომზადებული დავხვედროდით მას და დაკვირვება განცდის ყველა საფეხურზე
გვეწარმოებინა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუნებრივი თვითდაკვირვებით სარგებლობის დროს სრულიად შეუძლებელია.
ბ) როდესაც წინასწარ ვიცით, თუ რა ფსიქიკური პროცესი როდის იქცევა ჩვენი დაკვირვების საგნად, მაშინ შესაძლებელი ხდება, წინასწარ გავითვალისწინოთ ის მომენტებიც, რომელთა დაკვირვებასაც ჩვენი მიზნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.
გ) განზრახ გამოწვევა ფსიქიკური ფენომენისა მისი მრავალგზისი განმეორების შესაძლებლობას იძლევა. ამ გარემოებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ის, რაც ერთ შემთხვევაში ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეუმჩნეველი დარჩა, მეორე შემთხვევაში საგანგებო ყურადღების საგნად შეიძლება გადაიქცეს; ის, რაც ერთგვარ პირობებში განსაზღვრული სახით წარმოგვიდგა, მეორეგვარ პირობებში შეიძლება სხვა სახით განვიცადოთ.

ცხადია, კვლევის ეს გზა არა მარტო ერთი და იმავე ფენომენის მრავალი სუბიექტის ცნობიერებაში მიმდინარეობის შესწავლის საშუალებას იძლევა, არამედ ერთი და იმავე ფენომენის მრავალი მკვლევრის მიერ ერთსა და იმავე ან მსგავს პირობებში განმეორებითი დაკვირვებისასაც. ეს გარემოება კი გამოკვლევათა ურთიერთკონტროლს აადვილებს და ამავე დროს მათი თანამშრომლობის, ურთიერთთან დაკავშირებისა და ურთიერთის გაგრძელების შესაძლებლობასაც ქმნის.

მაგრამ დაკვირვება ამა თუ იმ მოვლენისა, რომელიც ჩვენი კონტროლის ქვეშ მყოფსა და ჩვენი მიზნების მიხედვით ცვალებად პირობებში განზრახაა ჩვენ მიერ გამოწვეული, ექსპერიმენტული დაკვირვების ან ცდის სახელითაა ცნობილი. ცნობილია, თუ რაოდენ დიდი

როლი შეასრულა ექსპერიმენტმა ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგში. ცხადია, ვერც ფსიქოლოგია აუხვევდა მას გვერდს. დიდი ხნის განმავლობაში ფსიქოლოგიაში მისი გამოყენების შესახებ დავა მიმდინარეობდა, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს დავა მხოლოდ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დამთავრდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვუნდტმა ლაიპციგის უნივერსიტეტთან დამოუკიდებელი ინსტიტუტი შექმნა.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რა მნიშვნელობა ენიჭება სხვათა ობიექტურ დაკვირვებას?

რომელიმე ფსიქიკური განცდის განზრახ გამოწვევა რის შესაძლებლობას გვაძლევს?

რა ხდება შესაძლებელი, როდესაც წინასწარ ვიცით, თუ რა ფსიქიკური პროცესი როდის იქცევა ჩვენი დაკვირვების საგნად?

რა ქმნის ურთიერთთან დაკავშირებისა და ურთიერთის გაგრძელების შესაძლებლობას?

რა როლს ასრულებს ექსპერიმენტი ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგის განვითარებაში?

8. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

9. ტექსტის მიხედვით ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად სათანადო სიტყვები:
როდესაც წინასწარ ვიცით, თუ რა ..... პროცესი როდის იქცევას ჩვენი ..... საგნად, მაშინ შესაძლებელი ხდება, წინასწარ ..... ის მომენტებიც, რომელთა ..... ჩვენი მიზნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. განზრახ გამოწვევა ფსიქიკური ..... მისი მრავალგზისი განმეორების ..... იძლევა. ამ ..... განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ის, რაც ერთ ..... ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეუმჩნეველი დარჩა, მეორე შემთხვევაში საგანგებო ..... საგნად შეიძლება გადაიქცეს; ის, რაც ერთგვარ ..... განსაზღვრული სახით წარმოგვიდგა, ... პირობებში შეიძლება სხვა სახით განვიცადოთ.

10. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

11. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

12. დაწერეთ ესე: ექსპერიმენტის მნიშვნელობა ფსიქოლოგიისთვის.

13. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

14. **გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.**

საშინაო დავალება:

15. **წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 28. ექსპერიმენტის პირობები

1. გაიხსენეთ, რა არის ექსპერიმენტი და რა მნიშვნელობა ენიჭება მას ფსიქოლოგიაში?
2. რას ნიშნავს ექსპერიმენტის პირობა? როგორ გესმით? - იმსჯელეთ.
3. წაიკითხეთ ტექსტი:

რამდენად სრულია ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტული დაკვირვების ჩატარების შესაძლებლობა? ან როგორია ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ბუნება? ვინაიდან ექსპერიმენტის შესაძლებლობის პრობლემა ფსიქოლოგიაში, ფაქტობრივად, უკვე გადაჭრილია, ამ საკითხს აქ აღარ შევეხებით და მხოლოდ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ბუნების გათვალისწინებას შევეცდებით. მის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დიდი იმედი შეგვიძლია დავუკავშიროთ ექსპერიმენტის შემოღებას ჩვენს მეცნიერებაში.

ვუნდტი ოთხ ძირითად მოთხოვნილებას გულისხმობს, რომლებსაც ფსიქოლოგიური კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს, რომ ექსპერიმენტად იყოს მიჩნეული:

1. დაკვირვების მწარმოებელს, რომელსაც ფსიქოლოგიაში, ჩვეულებრივ, ცდისპირს უწოდებენ, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, გამოსაკვლევი ფენომენის დაწყების მომენტი თვითონ განსაზღვროს.
2. მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ამ ფენომენის მაქსიმალური ყურადღებით განცდისა.
3. შესაძლებელი უნდა იყოს დაკვირვების მრავალგზისი გამეორება თანასწორ პირობებში.
4. შესაძლებელი უნდა იყოს გამოსაკვლევი ფენომენის იმ პირობების, რომელშიც იგი ჩნდება, თანმხლებ გარემოებათა ვარიაციის საშუალებით დადასტურება და შემდეგ შეცვლა.

ეს პირობათა ვარიაცია ან ნაწილობრივი აღკვეთის და ან მათი რაოდენობრივად და თვისებრივად ცვალების გზით უნდა ხდებოდეს.

სამწუხაროდ, სრულიად შეუძლებელია ფსიქოლოგიური დაკვირვება ყველა ამ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებდეს. ამას ყველაზე მეტად ორი გარემოება უშლის ხელს: ჯერ ერთი, სულიერი ცხოვრების იმ თავისებურების გამო, რომლის მიხედვითაც ერთხელ მომხდარი განცდა უთუოდ თავისებურ კვალს ტოვებს ცნობიერებაში. ერთი და იმავე უცვლელი სახით არა თუ ჩვენი რთული ფსიქიკური განცდების განმეორება არ ხერხდება, არამედ ისეთი მარტივისაც, როგორიც, მაგალითად, ჩვენი შეგრძნებებია. კიდევ უფრო ძნელია განცდათა დიდი უმეტესობის თანმხლებ გარემოებათა რაოდენობრივად და თვისებრივად ჩვენი ნებაყოფლობის მიხედვით ცვალება. ასეთ განცდათა რიცხვს ისეთი მნიშვნელოვანი ფსიქიკური ფენომენები ეკუთვნიან, როგორიც, მაგალითად, აზროვნებისა და ნებელობის პროცესებია, ესე იგი, ის პროცესები, რომელთაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა და ინტერესი ახასიათებს. დასასრულ, ზოგიერთი, განსაკუთრებით უმაღლესი განცდის, ხელოვნური გამოწვევა სრულიად შეუძლებელი ხდება: როგორ გსურთ, ლაბორატორიის საშუალებებით და მის პირობებში ისეთი რთული განცდები გამოვიწვიოთ, როგორიც, მაგალითად, უმაღლესი ზნეობრივი განცდებია!

მაშასადამე, ირკვევა, რომ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ვუნდტის ყველა მოთხოვნილებას სრული ზედმიწევნილობით ვერ აკმაყოფილებს. ყველაზე უფრო მეტი ანგარიშის გაწევა მათთვის

შეგრძნებათა ექსპერიმენტული კვლევის დროს ხერხდება. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ფსიქოლოგი მესერი, არც აქა გვაქვს საქმე ამ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების შესაძლებლობასთან, ხოლო რაც უფრო რთულ და ცენტრალური ბუნების განცდათა კვლევაზე გადავდივართ, ეს შესაძლებლობა მით უფრო და უფრო მცირდება.

ვუნდტი ამიტომ რთულ ფსიქიკურ განცდათა ექსპერიმენტულად კვლევის ნაყოფიერებას სრულიად უარყოფს და მათ გენეტური და შედარებითი მეთოდის საშუალებით შეისწავლის, რომელიც მის ფსიქოლოგიაში „ხალხთა ფსიქოლოგიური მეთოდის“ სახელითაა ცნობილი. მაგრამ ფსიქოლოგიის განვითარების ფაქტობრივმა მიმდინარეობამ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ რთულ განცდათა ექსპერიმენტული გზით კვლევაც საგრძნობ შედეგებს იძლევა.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

- ექსპერიმენტის შესაძლებლობის პრობლემა ფსიქოლოგიაში ჩვენი მეცნიერების ფაქტობრივმა განვითარებამ ვერ გადაჭრა.
- ეს პირობათა ვარიაცია ან ნაწილობრივი აღკვეთის და ან მათი რაოდენობრივად და თვისებრივად ცვალების გზით უნდა ხდებოდეს.

- შეუძლებელია ფსიქოლოგიური დაკვირვება ყველა ამ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებდეს.
- განცდათა დიდი უმეტესობის თანმხლებ გარემოებათა რაოდენობრივად და თვისებრივად ჩვენი ნებაყოფლობის მიხედვით ცვალება მეტისმეტად იოლია.
- ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ვუნდტის ყველა მოთხოვნილებას სრული ზედმიწევნილობით ვერ აკმაყოფილებს.

7. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რომელ ოთხ ძირითად მოთხოვნილებას გულისხმობს ვუნდტი, რომელსაც ფსიქოლოგიური კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს? ჩამოთვალეთ.

_____

_____

_____

რას ნიშნავს განცდათა თანმხლებ გარემოებათა რაოდენობრივად და თვისებრივად ცვალება?

_____

_____

_____

რატომ ვერ აკმაყოფილებს ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ვუნდტის ყველა მოთხოვნილებას სრული ზედმიწევნილობით?

_____

_____

_____

_____

რატომ უარყოფს ვუნდტი რთულ ფსიქიკურ განცდათა ექსპერიმენტულად კვლევის ნაყოფიერებას?

_____

_____

_____

8 ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

9. ტექსტის მიხედვით, ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად შესაბამისი სიტყვები:

სამწუხაროდ, სრულიად შეუძლებელია ფსიქოლოგიური ..... ყველა ამ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებდეს. ამას ყველაზე უმეტესად ორი ..... უშლის ხელს: ჯერ ერთი, ... ცხოვრების იმ თავისებურების გამო, რომლის მიხედვითაც ერთხელ მომხდარი ..... უთუოდ თავისებურ ..... ტოვებს ცნობიერებაში,

ერთი და იმავე უცვლელი სახით არა თუ ჩვენი რთული ..... განცდების განმეორება არ ხერხდება, არამედ ისეთი მარტივისაც, როგორიც, მაგალითად, ჩვენი .....

10. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

11. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

12. დაწერეთ ესე: რას იძლევა ფსიქოლოგიაში განცდათა ექსპერიმენტული გზით კვლევა.

13. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

14. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

15. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 29. ცნობიერების მოვლენათა კლასიფიკაცია

1. რას იძლევა ფსიქოლოგიაში განცდათა ექსპერიმენტული გზით კვლევა?
2. რა არის ცნობიერება? განმარტეთ თქვენი სიტყვებით.
3. იმსჯელეთ ტერმინზე: „ცნობიერების მოვლენები“
4. წაიკითხეთ ტექსტი:

კლასიფიკაციის სიძნელე

ჩვენი ცნობიერება მთლიანია. მიუხედავად ამისა, მასში მაინც მკაფიოდ განსხვავებულ ფსიქიკურ რომელობათა ცალკე ძირითადი ჯგუფების დადასტურება ხერხდება. ფსიქიკურ ფენომენთა კლასიფიკაციის საკითხი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემათაგანია. იგი ადამიანის სულიერი ცხოვრების მკლევართ იმთავითვე აინტერესებდა. ამის მიუხედავად, დღესაც არ შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიამ ამ საკითხის გადაჭრის საბოლოო სახეს მიაღწია და მის განკარგულებაში ერთი, ყველასთვის მისაღები კლასიფიკაცია არსებობს. პირიქით, თუ ყველა მნიშვნელოვან ფსიქოლოგს არა, ყოველ შემთხვევაში ყველა განსხვავებულ ფსიქოლოგიურ სკოლას მაინც ხშირად თავისი საკუთარი კლასიფიკაცია აქვს შემუშავებული. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ, ერთი ფსიქოლოგის სიტყვით, „ჩვენი კონკრეტული სულიერი განცდები ძალიან რთული ბუნებისანი არიან, ასე რომ ძნელი ხდება, ყველა ის კომპონენტები ურთიერთისგან იქნენ გამოყოფილნი, რომლებშიც მათი სპეციფიკური თავისებურება მარხია. მაგრამ მეთოდოლოგიურ სიძნელესაც აქვს ადგილი. ჩვენი გონების დამახასიათებელი მონისტური ტენდენცია ადვილად ბადებს აზრს, თითქოს ჩვენი ცნობიერების შინაარსის სიმდიდრე ერთი სისტემატური განაწევრების შესაძლებლობას იძლეოდეს.

ფაქტობრივი მდგომარეობა კი ისეთია, რომ სხვადასხვა ზოგადი განსხვავებულობა ცნობიერების შინაარსთა შორის - განსხვავებულობანი, რომელნიც ხელოვნურად როდი არიან სულიერ სინამდვილეში შეტანილნი, არამედ თვით ბუნების მიერ არიან მასში შექმნილნი _ ურთიერთს ენასკვებიან~ (გაიზერი).

ძველი კლასიფიკაცია

მეორე მხრივ, სულიერ ფენომენთა ზოგადი განსხვავებულობა იმდენად ნათელია, რომ შეუძლებელია, იგი შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ამ განსხვავებულობის უმთავრესი ჯგუფები თვით ჩვეულებრივ მეტყველებაშიც ცხადადაა დადასტურებული. „მე მგონია“, „მე ვგრძნობ“, „მე მინდა“ - ყველაფერი ეს მკაფიოდ განსხვავებულ განცდათა არსებობას გულისხმობს. მართალია, გულუბრყვილო გონების შემთხვევითი ანალიზი მეცნიერულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, უკლებლივ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე მეცნიერებაში სწორედ ეს გულუბრყვილო აზროვნების ანალიზი იყო გამეფებული. როდესაც დღესაც გრძნობათა ორგანოების შესახებ ვლაპარაკობთ, გრძნობის ქვეშ ჩვენი მხედველობის, სმენის, გემოვნების, ყნოსვისა და შეხების უნარს ვგულისხმობთ; მაგრამ ამავე დროს სიამოვნებასა და უსიამოვნებასაც ამავე სახელით აღვნიშნავთ. ნამდვილად კი სრულიად

ცხადია, რომ სიამოვნებისა და უსიამოვნების, ფერისა და ტონის განცდებს შორის უეჭველი თვისებრივი განსხვავება არსებობს. გულუბრყვილო თვითდაკვირვება ამ განსხვავებას ვერ ხედავს და მისთვის სულიერი ცხოვრების მთელი სიმდიდრე გრძნობის (ან წარმოდგენის) და ნდომის ფენომენებით ამოიწურება.

სწორედ ასევე მსჯელობდა ძველი მეცნიერებაც. როდესაც იგი, XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, სულიერ ფენომენთა მრავალსახიანობას მხოლოდ ორ ძირითად ჯგუფად ყოფდა: შემეცნებად და ნებელობად.

მეთვრამეტე საუკუნეში, უმთავრესად გერმანელი ფსიქოლოგის ტეტენსის შემდეგ, პირველად გამოაშკარავდა, რომ ფერის, ტონის და სხვა ამგვარ ფენომენთა ფსიქოლოგიური ბუნება სიამოვნება -უსიამოვნების განცდათაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. ამიტომ აუცილებელი შეიქნა ე. წ. გრძნობის ფენომენთა ორ განსხვავებულ კლასად გაყოფა, რომელთაგანაც ერთს შემეცნებითი ბუნება აქვს და მეორეს - წმინდა ემოციური. პირველს შეგრძნება ეწოდება, ხოლო მეორეს გრძნობის სახელწოდება შერჩა. ამის მიხედვით, განსაკუთრებით ფილოსოფოს კანტის ძლიერი გავლენის გამო, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში სულიერ ფენომენთა სამ ჯგუფად დანაწილება ჩვეულებრივ საქმედ გადაიქცა.

უნდა ითქვას, რომ სულიერი ცხოვრების შინაარსში ამ სამი თვისებრივად განსხვავებული ფსიქიკური მიმდინარეობის არსებობა, მართლაც, ყველაზე უფრო უშუალოდ გვეძლევა. სრულიად უდავოა, რომ შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის განცდები სავსებით ამოწურავენ ყველა იმ ძირითად განსხვავებულობას, რომლებიც ჩვენი ცნობიერების შინაარსში ხელშესახებად გვეძლევა. ამდენად, ეს კლასიფიკაცია მისაღებია.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____

_____

_____

_____

7. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

- სულიერ ფენომენთა ზოგადი განსხვავებულობა იმდენად ნათელია, რომ შეუძლებელია იგი შეუმჩნეველი დარჩენილიყო.
- გულუბრყვილო გონების შემთხვევითი ანალიზი მეცნიერულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.
- როდესაც დღესაც გრძნობათა ორგანოების შესახებ ვლაპარაკობთ, გრძნობის ქვეშ ჩვენი მხედველობის, სმენის, გემოვნების, ყნოსვისა და შეხების უნარს ვგულისხმობთ.
- სრულიად ცხადია, რომ სიამოვნებისა და უსიამოვნების, ფერისა და ტონის განცდებს შორის განსხვავება არ არსებობს.
- მეთვრამეტე საუკუნეში პირველად გამოაშკარავდა, რომ ფერის, ტონის და სხვა ამგვარ ფენომენთა ფსიქოლოგიური ბუნება სიამოვნება-უსიამოვნების განცდათაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

რა განაპირობებს ცნობიერების მოვლენათა კლასიფიკაციის სიძნელეს?

_____

რას ვგულისხმობთ, როდესაც გრძნობათა ორგანოების შესახებ ვლაპარაკობთ?

_____

XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე სულიერ ფენომენთა მრავალსახიანობას რომელ ჯგუფებად ყოფდნენ?

_____

რას ეწოდება შეგრძნება?

_____

რა არის გრძნობა?

_____

რომელ სამ ჯგუფად ნაწილდება ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში სულიერი ფენომენები?

_____

9. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

10. ტექსტის მიხედვით ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად შესაბამისი სიტყვები:

ჩვენი ..... მთლიანია. მიუხედავად ამისა, მასში მაინც მკაფიოდ განსხვავებულ ფსიქიკურ ..... ცალკე ძირითადი ჯგუფების დადასტურება ხერხდება. საკითხი ფსიქიკურ ..... კლასიფიკაციისა ..... ერთ-ერთი ფუნდამენტური ..... იგი ადამიანის ..... ცხოვრების მკლევართ იმთავითვე აინტერესებდა. ამის მიუხედავად, დღესაც არ შეიძლება ითქვას, რომ ..... ამ საკითხის გადაჭრის საბოლოო სახეს მიაღწია და მის ..... ერთი ყველასთვის მისაღები ..... არსებობს.

11. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

12. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

13. დაწერეთ ესე: სამი ფსიქიკური მდგომარეობა.

14. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

15. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

16. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თემა 30. მთლიანი სუბიექტი, როგორც ამოსავალი ცნება ფსიქოლოგიაში

1. მოახდინეთ ცნობიერების მოვლენათა კლასიფიკაცია.
2. გაიხსენეთ ტერმინი „სუბიექტი“. რას ნიშნავს, განმარტეთ.
3. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს სუბიექტი ფსიქოლოგიისთვის? იმსჯელეთ.
4. წაიკითხეთ ტექსტი:

უშუალობის თეორიის მიხედვით, სინამდვილესთან ურთიერთობას თვითონ ფსიქიკა წარმართავს. იგი მოქმედებს უშუალოდ სინამდვილეზე და ღებულობს უშუალო ზემოქმედებას მისგან. მაშასადამე, გამოდის, რომ ცოცხალ სუბიექტს, პიროვნებას, აქ ადგილი არ რჩება და ფსიქოლოგიას მასთან არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ამ დებულებისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური განვითარების ძირითად წყაროს სწორედ ცოცხალის, რეალურის, ისტორიული ადამიანის პრაქტიკა ანუ სინამდვილესთან ურთიერთობა წარმოადგენს. პირდაპირი, უშუალო კავშირი მხოლოდ ასეთ რეალურ სუბიექტსა და სინამდვილეს შორის არსებობს და ფსიქოლოგია, რომელიც თავის ამოცანას ადამიანის ფსიქიკის შესწავლაში ხედავს, თავის ამოსავალ წერტილად შეიძლება მხოლოდ აქტიური სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთობას, რეალური ადამიანის პრაქტიკას სახავდეს. ამიტომ ფსიქოლოგია გვერდს ვერ აუქცევს სუბიექტის, მთლიანი ადამიანის, პიროვნების ცნებას. ფსიქიკის, პიროვნების ამ სპეციფიკური ორგანოს, სტრუქტურისა და ფუნქციობის კანონზომიერების გაგება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, თუ მოწყვეტილი განიხილებოდა მისი მატარებლისა და მწარმოებლის, მთლიანი პიროვნების, ცნებიდან, თუ მოძებნილი არ იქნებოდა ის ფაქტორი, რომელიც სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთობის აქტში ისახება და ფსიქიკური პროცესების სახით იშლება. ამიტომ მთლიანი პიროვნების პრობლემა ნამდვილი მეცნიერული ფსიქოლოგიის ამოსავალ პრობლემად უნდა ჩაითვალოს.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებობს ერთი მიმართულება, რომელსაც თითქოს დაძლეული უნდა ჰქონდეს უშუალობის თეორიის ძირითადი ნაკლულოვანება; ეს არის ე.წ. პერსონალისტური ფსიქოლოგია, რომლის მამამთავარი ვ. შტერნია.

შტერნის ძირითადი დებულება მართლაც ეწინააღმდეგება უშუალობის თეორიის მთავარ პრინციპს. მისი აზრით, ურთიერთობა სინამდვილესა და ფსიქიკას შორის როდი არსებობს, არამედ სინამდვილესა და ფსიქიკის სუბსტრატს შორის. ასეთ სუბსტრატად მას პერსონა (პირი) მიაჩნია. მაშასადამე, მისი აზრით, ურთიერთობა სინამდვილესა და პიროვნებას შორის არსებობს.

ხოლო რაც შეეხება ფსიქიკურს, იგი წმინდა მეორად სფეროს წარმოადგენს, რომელსაც საფუძვლად სხვა, უფრო არსებითი მნიშვნელობის სფერო - პიროვნება - უდევს. ამრიგად, უშუალობის თეორია თითქოს ძლეულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ საკმარისია ყურადღებით შევისწავლოთ პერსონის ცნება, რომელიც შტერნს ყოველმხრივ აქვს განხილული, რათა დავრწმუნდეთ, რომ უშუალობის თეორია, ფაქტობრივად, პერსონალისტურ ფსიქოლოგიაშიც დაუძლეველი რჩება. საქმე ისაა, რომ, შტერნის მიხედვით, პიროვნება

ფსიქიკური პროცესების „უფალია და რეგულატორია“, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი თავისი მიზნების მიხედვით წარმოშობს და წარმართავს ფსიქიკურ პროცესებს. მაშასადამე, ფსიქოლოგიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა მიზეზობრიობის პრინციპს აქვს, არამედ მიზნობრიობისას - ფსიქოლოგიაში ტელეოლოგიური თვალსაზრისია ძირთადი. ეს ერთი მთავარი ნაკლია.

რაც შეეხება მეორეს, უშუალობის პრინციპის ხელსეუხებლობა აქ უკვე სრულიად ნათლად ჩანს. ჯერ ერთი, შტერნის მიხედვით, ფსიქიკურის გავლენა იმავე სუბიექტის სხვა ფსიქიკურ პროცესზე უშუალოდაც ხდება, ხოლო მეორე, შტერნი იდეალისტური კონცეფციის ნიადაგზე დგას და ამიტომაა, რომ, ბოლოს და ბოლოს, პიროვნება მისთვის მეტაფიზიკურ არსად არის დასახული.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. მონიშნეთ √-ით სწორი ვარიანტი:

- უშუალობის თეორიის მიხედვით, სინამდვილესთან ურთიერთობას თვითონ ფსიქიკა წარმართავს.
- ფსიქიკა არ მოქმედებს უშუალოდ სინამდვილეზე.
- ფსიქიკური განვითარების ძირითად წყაროს სწორედ ცოცხალის, რეალურის, ისტორიული ადამიანის პრაქტიკა წარმოადგენს.
- ფსიქოლოგია გვერდს უქცევს სუბიექტის, მთლიანი ადამიანის, პიროვნების ცნებას.
- მთლიანი პიროვნების პრობლემა ნამდვილი მეცნიერული ფსიქოლოგიის ამოსავალ პრობლემად უნდა ჩაითვალოს.
- შტერნის ძირითადი დებულება არ ეწინააღმდეგება უშუალობის თეორიის მთავარ პრინციპს.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

უშუალობის თეორიის მიხედვით, რა წარმართავს სინამდვილესთან ურთიერთობას?

_____

_____

_____

აქვს თუ არა ფსიქოლოგიას საქმე ცოცხალ სუბიექტთან, პიროვნებასთან?

_____

_____

_____

რის გარეშეა შეუძლებელი ფსიქიკის სტრუქტურისა და ფუნქციობის კანონზომიერების გაგება?

_____

_____

_____

რა არის პერსონალისტური ფსიქოლოგიის არსი?

_____

_____

_____

შტერნის მიხედვით, როგორ არსად არის დასახული პიროვნება?

_____

_____

_____

9. ჯგუფი გაიყოს ორად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები ტექსტის გარშემო, მეორემ - უპასუხოს.

10. ტექსტის მიხედვით ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად შესაბამისი სიტყვები:
..... თეორიის მიხედვით, სინამდვილესთან ურთიერთობას თვითონ ..... წარმართავს. იგი მოქმედებს უშუალოდ სინამდვილეზე და ღებულობს უშუალო ..... მისგან. მაშასადამე, გამოდის, რომ ცოცხალ სუბიექტს, პიროვნებას, აქ ადგილი არ რჩება და ფსიქოლოგიას მასთან არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ ..... ფსიქოლოგიის ამ დებულებისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური განვითარების ძირითად ..... სწორედ ცოცხალის, რეალურის, ისტორიული ადამიანის ..... ანუ სინამდვილესთან ურთიერთობა წარმოადგენს.

11. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

12. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

13. დაწერეთ ესე: სუბიექტი - ამოსავალი ცნება ფსიქოლოგიაში?

14. შეადგინეთ ტექსტის გეგმა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

15. **გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.**

საშინაო დავალება:

16. **წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____